

რამდენიმე კითხვა...

წინათქმა

გასული წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა კრებული «საუბრები ლიტერატურაზე», რომელმაც ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტფოზე» გამართულ არაერთ საინტერესო საუბარს მოუყარა თავი.

წინამდებარე კრებული "«ებლიტფოზე»" განხორციელებული მეორე პროექტის – «რამდენიმე კითხვა» – საფუძველზე მომზადდა. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილ მწერლებს მხოლოდ რამდენიმე კითხვით მივმართეთ. დავინტერესდით როგორც რესპონდენტთა შემოქმედებით, ასევე ზოგადად, ლიტერატურის მნიშვნელოვანი საკითხებით, პრობლემებითა და პერსპექტივებით. კითხვები და პასუხები არ არის რედაქტირებული და შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი სახე.

არც ერთ ინტერვიუს არ აქვს საყოველთაოდ მიღებული ორი შტრიხი: საუბრები არც მადლობით სრულდება და არც დამშვიდობებით (რაც, რასაკვირველია, საუბრებს ყოველთვის თან ახლდა).

კრებულში ინტერვიუები ქრონოლოგიურად არ არის დალაგებული. სპეციალურად არ "დავიმახსოვრეთ" ჩაწერის თარიღებიც, ვინაიდან მიგვაჩნია, მწერლების მოსაზრებები ნაკლებად უკავშირდება თარიღებს. ვფიქრობთ, "საუბრები" მომავალშიც, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სწორედ ამ სახით იქნება მკითხველისთვის საინტერესო.

"საუბრები" ბატონ გივი ალხაზიშვილთან როგორც უფროსი თაობის წარმომადგენელთან, დავიწყეთ და ახალგაზრდა მწერალ სოფო დათუაშვილთან დავასრულეთ. სოფო ყველაზე უმცროსია რესპონდენტთა შორის, ამ უდავოდ ნიჭიერი ადამიანის საუბრიდან კარგად ჩანს როგორც მისი პიროვნული პორტრეტი, ასევე ის გზა, რომელსაც გადიან ახალგაზრდა ავტორები საკუთარი შემოქმედების მკითხველამდე მისატანად. ხშირ შემთხვევაში ამ სვლას იმედგაცრუება აჩერებს...

იზა ორჯონიკიძე, თეონა დოლენჯაშვილი, ეკა ლაღანიძე, ნინო ჩხიკვიშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, მარიამ წიკლაური, ვასილ გულეური, დარეჯან სუმბაძე, ნინო სადღობელაშვილი, თამარ ბოლქვაძე, მიხო მოსულიშვილი, დიანა ანფიმიადი, თეა თოფურია, მარიანა ნანობაშვილი, დავით ქართველიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი, ლელა კოდალაშვილი, დავით ტაკიძე-შემოქმედელი, დავით ჩიხლაძე, დავით-დეფი გოგიბედაშვილი, ბესო ხვედელიძე, რეზო გეთიაშვილი, ლელა სამნიაშვილი, ნიკა

ჯორჯანელი, შოთა იათაშვილი, თამრი ფხაკაძე – ეს ის მწერლები არიან, რომელთა ნაწარმოებებს, მათ მიერ გამოთქმულ აზრებს მკითხველი ყოველთვის დიდი სიამოვნებით ეცნობოდა. ვიმედოვნებთ, რომ კრებულს მომავალშიც არ მოაკლდება საზოგადოების ინტერესი.

გვსურს, კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველა რესპონდენტს პროექტის მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის. ვიმედოვნებთ, საუბრებისთვის ჩვენთვის დათმობილი დრო სასიამოვნო მოგონებად დარჩება მათ და კრებულის ყველა მკითხველს."

«გზა გრძელდება»

ებლიტვო: ბატონო გივი, ყველა ბავშვობიდან მოდის, მწერალიც, რა თქმა უნდა. თქვენი ნებართვით საუბარი «თამაშით» დავიწყეთ, რით ერთობოდა ბავშვობაში თქვენი თაობა?

გივი ალხაზიშვილი: რითაც ჩვენ ვერთობოდით, ის თამაშები, სამწუხაროდ გადავიწყებულა; მხოლოდ ძველებს ახსოვთ.

ლახტი, რიკ-ტაფელა, კენწვლა/, ოლონდ ბურთის არა/, "სამაკატკა», მდინარეში ცურვა, მშვილდ-ისრებით მიზანში სროლა, შურდული და ა.შ. ყველაფრის ჩამოთვლას ვერც კი შევძლებ. მაშინ ტყავის ბურთი იშვიათობა იყო და ველოსიპედზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ტელევიზორიც ძალიან გვიან შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, მგონი მაშინ, როცა შევძელით ბუნებასთან სრული შერწყმა და ამიტომაც ჩვენი თაობა უფრო ბუნების პირმშოა, რასაც ჩემი შვილების თაობებზე ვერ ვიტყვი. საცურაოდ რიონზე ვიპარებოდით. საოცარი რიტუალი იყო მოდიდებულ მდინარეში ცურვა. თვითნასწავლი მოცურავე ვარ, სტილით ცურვას იქ ვინ გვასწავლიდა?!

დედაჩემი ბიბლიოთეკაში მუშაობდა დარბაზის გამგედ. ბიბლიოთეკა ჩემს სკოლასთან ახლოს იყო და გაკვეთილების შემდეგ აუცილებლად უნდა მივსულიყავი დედასთან. კითხვას იქ მივეჩვიე. ყოველგვარი რეკომენდაციის გარეშე, თვითონვე ვეძებდი და ვპოულობდი წიგნებს. რაღას არ ვკითხულობდი. არ ჩამოვთვლი იმ წიგნებს, რასაც ნებისმიერი ბავშვი კითხულობს სიყმაწვილისას. ყველაზე მკაფიოდ ბოკაჩოს «დეკამერონი» მახსოვს, როგორ მოვიპარე ბიბლიოთეკიდან და სკოლაში, გაკვეთილებზე მალულად ვკითხულობდი. მასწავლებელს თავს ვაჩვენებდი, თითქოს ვუსმენდი, არადა მუხლებზე მედო წიგნი და ქურდულად ვკითხულობდი. მაშინ ყველაზე პიკანტურ წიგნად ითვლებოდა და მერვეკლასელს ძალიანაც მაინტერესებდა ის ამბები, რაც იქ ეწერა. ბიბლიოთეკაში სიარული ჩემთვის სრულიად ბუნებრივი აუცილებლობა იყო. კითხვა რომ მზეზრდებოდა, რიონზე ვიპარებოდი და ტოლებთან ერთად ვერთობოდი. ყომარბაზებსაც გადავყრივარ, მოფარებულში კამათელს რომ აგორებდნენ და რამდენჯერმე ატანდაზეც ვმდგარვარ. მეცხრე-მეათე კლასიდან მთლიანად შეიცვალა ჩემი ინტერესები. ახლა უკვე წყალტუბოში ვიპარებოდით ბიჭები და ჩამოსულ ტურისტებს ვეკურკურებოდით. ყველაფერთან ერთად კვირაში სამჯერ მიწევდა მუსიკალურ სასწავლებელში წასვლა, სადაც ვსწავლობდი ჰობოიზე დაკვრას, ორჯერ პიონერთა სასახლეში ლიტ. წრეზე და იქიდანაც აუცილებელი გადახვევები რიონის პირას და ასე საყვარელი ცურვა

ჯაჭვისხიდთან ან ფალიაშვილების უბანში, ზოგჯერ ჭომაშიც. პირველი "ბიჩოკიც" იქ ავითვისე, თავიც გვარიანად გამიბრუვდა და ძლივს მოვსულიერდი. მას მერე ორმოცდაშვიდი წელი გავიდა და ამ ძვირფას ჩვევას ვერ შეველიე მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტად მენატრება, ისევე თავისუფლად ვსუნთქვდე, როგორც რიონის პირას ვსუნთქავდი.

ჩემი სახლი ბაგრატიის ტაძრის სიახლოვეს იდგა. იქიდან საოცრად ჩანდა გელათის მონასტერი და, რა თქმა უნდა, წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის ზარების ხმა ახლაც ჩამესმის. მე თუ რამეს ვწერ, იმ სასწაულებრივი გარემოს ბრალბია, მე რომ გამზარდა და იმ ადამიანებისა, ჩემზე რომ მძაფრი ზეგავლენა მოახდინეს. ახლა ვხვდები, რომ შთაბეჭდილებათა იმხელა მარაგი დავაგროვე, რომ მისი ამოწურვის შანსიც კი არ მაქვს. როცა მარაგს ვამბობ, სიტყვიერ მარაგსაც ვგულისხმობ, რადგან ნებისმიერი შთაბეჭდილება სიტყვებში და სიტყვებად ლაგდება და არსებობს.

არ იფიქროთ, რომ იდეალურ დროსა და ქვეყანაზე ვსაუბრობდე. არა, სულაც არა. უბრალოდ, ასაკი მქონდა იდეალური, ვიდრე ჩემს ცხოვრებაში არ გამოჩნდნენ ადამიანები, თვალი რომ ამიხილეს და დამანახეს საბჭოთა სინამდვილის სიმახინჯე, და მაშინდელი რეჟიმის სიძულვილი ჩაითესა კიდეც ჩემში, რომელმაც თავის აპოგეას სამოციან წლებში მიაღწია კიდეც, როცა მესამეკურსელი სტუდენტი საბჭოთა ჯარში გამამწესეს.

ებლიტფო: მგონი ამ თემაზეა თქვენი მესამე რომანი «"რკინის კარს აქეთ და იქით"»?

გივი ალხაზიშვილი: დიახ, ჯარის ამბებია. ამაზრზენი თავგადასავლები, დივიზიის ახლოს დასახლებული საექვო ყოფაქცევის ქალები, «"სამავოლკები"» «"სამაგონის"» თანხლებით, ჩხუბები ეთნიკურ "ნიადაგზე", ყაჩაღობები, სწორხაზოვანი და ყვეყჩი ოფიცრები და სანატრელი ფოსტა, ყველა რომ გაფაციცებული ელოდა წერილს, როგორც ცოტა ხნით შინ დაბრუნების საყვარელ ილუზიას და იმათი ნაღვლიანი თვალები, ვისაც წერილი არ მოუვიდოდა. ყველაფერს ვერ მოვყვები. ვისაც აინტერესებს, წაიკითხავს.

ებლიტფო: სტუდენტი თუ იყავით, რატომ წაგიყვანეს ჯარში?

გივი ალხაზიშვილი: აპოლიტიკური გამოხდომების გამო. ცხრამეტი წლის ვიყავი და რაც მომესურვებოდა, იმას ვამბობდი, ზოგჯერ კათედრიდანაც.

რუსთაველის თეატრში კოლექტიურად ვნახეთ დავით გაჩეჩილაძის სპექტაკლი. მოგვიანებით, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა ამ სპექტაკლის განხილვა. მეც გამოვედი სიტყვით და რიხით განვაცხადე რომ საქართველო არის მიჯაჭვული ამირანი და.... მთელი კასკადი ანტისაბჭოური რიტორიკისა. ორი დღის შემდეგ რუსთველოლოგიის ლექციიდან დამიძახეს დეკანატში, სადაც დამხვდა მაიორი, ამიხსნა, რომ კომისარიატში უნდა წავყოლოდი, კომისიას გავივლიდი და დავუბრუნდებოდი უნივერსიტეტს. წამიყვანეს და წამიყვანეს. იმავე საღამოს კიროვაბადში ამომაყოფინეს თავი, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. სამი წელი იქ ვხეხე. პლანი მაშინ ახალი ხილი იყო და ოფიცრები ვერ ხვდებოდნენ, რა სჭირდათ დაბოლილ ჯარისკაცებს. არყით მთვრალეები არ იყვნენ, მაგრამ მთვრალეებით იქცეოდნენ. ქალაქში «"ბაში"» ორმოცდაათი კაპიკი ღირდა და ვინც ამ საქმით იქცევდა თავს, ადვილად შოულობდა. ხრუმჩოვისდროინდელი ე. წ. "დათბობა" თავის საქმეს აკეთებდა და ბზარები უჩნდებოდა საბჭოეთს, ჯარშიც კი. ერთ უწვერულ ლეიტენანტს ვკითხე: არ გინდა, ლენინი იყო და მკვდარი იყო? გაფითრდა, ვერც

დამეთანხმა და ვერ იუარა. იყო ასეთი დრო, ყველაფერი თვალწინ ჭაობდებოდა. დივიზიაში მშვენიერი ბიბლიოთეკა იყო – კლასიკით გადაჭედული, «ინოსტრანაია ლიტერატურასაც» კი ღებულობდნენ და თავისუფალ დროს ვკითხულობდი. კითხვა ძირითადად საყარაულო პოსტზე მიწევდა პროექტორის შუქზე, ღამით. წიგნს ქამრის ქვეშ ვმაღავდი ხალათში. რომ არა ეს "საქმიანობა," სამ წელს ვერ გავიყვანდი.

უცნაურია, მაგრამ წლების მერე, შინ რომ დავბრუნდი, ვიგრძენი, რომ იქაურობის ნახვა ძალიან მომინდა და ერთხელაც განჯაში წავედი; კიროვაბადი აღარ ერქვა, რადგან საბჭოეთი ახალი დაშლილი იყო და ცხოვრება სწრაფად იცვლებოდა. ბევრი თავისუფლება დაგვაწვა ტვირთად, იმიტომ რომ არ ვიცოდით თავისუფლების ყადრი და არ ვიცოდით, რა გვექნა. განჯაში ის ყაზარმები აღარ დამხვდა, ყველაფერი მიწასთან გაესწორებინათ და ახალი მშენებლობები წამოეწყით. რატომღაც თავი შემებრალა, ახლა ვხვდები რატომ, მაგრამ არ ღირს ალბათ თქმა. რა ძალამ მიმიყვანა იქ, ნაყაზარმალეთთან ან რისი ნახვა მინდოდა. ნუთუ ფარული ნოსტალგია მჭირდა იმ სამი წლისა და იმჟამად თავისუფალს მსურდა, თვალი შემეველო იმ დროისთვის, აღარსად რომ იყო, გარდა ჩემი მეხსიერებისა და სადღაც კონკრეტულ ადგილას ვეძებდი, რომელიც ასევე აღარ იყო და ყველაფერი გამქრალიყო თვალსა და ხელს შუა. მგონი, კმარა ამ თემაზე საუბარი, სხვა თემაზე ხომ არ გადავიდეთ?

ებლიტვო: თქვენს ლიტერატურულ საქმიანობაზე გვითხარით რამე.

გივი ალხაზიშვილი: ლიტერატურული საქმიანობა ჩემთვის იყო ჟურნალ «ცისკარში» ცამეტწლიანი მუშაობა და მერე გამომცემლობა «მერანში» ჩვიდმეტწლიანი საგამომცემლო გამოცდილება. რაც თავი მახსოვს, ახალგაზრდა მწერლებთან ვმეგობრობ. ასე იყო «ცისკარსა» და «მერანშიც»; არაერთ დებიუტს შევუწყე ხელი, მრავალი პირველი წიგნი გამოვეცი. ახლაც, როგორც ხედავთ, ვირტუალურ სივრცეშიც მათთან ვარ, ნომინალურად მაინც.

ებლიტვო: რას იტყვით ახალგაზრდა მწერლებზე, მათი შემოქმედების საერთო დონეზე?

გივი ალხაზიშვილი: არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გავიცანი, თითქმის ყველა ჟანრში. "გულს იმედი ჩამესახა".

საერთო დონეს – საერთოდ ლიტერატურაში, მათ შორის ახალგაზრდულშიც, საუკეთესოები განსაზღვრავენ.

თუ ამ კრიტერიუმით მივუდგები, ვიტყვი, რომ დონე კარგია და ვფიქრობ, რომ მომავალში უკეთესი იქნება, თუ ნიჭთან ერთად გარჯასაც შეეჩვევიან. მაწუხებს ნახევარფაბრიკატული ტექსტების გამოქვეყნება, როცა ავტორს მოშლილი აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა და მკითხველს ერთთავად ეწუწუნება საკუთარ წვრილმანებზე. არ მომწონს ზოგიერთის ახირება – უარყოს ის, რაც ვერ აითვისა და წეროს ე.წ. "პირველადი" "განცდები" და ტექსტზე არ იმუშაოს, თუნდაც რედაქტორულად. ეს მძიმე შეცდომაა და ვინც ამ "ტექნოლოგიას" ნერგავს, უბრუნდება საუკუნის წინანდელ გამოცდილებას, რომელიც ტრადიციად ვერ იქცა და ლიტისტორიაში ჩარჩენილი მატარებელია. ეს ვრცელი თემაა და ერთხელ მგონი გვქონდა კიდევ საუბარი.

მიღწევების აუთვისებლობა, "ვერათვისება" პროცესზე უარის თქმა და ვითომ ახლის დაწყებაა ნულიდან.

ლიტერატურასა და ხელოვნებაში დაგროვილია უზარმაზარი გამოცდილება და ცოდნა, რომელსაც გარკვეულ დონეზე მაინც შესწავლა და ათვისება უნდა. ამის

შემდეგ არის სამეზბინო ახალი გზები. ამას ყველას გასაგონად ვამბობ. ზოგი დაიჯერებს, ზოგი არა, შედეგსაც შესაბამისს უნდა მოელოდნენ. ებლიტფოზე არის რამდენიმე გამორჩეული ნიჭის ახალგაზრდა. მე დიდ იმედებს ვამყარებ მათზე. არაფერს ვამბობ მეტ-ნაკლებად ცნობილ ავტორებზე, რომელთაც უკვე გამოცემული აქვთ წიგნები და ჩემს თვალწინ ჩამოყალიბდნენ და წინ მიიწევენ.

ებლიტფო: კონკრეტულად ვერ ჩამოთვლით ავტორებს, ვისაც გულისხმობთ?

გივი ალხაზიშვილი: შეუძლებელია, ვინმე არ გამომრჩეს და გული არ ვატკინო, ამიტომაც არ ჩამოვთვლი. უმრავლესობამ პირადად იცის ჩემი აზრი და ესეც საკმარისია.

ებლიტფო: რას იტყვით «ებლიტფოზე», ეხმარება თუ არა ვირტუალური სივრცე მწერლებს, მაშინ როცა სხვა საჯარო სივრცეები, გარდა რამდენიმე ჟურნალისა, დახურულია მწერლობისთვის.

გივი ალხაზიშვილი: ეს დიდი მონაპოვარია, მაგრამ ამ სივრცესაც სჭირდება გადასხვაფერება. ვგულისხმობ ელექტრონული ჟურნალის შექმნას, სადაც პროფესიული ფილტრის მერე დაიბეჭდება მხატვრული ნაწარმოებები. ამისათვის საჭიროა კარგი რედკოლეგია. «ებლიტფო» ცდილობს ერთად მოუყაროს თავი შემთხვევით ავტორებს, მოყვარულებს და პროფესიონალებს. ამიტომაც გამოქვეყნებული ნაწარმოებები დონით კატასტროფულად განსხვავდება ერთმანეთისგან. ვინმემ ისე არ გაიგოს, რომ მე ცენზურაზე მივანიშნებ, არა, ბატონო. მე ვგულისხმობ მეტ პროფესიონალიზმს, რომლის ნაკლებობასაც განიცდის ჩვენი ქვეყანა ყველა დარგში. «ებლიტფო» შესანიშნავი მონაპოვარია და უკეთესი უნდა გახდეს. კარგი ელექტრონული ჟურნალი უცბად შეცვლის ყველაფერს და დონეც გამოჩნდება.

ებლიტფო: ელექტრონული ჟურნალის შექმნა გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ჯერჯერობით ასე გავაგრძელოთ და სამომავლოდ ჟურნალზეც ვიფიქროთ.

გივი ალხაზიშვილი: მგონი დაგდაღეთ საუბრით. ბავშვობასაც გადავურბინე და დღევანდელიობასაც გადავწვდი ზედაპირულად.

ორი ბიბლიოთეკის ამბავი გაკვრით გაიმბეთ, ერთსაც დავამატებ და დაგეხსნებით. ე.ი. პირველი – დედაჩემის ბიბლიოთეკა. მეორე – პარადოქსია, მაგრამ დივიზიის ბიბლიოთეკა, მესამე – თბილისში, ძველი ფუტურისტის შალვა ალხაზიშვილის პირადი და უნიკალური ბიბლიოთეკა, საიდანაც ვსარგებლობდი წიგნებით და ხშირად მჩუქნიდა კიდევ ბატონი შალვა – ბიბლიოფილი და უგანათლებულესი მწერალი, მაშინდელი «მნათობის» კრიტიკის განყოფილების გამგე. ამ კაცს უდიდესი ამაგი აქვს ჩემზე და მე მარად ვალში ვიქნები მისი ხსოვნის წინაშე. იყო პერიოდი, როცა მე "ცისკარში", ბატონი შალვა კი "მნათობში" კრიტიკის განყოფილებებს ვხელმძღვანელობდით და განაწყენებული ავტორები გვლანძღავდნენ, როგორც ბიძა-მმისშვილს, არადა მხოლოდ მოგვარეები ვიყავით, ის კახეთიდან, მე კი იმერეთიდან – ქუთაისიდან. ახლა მართლა დავიდალე, სათქმელი კი ბევრი მრჩება.

ებლიტფო: დიდი მადლობა, ბატონო გივი, რომ არ დაიზარეთ და გაგვესაუბრეთ... დაგვპირდით, რომ მომავალში კიდევ ვილაპარაკოთ ლიტერატურასა და სხვაზე.

გივი ალხაზიშვილი: ვნახოთ, შესაძლოა.

«მწერალი ურჩი ბავშვივითაა»

ებლიტფო:" თეონა, თეონა დოლენჯაშვილი, ა=ნა კორძაია-სა===მადაშვილი, თამრი ფხაკაძე, ირმა მაღაციძე, ეკა ლაღანიძე... რა განსხვავება და რა საერთოა მათ, როგორც მწერლებს, შორის?

"თეონა დოლენჯაშვილი:" ამ სახელ-გვარებს კიდევ მარიანა ნანობაშვილს, ნენე კვინიკაძეს, მაკა მიქელაძეს, ცირა ყურაშვილს, ირმა ტაველიძეს, მაკა ლდოკონენს (და ასე შემდეგ) დავუმატებდი. მათ შორის, როგორც მწერლებს შორის, ძალიან დიდი განსხვავებაა. თითოეულ მათგანს საკუთარი ცხოვრება, სახე, ხელწერა, სათქმელი და მწერლური სამყარო აქვს. რაც შეეხება საერთოს, ალბათ ის არის, რომ ყველანი ბედკრული საქართველოს შვილები არიან და საკუთარ თავზე დიდი და, შეიძლება ითქვას, თავხედური მისია აიღეს. ეს მისია კი იმაში მდგომარეობს, რომ ქალ-მწერლებად იწოდებიან. ამ თემაზე უკვე არსებობს მაკა მიქელაძის მოთხრობა და ბევრს აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თანამედროვე ქართული პროზა ძალიან ბევრს დაკარგავდა, ეს მშვენიერი და საინტერესო ქალბატონები რომ არ არსებობდნენ.

"ებლიტფო:" რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე თეონა დოლენჯაშვილი?

რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

"თეონა:" თანამედროვე ქართული პროზა ბევრი რამით ჰგავს თანამედროვე ქართულ ცხოვრებას თავისი სირთულით, სიმარტივით, ტრაგიზმით, კომიზმით, ტკივილით, სიხარულით, სიმართლით, სიცრუით და ასე შემდეგ. თუმცა, ცხოვრება, როგორც ყოველთვის, უფრო მართალია და, ჩემი აზრით, სამწუხაროდ, ქართული პროზა სათანადოდ ვერ ასახავს იმას, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. იმედია, არავინ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ ქართველი მწერლები ხშირ შემთხვევაში მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალს თბილი ბინებიდან და ლიტერატურული კაფეებიდან თვალთვალს ამჯობინებენ, და ეს მათ შემოქმედებას უფრო მოვარდისფრო, კონფორმისტულ, ხავერდოვან ელფერს ანიჭებს. მწერალი, რომანისტი კი, ჩემი აზრით, უფრო მძაფრი, ეკლიანი, გაბრაზებული უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ამაში პოლიტიკურ ტრაქტატებსა და სოციალურ ტექსტებს არ ვგულისხმობ. უბრალოდ, მინდა თანამედროვე ქართველი მწერლების მოთხრობებსა და რომანებში სხვა ცხოვრებისეული სიმართლე დავინახო.

აბა, გადავხედოთ, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? იმედია, ძველ ბიჭებზე, სოფლურ იდილიასა და ცარიელ, არაფრისმთქმელ ამბებზე წერას მოვრჩით. პათეტიკურ-სენტიმენტალური ოპუსების თხზვასაც შევეშვით, რაღაც გაურკვეველი ფსიქოლოგიური წიაღსვლებიც და უცხო ქვეყნებში მოგზაურობის რეპორტაჟებიც მოვიყირჭეთ. მე, პირადად, ძალიან მენატრება ის განცდა, რაც 1998 თუ 1999 წელს (თარიღი ზუსტად არ მახსოვს) ზურა მესხის «სპაზმების» კითხვისას განვიცადე. ეს იყო ძალიან მართალი, გაბრაზებული და, რაც მთავარია, ძლიერი ტექსტი როგორც სათქმელის, ისე მხატვრული ფორმის თვალსაზრისით. ასეთივე პროტესტი და

სინამდვილე ჩანდა იმავე პერიოდში გამოცემული ქეთი ნიჟარაძის «ავტობიოგრაფიიდანაც».

ახლაც ასეთი ტიპის და კიდევ უკეთეს ნაწარმოებებს ველოდები და როგორც მკითხველი და პროზაიკოსი, ამ მოთხოვნებს, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვუყენებ. ველოდები პროზას, რომელიც დამაფიქრებს, შემძრავს, როგორც ეჟენ იონესკო იტყოდა – «თავში კეტს ჩამცხებს». ვის ნაწარმოებებს ველოდები? ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, ჭაბუა ამირეჯიბის ახალ რომანებს. მაგრამ აქვე მინდა ვთქვა, რომ მე უკვე ვიცი, რას შემომთავაზებენ ეს მწერლები. ისინი ჩემთვის ოსტატები არიან, მაგრამ ეს გასული საუკუნეა და მე, როგორც მკითხველს, ახალი სახელები, ახალი სახეები, ახალი სიტყვები მჭირდება. ჩემი დრო, ჩემი პულსაცია, ჩემი გულისცემა მინდა ვიგრძნო. სხვათა შორის, ყოველთვის დიდი ინტერესით ველოდებოდი აკა მორჩილაძის ტექსტებს. ამ მოლოდინმა თუნდაც «მადათოვის», «უდაბნოს გლახების» და «სანტა ესპერანსას» სახით გაამართლა, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია, რაც ეს მოლოდინი გამიქრა. იმედია, ისევ დაბრუნდება...

და ბოლოს, ყველაზე დიდი ინტერესით, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრების ნაწარმოებებს ველოდები და, იმედი მაქვს, ყველაზე დიდ ლიტერატურულ სიამოვნებას სწორედ მათი ახალი წიგნებიდან მივიღებ. ისინი ძალიან ბევრნი არიან (თითქმის მთელი თანამედროვე ქართული პროზა) და არ ჩამოვთვლი, არ მინდა, ვინმე გამომრჩეს.

"ებლიტვო:" რას იტყვი კრიტიკის მნიშვნელობაზე ზოგადად? ვის გაუკრიტიკებია და რაში არ დაეთანხმე...

"თეონა:" ის, რასაც ახლა ვწერ, ესეც კრიტიკაა. კრიტიკა საკუთარი აზრის გამოთქმაა და მე მგონი ეს მნიშვნელოვანზე მეტია. რაც შეეხება, პროფესიონალურ კრიტიკას, აქ მე არ შემიძლია, არ დავეთანხმო მალხაზ ხარბედიას, რომელიც სტატიამში – «კრიტიკის დაბადება» წერდა (აქ მხოლოდ პერიფრაზირებას ვახდენ), რომ ქართული კრიტიკა ან მამამბლური ქება-დიდებაა, ან ჩასაფრებული და აგრესიული ლანძღვა-გინება. ჩემს შემთხვევაშიც სწორედ ასე იყო: ან ცაში ავყავდი და მაქებ-მადიდებდნენ, ან მიწაზე მანარცხებდნენ და ყველა სიტყვას მიქიაქებდნენ. თუმცა, პროცენტულად მაქებელი იმდენად მეტი იყო მმაგებელზე, რომ ამ უკანასკნელთა კრიტიკის საფუძვლიანობაზე ნაკლებად დავფიქრებულვარ. ბევრგან მითქვამს და აქაც გავიმეორებ: ჩემი აზრით, კრიტიკა უფრო მკითხველს სჭირდება, ვიდრე მწერალს. მკითხველს, როგორც კომპასი, ლიტერატურულ პროცესებში ორიენტირების პროცესში: მწერალი კი ურჩი ბავშვივითაა და იქამდე, ვიდრე საკუთარი მწერლური და ცხოვრებისეული გამოცდილებით არ მიხვდება, რა უნდა და რა სჭირდება, მეეჭვება, ვინმეს დაუჯეროს.

"ებლიტვო:" დღეს ძალიან ბევრი უცხოელი ავტორი ითარგმნება ქართულად – არის მათი გავლენა ქართულ პროზაში?

"თეონა:" არ ვიცი, ალბათ არის. და თუ დიდი დოზით არის, ეს ძალიან ცუდია, რადგან მე მირჩევნია, მსოფლიო ლიტერატურული პროცესების კუდში კი არ მივჩანჩალებდეთ, ფეხდაფეხ მივდევდეთ და მივყვებოდეთ; არა მხოლოდ ამ უცხოელი ავტორების თარგმნა და «იმპორტი» ხდებოდეს, არამედ ჩვენი ლიტერატურული პროდუქტიც კონკურენტუნარიანი და წარმატებული იყოს

საზღვრებს გარეთ. როდესმე ხომ უნდა მოხდეს გარღვევა. ეს გარღვევა აუცილებლად მოხდება, რადგან ამის პოტენცია და რესურსი არსებობს. მთავარია, არ ვიზარმაცოთ.

"ებლიტფო:" და ბოლოს, რას მოითხოვს ქართველი მკითხველი ქართველი მწერლებისგან?

"თეონა:" იმას, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მართალ და მაღალმხატვრულ ლიტერატურას.

კვირაში რამდენჯერ?

"ებლიტფო:" ეკა, პირველ რიგში, შენს ახალ წიგნზე მინდა გკითხო, რომელსაც გამოსაცემად ამზადებ _ როდის იქნება წიგნი მზად და შენს წინა და ახალ წიგნს შორის რაიმე თვისებრივ სხვაობას თუ უნდა ელოდოს მკითხველი?

"ეკა ლაღანიძე:" ჩემს წინა და ახალ წიგნს შორის თითქმის შვიდი წლის შუალედია. პირველი მოთხრობების კრებული 2001 წელს გამომცემლობა «მერანმა» გამოსცა ბატონ გივი ალხაზიშვილის ინიციატივით. მას მერე სხვადასხვა ლიტერატურულ პერიოდიკაში ვიბეჭდებიდი. ახალი წიგნის გამოცემას კი ბოლოს და ბოლოს ძლივს მოვაბი თავი. ის უკვე მზადაა და მკითხველს ელის წიგნის მაღაზიის თაროზე. კრებულში შესულია 2001-2007 წლებში დაწერილი მოთხრობები, რომლებიც ერთ კონცეპტუალურ მთლიანობას ქმნიან. ჩემს ორ წიგნს შორის თვისობრივ სხვაობაზე რა შემიძლია ვთქვა: ალბათ, წინა წიგნთან შედარებით, მასში უფრო მეტი მხატვრული ხერხები გამოვიყენე.

ჩემს წიგნზე ნუ მალაპარაკებ. სხვებმა შეაფასონ.

"ებლიტფო:" ძალიან საინტერესოა შენი მოთხრობების ციკლი: «კვირაში ერთხელ», «კვირაში ორჯერ», «კვირაში სამჯერ». საინტერესო კონცეპტუალური ჩანაფიქრია, მაგრამ რა მიზანს ისახავდი: ეს მხოლოდ მოთხრობების ერთ სიუჟეტურ ხაზზე განსაზღვრულად გჭირდებოდა, თუ რაიმე სხვა იდეა გქონდა?

"ეკა:" უფრო მარტივად შევხედოთ.

როგორც ვთქვი, შვიდი მოთხრობა ერთ კონცეპტუალურ მთლიანობას ქმნის, მაგრამ თავიდან რაღაც განსაკუთრებული იდეა ან მიზანი ნამდვილად არ მქონია. პირველად «კვირაში ორჯერ» დაიწერა და მისი გამოქვეყნებისთანავე მეკითხებოდნენ _ «კვირაში სამჯერ როდის იქნებაო»?

ცნობილია, რომ ადამიანთა უმრავლესობას ხელოვნებაში «ნაცნობთან» შეხვედრის შესაძლებლობა იზიდავს, ანდაც უფრო უარესი, ცდილობენ ნაწერში ავტორი აღმოაჩინონ, მით უმეტეს, თუ ის პირველ პირში ჰყვება ამბავს. წერა რომ უპიროვნო საქმიანობაა და ლიტერატურის არსი მხოლოდ სიტყვაშია და არა მწერლის პირად ცხოვრებაში _ ეს ავიწყდებათ... კითხვებს კვლავ სვამდნენ: როდის იქნება კვირაში ოთხჯერ? და ასე გაუთავებლად. მეც ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი და გავაგრძელე «კვირაში ხუთჯერ», «კვირაში ექვსჯერ»...

მინდა იმედები გაგიცრუოთ და მოგახსენოთ, რომ ჩემზე კი არა, თქვენზე ვწერდი. ასე წერა უფრო ადვილია. ფურცელთან უფრო გულახდილი ვარ (ეს კი ქართული, ანუ კავკასიური ბუნების დამსახურებაა).

წიგნში შესულ შვიდ მოთხრობას ერთი საერთო სიუჟეტი არ აქვს, უბრალოდ დაიწერა, შეიკრა და წიგნიც გამოცხვა. ეგ არის და ეგ...

"ებლიტფო": დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ქართველ ქალ პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან?

"ეკა": თავისთავად სასიამოვნო ფაქტია ქალ პროზაიკოსთა რიცხვის ზრდა. არა მგონია, რაღაც განსაკუთრებული სხვაობა არსებობდეს ქართველ ქალ და მამაკაც პროზაიკოსებს შორის. და მაინც, ალბათ, ერთ-ერთი ნიშანი შეიძლება «ქალური ბუნება» იყოს. ეს ქალური ბუნება ნაწარმოების სიუჟეტით კი არ იკვეთება, არამედ ავტორის ან მისი პერსონაჟის მიოჭარბებულ ემოციებში ჩანს; უფრო ზუსტად რომ ვთქვა _ «ტანჯულობაში». ქალი ავტორი მამაკაც ავტორთან შედარებით უფრო მეტად ითხოვს თანაგრძნობას.

"ებლიტფო": და როგორ ფიქრობ, რამ გამოიწვია ქალთა ასეთი გააქტიურება ლიტერატურაში _ სოციალურმა ფაქტორმა, თუ გარკვეული ტაბუების ახსნამ?

"ეკა": ქალთა გააქტიურება არ არის მხოლოდ ქართული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ნიშანი, რადგან ის სხვა ცივილიზაციებისგან განზუად მდგომი ვერ იქნება. ეს კანონია. ქალები მთელს მსოფლიოში გააქტიურდნენ.

ადრე რა იყო? ყველგან _ ქართულ ოჯახში, საზოგადოებაში, პოლიტიკაში ქალი გახლდათ კაცს დაქვემდებარებული. ის ლამის დანამატს ანდაც სამკაულს წარმოადგენდა. სუსტი და მორჩილი ქალი ყველას მოსწონდა. და რაც მთავარია, თავად ქალს მოსწონდა ასეთი როლი. ქალი და მამაკაცი, როგორც პასიური და აქტიური საწყისების მატარებლები _ თითქოს ავსებდნენ ერთმანეთს. ბოლო ათწლეულებია, რაც ქართველი ქალი სოციალურად განსაკუთრებით აქტიური გახდა. სამზარეულოდან გამოვიდა, «ჟანგიანი გალიიდან» გამოფრინდა. ის დეკორაცია აღარ არის. თუ აქამდე მასზე წერდნენ, ეხლა თავად ალაპარაკდა. გადახედეთ ქალ პროზაიკოსთა ნაწარმოებებს და დარწმუნდებით, რომ მათი მოთხოვნები სავსეა თამამი აზრობრივი ექსპერიმენტებით.

დღეს, როგორც ამბობენ, ხელოვნებას გენდერული საზღვრები აღარ აქვს. ასე რომ, ქალ მწერლებს ჯერ ყველაფერი წინ აქვთ...

"ებლიტფო": ზოგადად, რას ფიქრობ საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესახებ? ბევრი ჩივის, რომ ეს პროცესები ჩავარდა და შენედა.

"ეკა": შეიძლება ქართული ლიტერატურული პროცესი შენედა კიდეც. ეს ჩავარდნასაც უნდა ნიშნავდეს. მაგრამ ჩემი აზრით, ჩავარდა არა იმდენად ლიტერატურული პროცესი, რამდენადაც ლიტერატურული პერიოდიკის გამოცემა. ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების დაფინანსება კომერციულად წამგებიანია და ამიტომაც არავინ იწუხებს თავს.

სამყარომ, სავსებით შესაძლებელია, იარსებოს ლიტერატურის გარეშე და უფრო უკეთესად იარსებებს ადამიანის გარეშე. ეს სარტრის აზრია და მეც აქ ვარ. იქნებ ოდესმე შეიცვალოს ლიტერატურისადმი ასეთი დამოკიდებულება.

რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, ჩემი თაობის მწერლები უფრო თამამად წერენ. არ დარჩენილა არც ერთი კლასიკური ხელოვნების კანონი, რომელიც მათ არ დაერღვიოთ; და არც ერთი ტრადიციული ფორმა, რომელიც არ დაემსხვრიოთ. საინტერესო ავტორები გვყავს. ისინი არ ერიდებიან აზრობრივ ექსპერიმენტებს. მე ეს მომწონს.

"ებლიტფო": საინტერესოა, მიმდინარე ლიტერატურული პროცესების გათვალისწინებით, რა გზით ვითარდება ქართული ლიტერატურა. რა ახალი ტენდენციებით გამოირჩევა თანამედროვე ქართული მწერლობა?

"ეკა": რა გზით ვითარდება ქართული ლიტერატურა და რა ახალი ტენდენციებით გამოირჩევა ის – ამის გარკვევა ლიტერატორებისა და კრიტიკოსების საქმეა და ავად თუ კარგად, ისინი ახერხებენ კიდევ.

მე კი ერთს ვიტყვოდი: ჩემი აზრით, ქართული თანამედროვე ლიტერატურის უმთავრესი პრობლემა მასკულტურაა. მართალია, ეს მსოფლიო სენია და დიდად არ უნდა გვიკვირდეს. თუმცა, მე მაინც ჩემი, ქართული ლიტერატურული სივრცე მაღელვებს. ცხადია, მასკულტურა მასებზეა გათვლილი, თან კომერციული წარმატებაც გარანტირებული აქვს. ასეთი ნაწარმოებები შთაგონების გარეშე, ხელოვნურად იქმნება. მე ამაში სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ. გადაშალეთ ნებისმიერი ქართული ლიტერატურული ჟურნალი (ეს უკანასკნელი მცირე რაოდენობითაა, ასე რომ, დიდი ხნის ძებნა არ დაგჭირდებათ) და იხილავთ დახვეწილი ლაყბობით, ფსევდოსულიერებით გაბერილ «შედეგებს». სამწუხაროა, რომ ბევრი მწერალი გვესაუბრება გაუგებარი, აბსტრაქტული სიმალეებიდან. ისეთი რომანებია დაწერილი, რომ კითხულობ, კითხულობ და შეგონების მომაბეზრებელი ტონი გულს გიწვრილებს. ერთ-ორ ფურცელს წაიკითხავ და გაგრძელება აღარ გინდება. თუ შეძლებ და ბოლომდე ჩამთავრებ, ნებისყოფისა და გამძლეობის ერთი კარგი ვარჯიში გამოგივა.

თვითდამკვიდრების სურვილით შეპყრობილ არა ერთ ავტორს უთქვამს ჩემთან – ეხლა ასეთი წიგნი მჭირდებაო. იმიტომ რომ მასკულტურა ფულს აკეთებს. კმაყოფილია ავტორიც და გამომცემელიც. ხოლო თუ ასეთი წიგნების მომრავლება მდარე გემოვნებას ავითარებს, ეს უკვე აღარ გვაწუხებს.

საბედნიეროდ, კარგი წიგნებიც იწერება. მართალია, ოქროს ხანა უკან მოვიტოვეთ, ხელოვნებას თავი მაინც არ ამოუწურავს და ლიტერატურული პროცესები, რა თქმა უნდა, გრძელდება.

კოლაუს მეგობარი ნინო

"ებლიტფო": ნინო, რამ გადაგაწყვეტინა საბავშვო მწერლობაზე გემუშავა, როგორც კრიტიკოსს? ზოგადად, რას იტყვი ქართულ საბავშვო ლიტერატურაზე, მის წარსულზე, თანამედროვეობასა და მომავალზე? შენი აზრით, როგორი უნდა იყოს შინაარსობრივად და ვიზუალურად საბავშვო ლიტერატურა?

"ნინო ჩხიკვიშვილი: საბავშვო ლიტერატურით თუ დავინტერესდებოდი, არასდროს მეგონა, რადგან უნდა გამოვტყდე, ბავშვობისას სადიდო ნაწარმოებებით დავიწყე კითხვა.

გადმოვიღებდი მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა ტომს და ვკითხულობდი. სამწუხაროდ, წასაკითხ ლიტერატურას არავინ მირჩევდა. 13-14 წლისას ბალზაკი და სტეფან ცვაიგი, ოსკარ უალდის რომანები, მიხეილ ჯავახიშვილი, ეს ყველაფერი თითქმის უკვე წაკითხული მქონდა.

მახსოვს, როგორ მიყვარდა «დიდი სახლის პატარა დიასახლისი»; თან ამ ყველაფრის პარალელურად ვკითხულობდი «მსოფლიო ხალხთა ზღაპრების» სერიით გამოცემულ შესანიშნავ კრებულებს და გონებაში ნამდვილი ქაოსი მქონდა.

მოკლედ, საბავშვო და სადიდო ლიტერატურას განურჩევლად ვკითხულობდი. ასე მოზაიკურად წავიკითხე, ვთქვათ, ნინო ბუბარაშვილის «ანწლის ქოხი» და სტეფან ცვაიგის «უცნობი ქალის წერილები», «ბიძია თომას ქოხი» და «შაგრენის ტყავი», ტოლსტოის «ანა კარენინა», «ტომ სოიერი» და ასე შემდეგ, ახლა ყველას ვერ ჩამოვთვლი.

ეტყობა, სწორედ ამ ქაოსის ბრალი იყო, წერა რომ დავიწყე და... იმ დღიდან მოყოლებული, წერას ვყავარ ატანილი!

ჰო, ეს ისე, ხუმრობით...

ხოლო რაც შეეხება საქმეს, ანუ თქვენს კითხვას, თუ რატომ დავიწყე საბავშვო ლიტერატურაზე ფიქრი, ასე გიპასუხებდით, ჯერ კიდევ ამ 2-3 წლის წინათ, როცა ჟურნალი «ომეგა» დაიხურა და უმუშევარი, თითქმის უსაქმოდ დავრჩი, ბატონმა აკაკი მინდიაშვილმა, ეტყობა მოწყენის დასაძლევად, თან კეთილი საქმე რომ მეკეთებინა, მირჩია, საბავშვო ლიტერატურით დავინტერესებულიყავი. თუმცა მაშინ, მართალი გითხრათ, გამიკვირდა კიდევ, რა შემიძლია გავაკეთო საბავშვო ლიტერატურაში-მეთქი, მაგრამ შემდეგ, ყველაფერი ისე აეწყო, რომ ბოლოს და ბოლოს, ჩემი მეგობრების, ორი პოეტის – მარიამ წიკლაურისა და თამარ შაიშმელაშვილის თხოვნით, მოვკიდე ამ საქმეს ხელი. თუმცა აღმოჩნდა, რომ ერთობ რთულ და ფაქიზ საქმეს შევეჭიდე და არც კი ვიცი, მოვაბამ თუ არა თავს, ვნახოთ, თუკი რამე გამომივა, ხომ კარგი, თუ არადა, არც მაგით დააკლდება რამე ჩვენს ქართულ საბავშვო მწერლობას, რადგან იგი ისეთი დიდი და საინტერესო სამყაროა, იაკობ გოგებაშვილიდან მოყოლებული დღევანდელი საბავშვო მწერლებით დამთავრებული. ალბათ, ყოველივე ამის შესწავლასა და გამოკვლევას, მართლაც დიდი შრომა სჭირდება.

ახლა ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ამოდენა სამუშაოს შესრულების პრეტენზია გამაჩნდეს, მე მხოლოდ თანამედროვე საბავშვო მწერალთა შემოქმედებით ვარ დაინტერესებული და ვნახოთ რა გამოვა. ჯერჯერობით, ეს მხოლოდ სურვილია, ხოლო სურვილსა და შესაძლებლობებს შორის დიდი ზღვარი რომ ძევს, ესეც ხომ ფაქტია. ასე რომ, მოდით, ფაქტებით ვისაუბროთ, ვნახოთ, თუკი შევძლებ გარკვეულ დროში, ერთი პატარა კრებულისთვის საჭირო მასალისთვის თავის მოყრას, მაშინ უკვე რაღაცის თქმის უფლებაც მექნება და აზრსაც უფრო გაბედულად მოგახეხებთ ქართული საბავშვო ლიტერატურის თაობაზე.

"ებლიტფო": რას იტყვი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, – პროზასა და პოეზიაზე?

"ნინო": მოკლედ გიპასუხებთ: თანამედროვე ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები, შეიძლება ვცდები, მაგრამ ძალიან მაგონებს XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ პროცესებს, და როცა ყოველივე ამაზე ვფიქრობ, დიდი დავით კლდიაშვილის ის სიტყვები მაგონდება, სიმბოლისტური სკოლით აგრერიგად გატაცებულ შვილს – სერგოს (მოგეხსენებათ, სერგო კლდიაშვილი ცისფერყანწელთა ორდენის აქტიური წევრი იყო) რომ უთხრა: «გავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე; გადახედე, თუ ასე არააო». ჩემი აზრით, ეს უზუსტესი ფორმულაა, რომლის გამეორებაც ხშირად მიყვარს.

"ებლიტფო": ნინო, რას და როგორ გაიხსენებ «ომეგაში» მუშაობის პერიოდიდან?

"ნინო": ჟურნალ «ომეგაში», გაგიკვირდებათ და, ბიზნესისა და ეკონომიკის განყოფილება მეზარა; ბოლო დროს თეატრზე შემოსული წერილებიც მომანდეს და არ ვიცი, ავად თუ კარგად, თავს ვაბამდი. თუმცა, ახლა გეტყვით, ყველაზე მეტად ავტორებისთვის დაბეჭდვაზე უარის თქმა მიჭირდა მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მართლაც გამორჩეული ავტორები გვყავდნენ. ერთი რამ აშკარა იყო – დილექტანტებს იშვიათად მოჰქონდათ წერილები. არა, ეს ჩემი დამსახურება როდი გახლდათ; ამ ყველაფერს ჟურნალის სარედაქციო შემადგენლობა და, უპირველეს ყოვლისა, რედაქტორი როსტომ ჩხეიძე განსაზღვრავდა.

მაშინ, იმ წლებში «ომეგა» კულტურული ოაზისი იყო, სადაც სულისმოთქმა ნამდვილად შეგეძლო, ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ჯერ მარტო «ომეგას» სალონური შეხვედრები რად ღირდა?!

"ებლიტვო": ვიცით, რომ საკანდიდატო დისერტაცია უკანასკნელ ცისფერყანწელ კოლაუ ნადირაძის შემოქმედებაზე გაქვს... რას გვეტყვი მასზე, როგორც პოეტსა და ადამიანზე... ხომ არ ფიქრობ, რომ სხვა ცისფერყანწელებთან შედარებით ჩრდილში იდგა?

"ნინო": დიახ, საკანდიდატო დისერტაცია მართლაც დავიცავი კოლაუ ნადირაძის შემოქმედებაზე. მართალი გითხრათ, რომ არა როსტომ ჩხეიძე, ალბათ, აზრად არასდროს მომივიდოდა დისერტაციის დაწერა ამ თემაზე, რადგან ეს ყველაფერი რაღაცნაირად ჩემს პირად ცხოვრებას შეადგენდა და ამიტომაც ამაზე არც მიფიქრია.

პირველად კოლაუ ნადირაძესთან 19 წლისა მივედი. ეს შეხვედრაც რაღაც შემთხვევით მოხდა – უნივერსიტეტში მწერალთა წრის მდივანი ვიყავი და ერთ-ერთ საღამოზე რეზო მიშველაძემ მითხრა, რა კარგი იქნებოდა კოლაუ ნადირაძესთან რომ წასულიყავი და ინტერვიუ გაგეკეთებინა; ახლა მისი კრებული გამოვიდა – «რაც ლექსად ვერ ვთქვი» – და იქნებ ამ წიგნზე ესაუბროო. ამ რჩევისთვის დღემდე მადლიერი ვარ ბატონი რეზოსი, ის რომ არა, აბა მე რას მივიდოდი კოლაუსთან? ეგ კი არა, ხეირიანად არც კი ვიცოდი, ვინ იყო კოლაუ ნადირაძე. მერე შინ როგორ მიმიღო, არ იკითხავ? ტელეფონზე რომ ვუთხარი – ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი ვარ და თქვენთან ინტერვიუსთვის მოსვლა მინდა-მეთქი, ისეთი მკაცრი ხმით მკითხა, კომუნისტი ხომ არა ხარო, რომ კინაღამ ყურმილი დავკიდე და გავჩუმდი. ეტყობა, სიჩუმემ გააბრაზა და ისევ გამიმეორა მკაცრად – რა ვერ გაიგეთ, კომუნისტური პარტიის წევრი ხომ არა ხარო? არა, ბატონო კოლაუ-მეთქი, ვუთხარი. აბა, მაშინ მოდიო... ჰოდა, რომ მივედი, ერთხელ ისევ «გადაამოწმა», კომუნისტი ხომ არ ვიყავი და რომ დარწმუნდა არ ვცრუობდი, მხოლოდ ამის შემდეგ მიმიღო. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და მე და კოლაუ ნადირაძე ძალიან ძალიან დავმეგობრდით და იმ დღიდან მოყოლებული, ვიდრე მის გარდაცვალებამდე, ალბათ კვირა არ გავიდოდა, მასთან რომ არ მივსულიყავი.

იცით, ახლა ძალიან ვნანობ ყმაწვილური დაუდევრობით რომ მოვიქეცი და ბევრი რამ უფრო წვრილად არ ჩავიწერე მისი ნაამბობიდან. ვთქვათ, პაოლო იაშვილის უკანასკნელი ღამე. იგი ხომ მართლაც ცოცხალი მემატთანე იყო. მეტად პრინციპული და გამორჩეული. ბატონი კოლაუ ინახავდა იმ გარდასული ეპოქის სულს, რომელმაც ვფიქრობ, დღემდე მოიტანა საქართველო. ეროვნული მოძრაობა ახალი დაწყებული იყო და 1989 წელს ჩვენი ქართული, პატარა, სამფეროვანი დროშა რომ ვაჩუქე, ძალიან გაიხარა. შემდეგ მისი მეუღლე – ქალბატონი ნორა მომიყვა: 26 მაისს დემონსტრანტებმა, რომ ჩაიარეს ჩვენს სახლთან, კოლაუ ფანჯარასთან მივიდა, გამოალო და შენი ნაჩუქარი პატარა დროშა ააფრიალაო!

აი, როგორი იყო კოლაუ, და ახლა თუ არ გამაჩერეთ, შემძლია დაუსრულებლად ვისაუბრო მასზე; ამიტომაც თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოკლედ მოვჭრი. რაც შეეხება მის შემოქმედებას, კოლაუ ნადირაძის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ გადაეჯაჭვა ქართული სიმბოლისტური სკოლის არსებობას. პოეტმა შეძლო, საუკუნის დასაწყისისა და დასასრულის ლიტერატურულ პროცესებს შორის უწყვეტი პოეტური ძაფი გაეხა და სიახლისადმი დაუსრულებელი ლტოლვა ცხოვრების ბოლომდე შეენარჩუნებინა. მან თავის თავში ორი პოეტი გააერთიანა: ერთი სიმბოლისტი, მეორე კი, ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციების ჩინებული გამგრძელებელი.

ჰო, იყო თუ არა კოლაუ ნადირაძე ისეთი დაფასებული, როგორც უნდა ყოფილიყო? სწორედ ამის შესახებ აკაკი ბაქრაძე ბრძანებდა: ჩვენ ვალში ვართ ამ შესანიშნავი ლირიკოსის წინაშე. მაგრამ კრიტიკის ასეთი დუმილი და ლამის სრული იგნორირება, ვფიქრობ, ერთი მხრივ, იმანაც განაპირობა, რომ ქართველები ვართ, საქართველოში ვცხოვრობთ და კოლაუს არ აპატიეს გალაკტიონისადმი ასეთი დამოკიდებულება (კოლაუ გალაკტიონს, როგორც დიდი პოეტს, არ სცნობდა და თვლიდა, რომ არა ცისფერყანწელთა სკოლა, გალაკტიონი არ იქნებოდა იმ რანგის, იმ სიღრმის პოეტი როგორც იყო) – ეს ერთი.

მეორე მიზეზი მისი ჩრდილში ყოფნისა მისი ასკეტური ხასიათი გახლდათ. ის ისეთი უკომპრომისო იყო, რაღაცით, ხასიათის ბევრი თვისებით, შეიძლება ვაჟა-ფშაველასაც კი შევადაროთ.

და მესამე და უმთავრესი – კოლაუ ნადირაძეს ყოველთვის ჩრდილში უყვარდა დგომა, არც ყანწელთა დროს გამოირჩეოდა რადიკალური გამოსვლებით, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ძლიერი მუშტი ჰქონდა და ყველა უფრთხოდა მასთან გაპაექრებას, ცდილობდნენ, საქმე დარტყმამდე არ მისულიყო.

მახსოვს, ერთხელ მითხრა – იმ დღეს ტროლეიბუსიდან დავინახე, ვიღაც კაცი ქალს ურტყამდაო და ტრანსპორტიდან ვერ ჩამოვხტი, თორემ იმ კაცს ვუჩვენებდი სეირსო (ამ დროს კოლაუ უკვე 90 წლის იყო). მე მაშინ სიტყვა შევუბრუნე და ვუთხარი – თქვენ რა იცით, იქნებ, ის ქალი-მეთქი, და არ დამამთავრებინა, გაბრაზდა, როგორ შეიძლება, რაც არ უნდა იყოს, კაცმა ქალზე აღმართოს ხელიო?! აი, როგორი იყო კოლაუ ნადირაძე და, სხვათა შორის, ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ იგი წარმოშობით სვანია; ამაზე ის ხშირად არ საუბრობდა, მაგრამ ერთხელ მომიყვა თავისი გვარის წარმოშობის ამბავი.

"ეპლიტფო": შენ ხარ ავტორი წიგნისა «ამბავი დიდი სიყვარულისა», რომელიც დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის ძმის – ლევანისა და მისი მეუღლის – მარია ჰოფმანის სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს. რას იტყობდი ამ ისტორიის შესახებ?

ნინო: «ამბავი დიდი სიყვარულისა», ეს წიგნი მართლაც უცნაური, დიდი, უდიდესი სიყვარულის ამბავს გვიყვება.

ლევან ლეონიძე, გიორგი ლეონიძის უფროსი ძმა, წარმოსადეგი ვაჟკაცი, თვალსაჩინო სპეციალისტი (ზოოტექნიკოსი გახლდათ), მრავალმხრივად განათლებული, დიდი პატრიოტი, სწორედ იმ ტიპის ინტელიგენტი ყოფილა, 37-იანი წლების რეპრესიებს რომ ვერ გადაურჩებოდა. მის შესახებ კოლაუ ნადირაძე მიაბობდა ხოლმე, მაგრამ მთავარი – მისი და მარიას სიყვარულის ამბავი, მოგვიანებით შევიტყვე. მაშინ, როცა ჟურნალ «ომეგაში» ვმუშაობდი და ჩემმა უფროსმა მეგობარმა თამაზ ნატროშვილმა მკითხა: ერთი საინტერესო ისტორიის

შესახებ თუ დაწერ რაიმესო. მერე რედაქციაში ლევანის აწ უკვე გარდაცვლილი შვილი – ქალბატონი ლილი მოვიდა და მამის არქივი მომიტანა. ერთ საღამოს ამ არქივს ჩავუჯექი და მივხვდი: ის ყველაფერი, რაც ხელთ მქონდა, უნიკალური და არაჩვეულებრივი იყო, განსაკუთრებით ლევანისა და მისი გერმანელი მეუღლის სიყვარულის ისტორიამ შემძრა და ამაფორიაქა. ამაზე ალბათ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. ეს ისტორია, მერწმუნეთ, რაც მეტი დრო გავა, უფრო მეტად დაემსგავსება მითსა თუ დიდ ლეგენდას სიყვარულზე. ამბავი თითქოს ბანალურადაც კი იწყება – დიდი გერმანელი მრეწველის – ადამ ჰოფმანის ქალიშვილმა სამშობლო მიატოვა. მისთვის სრულიად უცნობ მხარეში ერთ ღარიბ, მაგრამ სულიერად და უდიდესი ძალისა და ნიჭის პატრონს, ლევან ლეონიძეს საქართველოში გამოჰყვა. და შემდეგ იწყება ის რაც ლეგენდად იქცა, ამბავი, თუ როგორ უერთგულა მართლაც კუბოს ფიცრამდე ამ გერმანელმა ქალმა ქართველ მეუღლეს.

მარიას დღიურებს თუ წაიკითხავთ, მიხვდებით თუ რა ძალა აქვს სიყვარულსა და ერთგულებას. წარმოიდგინე, უმდიდრესი, ფუფუნებაში გაზრდილი გერმანელი ქალი, როცა ქმარს დაუხვრეტენ, ლევანის მშობლიურ სოფელში – პატარძელში ჩასახლდება და კახელი გლეხის ქალივით გასწევს ოჯახის ჭაპანს? მარია ჰოფმანი, ჩვენებურ მაროდ გადაიქცევა და რაც არ უნდა ბანალურად მოგეჩვენოს ჩემი ნათქვამი, შვილებს უმამომას არ შეამჩნევიან! ეს ხომ თითქმის დაუჯერებელია და უცნაური; და აქ ერთ პატარა დეტალზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება: თავის დროზე, როცა მარია პირველად ქორწინდებოდა, მამამისმა ადამმა, თავდაპირველად ნიშნობა ჩაშალა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ მარია ისე ნებიერად გავზარდე, მისი ყველა სურვილის შესრულებას ჩემი მომავალი სასიძო – კარლ ვიხმანი ვერ შესძლებსო. არადა, საქართველოდან ჩასულ ხელმოკლე მეცნიერს სრულიად უყოყმანოდ დართო ნება ქალიშვილზე დაქორწინებისა.

მარიას მეორე ქორწინება შედგა – ლევანთან ორი შვილი – ლილი და ლევანი შეეძინა.

როცა პატარა ლევანი დაიბადა, მამიმისი უკვე ციხეში იყო და იქედან წერდა ერთ ლამაზ «ნანას», აი, როგორ ტკბილხმინას:

მიარე ჩემო დედაო,
ნუ შეგაშინებს დარდია,
ბიჭი ვარ, კაცად გავხდები,
წლებების გავლა მარდია.
მე დაგიფასებ ამაგსა,
როცა გავხდები დიდია.
დედა-შვილს ძუძუ აერთებს
და სიყვარული – ხიდია.
ნუ გეშინიან დედაო,
მამა მოგივა მალეო,
სულ მალე დაგავიწყდება,
რაც დღეინ გაიმწარეო.

ვინ იცის, იქნებ შემდგომში სწორედ ამ სტროფებმა მისცა ბიძგი გიორგი ლეონიძეს, დაეწერა ის ცნობილი ლექსი, რომელშიც უცნობ ჯარისკაცს თავისი ძმის სახელი დაარქვა.

იცით, მარიას წლების შემდეგ, გერმანიაში დარჩენილმა ძმებმა შესთავაზეს სამშობლოში შვილებთან ერთად დაბრუნებულიყო, მაგრამ ცივი უარი შეუთვალა და რატომ, არ იკითხავ? იმიტომ რომ... როცა ლევანი დაბრუნდება, მე, მისი ცოლი, აუცილებლად თავის კერაზე უნდა დავხვდეთ!

დიახ, ასეა, ერთი შეხედვით მის საქციელსა და ფიქრებში ლოგიკა არ არსებობს? მაგრამ რა უნდა ლოგიკასა და ცივ განსჯას იქ, სადაც ნამდვილი სიყვარულია?!

სადაც რეალობა კარგავს თავის პირვანდელ სახეს და ლეგენდად იქცევა.

"ებლიტვო": რას გვეტყვი ქართულ თეატრზე, მის წარსულზე, თანამედროვეობასა და მომავალზე?

"ნინო": რა შემიძლია რომ თეატრზე გითხრა? ალბათ ის, რომ... ძალიან მიყვარს; ეს ის სამყაროა, რომელიც ბავშობიდანვე თავისი, განსაკუთრებული ზემოქმედების წყალობით წარუშლელად ჩაიბეჭდა ჩემს ცნობიერებაში.

გამორჩევით მიყვარდა მარჯანიშვილის თეატრი; შეიძლება ვთქვა, რომ მთელი ბავშვობა და სიყმაწვილე იქ მაქვს გატარებული.

და რომ იტყვიან, სიბერეში ოცნება სანახევროდ ავიხდინე. როცა თეატრალურმა უნივერსიტეტმა უმაღლეს დამთავრებულთათვის თეატრმცოდნეობის კურსებზე მიღება გამოაცხადა, ქალბატონი ნათელა არველაძის რჩევით, მის ჯგუფში მოვხვდი. მერე ისე აეწყო ჩემი ცხოვრება რომ სადოქტორო დისერტაციისთვის შერჩეული (თემურ ჩხეიძის შემოქმედების კვლევას ვაპირებდი) თემა შუა გზაში გავწყვიტე და დისერტაციის დაცვაზეც ხელი ავიღე, მაგრამ ჩემთვის ხანდახან მაინც ვცოდვილობ ხოლმე და პერიოდულ პრესაში სტატიებსა და ინტერვიუებს ვაქვეყნებ. ეს ყველაფერი ერთ წიგნადაც მაქვს შეკრული.

თუკი ჩემი აზრი ვინმეს აინტერესებს, ვიტყვი, რომ დღეს ქართული თეატრი მაინც ორი დიდი შემოქმედის – თემურ ჩხეიძისა და რობერტ სტურუას ხაზით მიდის. ხოლო რობერტ სტურუა და თემურ ჩხეიძე ვისი მოწაფეებიც არიან, ყველამ კარგად იცის. მე მხოლოდ ერთს შევნიშნავ: დიდი მიხეილ თუმანიშვილის სკოლის გამგრძელებლად უფრო თემურ ჩხეიძე მიმაჩნია, ვიდრე რობერტ სტურუა. იგი მართლაც დიდი რეჟისორია, მაგრამ ჩემთან, როგორც ადამიანთან, უფრო ახლოს არის თემურ ჩხეიძის ესთეტიკა, ვიდრე რობერტ სტურუასი. ამიტომაც ის ესთეტიკა, რასაც ახლა ირჩევს წამყვანი ქართული თეატრები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჩემთვის უინტერესოა და უღიმღამო. ამაზე უფრო კონკრეტულად და დაწვრილებით საუბარი, გარკვეული მოსაზრებების გამო, ნამდვილად არ მსურს.

XXI საუკუნის «თამაში»

"ებლიტვო": ბელა, შენ ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვი დადებითი აზრი «ებლიტვოსა» და აღმანახ «თაობების» შესახებ. «თაობების» პირველ ნომერში შენი ლექსიც დაიბეჭდა. მომდევნოშიც დაიბეჭდება ლექსი, რომელიც, ჩემი აზრით, შედეგურია. აღმანახ «თაობების» გამოცემას ლიტერატურულ წრეებში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. მაინტერესებს, შენ რას ელოდი ამ აღმანახისგან და რა მიიღე, როცა ის ხელში დაიჭირე? შენი აზრით, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ის უკეთესი გახდეს?

ბელა ჩეკურიშვილი: ქართველი მკითხველი მოწყურებულია ლიტერატურულ პერიოდიკას, შეიძლება ითქვას, რომ ნოსტალგია აქვს. ბოლო წლებში, ფაქტობრივად, არაფერი აღარ შეგვრჩა, თუ არ ჩავთვლით როსტომ ჩხეიძის «ჩვენ მწერლობას» და მიხო მოსულიშვილის «ლიტერატურულ პალიტრას». პერიოდულად გამოდის ჟურნალი «საუკუნე» ლაშა თაბუკაშვილის თაოსნობით; ბოლო დროს ჟურნალმა «ცხელმა შოკოლადმა» დაიწყო ლიტერატურული დანართის გამოცემა, რომელსაც ალმანახის სახე აქვს...

არ ვიცი, რა ხდებოდა იმ წლებში, როცა ლიტერატურული პერიოდიკა აქტიურად გამოდიოდა. დღეს ინტერნეტსივრცემ გამოავლინა უამრავი ნიჭიერი ადამიანი, რომელთაც მკითხველი და საზოგადოება არ იცნობს. ცოტა უცნაურია, რომ ამ ადამიანებმა უბრალო „თამაში“ დაიწყეს – მათ ლიტერატურულ საიტებზე „სათამაშო“ ფსევდონიმები დაირქვეს და დღემდე ასე მოდიან. ისინი უცნობებად რჩებიან ფართო საზოგადოებისთვის, ზოგჯერ კი მათი სახელები ძალიან სასაცილოდაც ჟღერს. თუმცა, შესაძლებელია ეს „თამაში“ XXI საუკუნისთვის მისაღები იყოს. პოეტები და მწერლები წინა საუკუნეებშიც ირქმევდნენ ფსევდონიმებს, რაც სრულიად მისაღები იყო და ამ ფსევდონიმებს ყოველთვის გარკვეული საფუძველი ჰქონდა. მაგალითად, როცა ტერენტი კვიციანიამ „გრანელის“ სახელით დაიწყო წერა, დიდი მოტივაცია ჰქონდა; იგივე ითქმის ლეო ქიაჩელსა და სხვებზე. დღეს კი ეს ფსევდონიმები ღიმილს იწვევს. თუმცა, ისევ ვამბობ, რომ ეს XXI საუკუნის მოვლენაა. ადამიანები ამ „ნიკებით“ თავიანთი ნაჭუჭიდან გამოდიან და სხვა სამყაროს ქმნიან. შეიძლება, ეს საკმაოდ ლამაზ თეატრალურ თამაშად მივიღოთ. ლიტერატურა ხომ არტისტიზმსაც გულისხმობს. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ახალი თაობა ძალიან ნიჭიერია. მე რომ სტუდენტი ვიყავი, ამდენი ნიჭიერი ადამიანი არ იყო. ვგულისხმობ უნივერსიტეტში არსებულ ლიტერატურულ წრეებს, იმ დროს, როცა სტუდენტური ალმანახი «პირველი სხივი» გამოდიოდა. სხვათა შორის, ეს ალმანახი «თაობებს» ჰგავს. «თაობები» აუცილებლად გვჭირდებოდა: ჩვენ ერთმანეთს ლიტერატურულ საიტებზე ვხვდებით და ერთმანეთის გაცნობის პრობლემა არ გვაქვს. ეს წინა თაობისთვის არის უფრო პრობლემური – ძალიან ხშირად აღნიშნავენ, რომ ახალი თაობა გაუნათლებელია და არაფერს კითხულობს. არა და, საიტებს თუ გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ უამრავი საინტერესო ავტორი და მკითხველი გამოჩნდა. მათ ლიტერატურა იციან, უყვართ კიდევ და განათლებულებიც არიან. იმ საბჭოთა დროსაც, რომელსაც ჩვენი მამები ასე ხშირად გვახსენებენ ხოლმე, ძალიან ცოტა კითხულობდა ლექსებს, წიგნებს და ძალიან ცოტა იყო განათლებული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ალმანახი «თაობები» ჩვენს თავს სწორედ იმ ადამიანებს აცნობს, ვინც ჩვენს ნაწარმოებებს ვერ კითხულობს ლიტერატურულ საიტებზე და ელექტრონულ სივრცეში, ვისთვისაც წიგნსა და ინტერნეტს შორის დიდი განსხვავებაა.

ალმანახ «თაობებს» არ აქვს იმის პრეტენზია, რომ სრულად ასახოს დღევანდელ საქართველოში არსებული ლიტერატურული რეალობა. უბრალოდ, მან თავი მოუყარა იმ ადამიანებს, ვინც «ებლიტფოს» სივრცეში ერთმანეთთან და მკითხველთან ურთიერთობს. ეს არის ერთი ლექსის, ერთი ნაწარმოების ალმანახი. მას აკადემიურობის ნიშნით ვერ შევაფასებთ და არც მოგვეთხოვება. ეს ანთოლოგია არ არის და არც გვქონდა ამის მოლოდინი. ანთოლოგიები თავის დროზე გამოსცეს მალხაზ ხარბედიამ და „კავკასიურმა სახლმა«, ხოლო «თაობებში» სხვადასხვა თაობებმა დააფიქსირეს თავიანთი ნაბიჯი ლიტერატურაში, თავიანთი ხმა ფურცლებზე.

ებლიტფო: აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ახალგაზრდებს მხარი დაუჭირეს გივი ალხაზიშვილიმა, ზურა რთველიაშვილიმა, ანა კორძია-სამადაშვილიმა, თამარ ფხაკაძემ, შენ... მნიშვნელოვანია, რომ «თაობებში» თავმოყრილია 68 ავტორმა ერთმანეთის მიმართაც ლოიალურობა გამოავლინეს – არავის უთქვამს, რომ ვინმეს გვერდით დაბეჭდვა არ სურდა...

ბელა: ვფიქრობ, როცა საქმე გვაქვს ხელოვნებასთან, უფროსი თაობის წარმომადგენელთა მხრიდან დაუშვებელია ახალგაზრდა თაობაზე ამრეხით ლაპარაკი. მაგალითად, „ამან ჯერ რა იცის, ჯერ მე უნდა დავბეჭდო“ ან „იმის დრო კიდევ მოვა, ჯერ მე უნდა ავიღო «საბა» და «რუსთაველის პრემია». ხელოვნება ხომ ის სივრცეა, სადაც ასაკი არ არსებობს.

ებლიტფო: ასაკი რომ არ არსებობს, ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია «ებლიტფო»...

ბელა: «თაობების» შექმნის არსიც სწორედ ეს იყო. მასში ნაწარმოებები გაერთიანდა არა დამსახურების, არამედ იმის მიხედვით, თუ რას წერენ ახლა. არ ვიცი, რას ვწერდი ადრე, სუსტი იყო ჩემი ლექსი თუ ძლიერი – ჩვენ „ასეთები“ ვართ ახლა. მე მგონი, სწორედ ეს არის ალმანახის ფუნქცია. ადრინდელი დამსახურებების აღნიშვნა და მომავალზე გათვლები ანთოლოგიებისა და რჩეული კრებულების საქმეა.

ებლიტფო: „თაობების“ ხუთი ნომერი თუ გამოვიდა, შემდეგ აქედან ერთ რჩეულს შევადგენთ. ამ ეტაპზე კი მათ, ვინც ამ პროექტს გამოეხმაურა, ლექსებს ვერ დავუწუნებდით; ჩვენ მათ არჩევანის სრული თავისუფლება მივეცით. რაც შეეხება დაბეჭდილი ნაწარმოებების დონეს, იგი ავტორთა გემოვნების ან სულაც სურვილის საკითხია.

ბელა: რატომ მოვიტანე გოგიტა არაბულისადმი მიძღვნილი ლექსი?! როცა ეს ლექსი დავწერე, ძალიან მაწუხებდა ჩემი თვითმკვლელი მეგობრის ტრაგედია. სულ ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა დავხმარებოდი მას. ასე დაიწერა ეს ლექსი. მინდოდა მისი დაბეჭდვა და დაიბეჭდა კიდევ – ამის საშუალება «თაობებმა» მომცა.

რაც შეეხება ალმანახის მეორე ნომერს, იქ უკვე ლექსები ავტორების კომენტარებით დაიბეჭდება; კომენტარებში ახსნიან, თუ რატომ დაწერეს ესა თუ ის ლექსი. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორ დავალაგებთ, რა ფორმით განვათავსებთ და როგორ შევფუთავთ ნაწარმოებს: რა ყდაში და ვინ ვის გვერდით აღმოჩნდება – 40 წლის ზურა რთველიაშვილი 16 წლის ბიჭის გვერდით, თუ 37 წლის ბელა ჩეკურიშვილი – 15 წლის გოგოს, ანდა ქალბატონი იზა ორჯონიკიძე რატომ შეიძლება აღმოჩნდეს „ნამცეცუნას“ გვერდით... დაიმსხვრა ის ჩარჩოები და ის კომუნისტური, ნაცრისფერი დროც წავიდა, როცა ყველაფერი მკაცრად გაფორმებულ წიგნებში იტკეპნებოდა. სამყარო ფერადია. აკადემიური სტილით არ უნდა შემოვფარგლოთ ლიტერატურა. ხარისხი ვეძებოთ ნაწარმოებში და არა – გამოცემის ფორმებში.

ებლიტფო: სხვათა შორის, არც ერთ ავტორს გამოუთქვამს პრეტენზია იმაზე, თუ ალმანახის რომელ გვერდზე უნდა დაბეჭდილიყო მისი ნაწარმოები. როცა ალმანახს ვაკეთებდით, წინასწარ მხოლოდ სამი რამ ვიცოდით: ბატონი გივი ალხაზიშვილის

ლექსი უნდა დაბეჭდილიყო პირველ გვერდზე – ამ ლექსს «ლოცვა» ჰქვია და ლოცვით დავიწყეთ. ბოლო გვერდზე უნდა ყოფილიყო შალვა ბაკურაძის «სტუმრის სიმღერა», ხოლო 22-ე გვერდზე განვათავსეთ თამარ ფხაკაძის ლექსი, რადგან ვიცოდით, რომ 22 რიცხვშია მისი შვილის დაბადების დღე და ეს დღე ძალიან უყვარს. სხვა ავტორები ისე განთავსდა, როგორც ტექნიკურად იყო შესაძლებელი და აქ სადავო არაფერია...

ბელა: ალბათ, ბევრს სწორედ ის არ მოეწონა, რომ ამდენი ავტორი ერთად აღმოჩნდა. იქნებ, ამაზე გაუჩნდათ პრეტენზია. უჩვეულო იყო მათთვის ამდენი კარგი ნაწარმოები ერთ აღმანახში.

„ლუსილუსიდან წიკო-მიკომდე“

ებლიტფო: მარიამ, თქვენთან საუბარს ლიტერატურაზე საბავშვო ლიტერატურით დავიწყებდი და საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?

მარიამ წიკლაური: საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, ბედისწერით ძალიან აქტიური ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ლიტერატურის ამ დარგთან. როგორც ამბობენ, ჩემი ზოდიაქოს ნიშნის მქონე ადამიანებს ბავშვებზე და მოხუცებზე განსაკუთრებული ზრუნვის მისია აქვთ თურმე დაკისრებული და არ ვიცი, ამის გამოა მართლა, თუ სხვა მიზეზით. საბავშვო ლიტერატურაში მუშაობაც გარკვეულწილად ამ ნიშანს ატარებს. ისე კი, ახლა საუბრისას დავფიქრდი, რომ ჩემი ზოდიაქო ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, საპირისპირო ასპარეზს სთავაზობს ადამიანს და მართლაც, მაქვს სრულიად განსხვავებული პროფესია და საქმიანობის სფერო და ამ სფეროშიც სრულიად განსხვავებული ჟანრობრივი მიმართულება ანუ საბავშვო და სადიდო ლიტერატურა. გვარიც კი ორი მაქვს, სასაცილოა, მაგრამ ფაქტია (თუმცა ამას საპატიო მიზეზი მოეპოვება). ისე კი, იმდენად დიდი და საოცარი სიტყვაა „ლიტერატურა“, კიდევ მერიდება მკითხველისათვის ამ სფეროში მოღვაწე ადამიანად თავის წარდგენა.

ებლიტფო: და მაინც, ამ ორიდან ერთ-ერთს აუცილებლად ექნება უფრო მნიშვნელოვანი ადგილი...

მარიამი: რა გითხრათ, ბავშვობიდან ვწერდი და არასოდეს არაფერი არ მიმიტანია დასაბეჭდად; რატომღაც ყველაფერს საგულდაგულოდ ვმაღავდი (რამდენიმე განდობილი მეგობარი კი მყავდა) და სწორედ ერთ-ერთ მათგანს უნდა ვუმაღლოდე, რომ ყველაფერი შემიწახა, და მერე, როცა დიდი გავიზარდე, დედა გავხდი და საბავშვოს წერასაც შევუდექი, ისე მოხდა, რომ პირველი თვითგამოცემა საბავშვო კრებული გავაკეთე. მერე უცებ დავბეჭდე ყველაფერი, გამოვეცი საბავშვო და სადიდო კრებულები, ვიმუშავე გამომცემლობის რედაქტორად, ვმუშაობ რადიოშიც, ვბეჭდავ პუბლიკაციებს, მომიწია საბავშვო აღმანახის რედაქტორობა, და ეს ყველაფერი ისე უცებ და ქარიშხალივით დამატყდა თავს, მეშინია, ასევე უცებ არ დამთავრდეს ყველაფერი.

თითქოს ჩემი არსებობა ახლა ამ წელთაღრიცხვით მუშაობს და აღარც კი მახსოვს, რომ იქამდე ვიკვლევდი ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ეკოლოგიურ მდგომარეობას, ვასწავლიდი ქიმიას, ვკერავდი ძალიან მძიმე წლებში, ვქსოვდი, სიამოვნებით ვართობდი კორპუსის ბავშვებს უტრანსპორტობისა და უშუქობის დროს საოჯახო

წარმოდგენებით, «საკვირაო სკოლით». ასე რომ, პროფესიონალი ლიტერატორი არ გახლავართ, სამწუხაროდ. მაგრამ ლიტერატურა და სიტყვიერება იმდენად დემოკრატიულია, იმდენად ჩემთვის გენეტიკურიცაა, რომ სიამოვნებად და წყალობად ვთვლი ნებისმიერ ჟანრში თუ კი მოვახერხებ რაიმე ღირებულის შექმნას. გზადაგზა გამოჩნდება, ჩემი ჩარევის გარეშეც, რომელი იქნება უფრო მნიშვნელოვანი. ალბათ მაინც ის, რომელშიც მეტ სიახლესა და ინდივიდუალურობას შევთავაზებ განებივრებულ მკითხველს და რომელსაც უკეთ შეფუთავს საგამომცემლო ბიზნესი, რომელთანაც, ჩემდა სამარცხვინოდ და გასაკვირად, დღემდე ვერ ავაწყვე ურთიერთობა. ამ მხრივ კი შანსები საბავშვო ლიტერატურას მეტი აქვს, ვნახოთ.

ეპლიტფო: და რით განსხვავდება მაინც ლიტერატურის ეს ორი დარგი?

მარიამი: ბავშვებისათვის წერამ ერთ რამეში დამარწმუნა: მას მართლა სჭირდება ბუნებრივი და განსაკუთრებული უნარის ფლობა, რომელიც ან გაქვს ან არა. და თუ კი გაქვს ეს უნარი, უნდა ჩაეჭიდო მას და არაფერში გაცვალო. დიდებისთვის, მით უფრო დღეს, ყველაფრის შეთავაზება შეგიძლია, – ბავშვებისათვის კი აბა, გაბედე და ნახე. თანაც ერთი ფანტასტიკური რამ აღმოვაჩინე: საბავშვო ლიტერატურა საერო ლიტერატურის ყველაზე სარწმუნოებრივი დარგია, რადგან იგი დაუეჭვებელი რწმენის მატარებელია სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაში, სიკეთის უცილობელი გამარჯვებისა. სადიდო ლიტერატურა კი სულ ეჭვებს ებრძვის და ვერც ამარცხებს ასე პირწმინდად, როგორც საბავშვო, ანუ ადამიანი საბავშვოს წიაღში სულ გამარჯვებულია და ფსიქოლოგიურადაც, სულიერადაც ფანტასტიკურად გრძნობს თავს. საბავშვო ისეთივე უძველესი მწერლობაა, როგორც სადიდო. ძველ მუმერებთანაც კი აღმოაჩინეს პერსონაჟი, მაიმუნი ლუსილუსი, ძალიან სასაცილო ვინმე. ცუდი ისაა, რომ ლიტერატურის მნიშვნელობა ან მართლა მცირდება ან ფუფუნებად იქცევა და ჯერ ვერ გამირკვევია, რა ხდება.

ეპლიტფო: თუ ასეთი შესანიშნავია ეს საბავშვო მწერლობა, რატომ დგას ამდენი პრობლემის წინაშე?

მარიამი: საბავშვოს წინაშე მდგარი პრობლემები აბსოლუტურად განსხვავებული მიმართულებებისაა. არსებობს საბავშვო მწერლის, საბავშვო გამომცემლის, საბავშვოს მკითხველის და ა. შ. პრობლემები. ყველას თავისი გასაჭირი აქვს. მე მწერლის გადასახედიდან გეტყვით. საბავშვო მწერლობის განსავითარებლად (გამომდინარე იქიდან, რომ შეიცვალა ეპოქა, დრო, ათასწლეული თუ საუკუნე, მენტალიტეტი, იდეოლოგია, ტექნოლოგიები, საგანმანათლებლო და პედაგოგიური მიდგომები) არაფერი ხდება. საბავშვო ლიტერატურა და საბავშვო წიგნი აღმოჩნდა მხოლოდ საგამომცემლო ბიზნესის შემოსავლის წყარო. დრო რაღაც სასიკეთოს აუცილებლად მოიტანს, მაგრამ თუ დავაჩქარებთ, უკეთესი იქნება. გამომცემლები, მეტ-ნაკლებად, ალთას არიან და მწერლები – ბალთას. ჯერ ისიც კი ვერ მოხერხდა, ერთი მუშა შეხვედრა ითავოს ვინმე მაღლიანმა და ელემენტარულად ეს ხალხი, ანუ თანამედროვე ახალი თუ ძველი მწერლები და გამომცემლები ერთმანეთს შეახვედროს, დაალაპარაკოს, დააფიქროს, დააჯეროს, რომ ისინი უერთმანეთოდ შორს ვერ წავლენ. ისინი ერთმანეთს არც კი იცნობენ (უტრირებულად ვამბობ). შეიძლება უხერხული იყოს ამის თქმა, მაგრამ წიგნის ბიზნესით (ამბიციებისა და სახსრების ფლობის გამო) ისეთი ადამიანებიც არიან დაკავებულნი, რომელნიც არ იცნობენ ლიტერატურას და მწერლებს, არ აქვთ ამ სფეროს შესახებ წარმოდგენა და არც სურვილი ამის ცოდნისა. სახელმწიფო სტრუქტურები ამ სფეროში არ ერევიან,

ვითომ. არადა, ძალიან ცუდად ერევიან, ძალიან ფეხმოკიდებულია ან ასე ჩანს სნობური, ნაცნობური, კლანური და სამწუხაროდ, პარტიული ინტერესები და დამოკიდებულებებიც კი. სად არის კონკურსები საბავშვო ლიტერატურაში, სად არის თემატური კონკურსები, რომ მოვთქვამთ, თანამედროვე მოზარდზე არაფერი იწერება? სად არის პრემიები, სად არის ჰონორარები? აბა ისე, ხელისშეწყობა დღეს რას ჰქვია, ჩემსავით გამოსაცემი წიგნები რომ უდევთ ჩემს კოლეგებს და გამომცემლები კი აინუნშიც არ გვაგდებენ? თუ ჩემსავით უჰონორაროდ და უხელფასოდ რომ მუშაობ და ბეჭდავ, თუ საკუთარი თანხით გამოცემულ წიგნს რომ მაღაზია არ გიდებს დახლზე და რომ დადოს, მაინცდამაინც სააგენტოს მეშვეობით უნდა შეიტანო, რომ ფასი კიდევ გაიზარდოს და იმანაც ისარგებლოს, ვისაც თითო თითზე არ დაუდევს შენი წიგნის გამოცემაში და მაღალი სასტამბო ფასის გარდა კიდევ 40%++++40%+++.

მომატებული ფასი უხდება წიგნს. თუ რეცენზიას ან კრიტიკულ წერილს არავინ დაწერს, რომ საზოგადოებას წარუდგინოს შენი ნამუშევარი, თუ იმ რეცენზენტს მერკანტილური მოსაზრებებით არ დააინტერესებ ან არ გამოუცემ რამეს, ან არ გადაუხდი პირადად? ესაა ნორმალური და ეს მოანდომებს ვინმეს ამ სფეროში მოღვაწეობას? სხვისი დაწერილი ლექსებით სავსე კრებულებს რომ სცემენ სტამბის მესაკუთრეები და მათი ცოლები ან სოლიდური გამომცემლები და სხვის საკუთარს ისაკუთრებენ, ძველ ავტორთა უკვე პოპულარულ გვარებს რომ იყენებენ რეკლამირებისთვის, ახლებმა რა ქნან, სიკვდილს ელოდონ? ერთი კარგი სასამართლო პროცესი საავტორო უფლებების დარღვევისათვის და უმაღლ დაამუხრუჭებდნენ ეს ადამიანები, მაგრამ რას იზამ, დღეს იმათი დროა და მაინც მჯერა ნიჭიერება რომ იმარჯვებს და სანთელ-საკმეველი თავის გზას რომ არ კარგავს.

უმთავრესი პრობლემა მაინც საზოგადოების სულიერი და მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, თორემ, თუ კეთილი ნება იქნება და პოლიტიკას არ გადაგვაცოლეს, მწამს, ეს პრობლემები მოგვარდება, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც.

ბოდიში ჩემი ტონისთვის, მაგრამ სამწუხარო რეალობაა და მე მხოლოდ ფაქტები მაღაპარაკებს.

ებლიტფო: დავიჯერო, არავინ აპროტესტებს?

მარიამი: არ ვიცი, მე პირადად არ ვერიდები ამ საკითხებზე ლაპარაკს, რადგან მგონია, რომ საუბრითაც შეიძლება საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლება და სასიკეთო ზეგავლენა და იმასაც ვხვდები, რომ ჩვენი პრობლემები ჩვენვე უნდა მოვაგვაროთ. რადიო „ივერიაში“, აგერ ერთი წელია, რაც საბავშვო ლიტერატურის წინაშე მდგარ პრობლემებზე ვსაუბრობთ, არ ვფიქრობ, რომ უშედეგოდ. ჯერჯერობით ტელესივრცე ვერ დავაინტერესეთ, ამ საკითხებზე «თოქმოუ» გაიმართოს, და ვნახოთ. კონკრეტულ საქმეებსაც ვაკეთებთ მეგობრებთან ერთად. ჩვენს საზოგადოებაში სნობური დამოკიდებულებები ბევრ რამეს წყვეტს, – თანაც ვინც უკვე ტელეფონისა და ვისაც ამაზე ხელი ადვილად მიუწვდება, ის თავად არ არის ამ სფეროთი დაკავებული და დიდად არ აინტერესებს, თორემ უჩვენოდაც მოახერხებდა.

ებლიტფო: თქვენ რას იტყობით თანამედროვე მწერლობაში ქალის როლსა და მნიშვნელობაზე, მათ შორის საბავშვოში?

მარიამი: ქალის წილი შემოქმედებაში მცირე არასოდეს ყოფილა და მით უფრო დღეს, მაგრამ მამაკაცთა უპირატესობას სრულიად სხვა ფენომენი განსაზღვრავს,

რომელთაგან ბევრი ყოველთვის დარჩება განმსაზღვრელ ფაქტორად.. ნიჭიერებას არ ვგულისხმობ. საქართველოს მაგალითზე კი ერთი რამ უნდა ვთქვა: მამაკაცები უფრო ადვილად ახერხებდნენ ერთმანეთის მიმართ თანადგომას და კეთილგანწყობის მოპოვებას, თუნდაც ჭიქა ღვინოზე, პურმარილზე და ასეთი მამაკაცური რამეებით, ქალები კი ასეთ რაღაცეებში ყოველთვის ჩამორჩებიან და მათზეც ნაკლებია საუბარი და წერილები და ა. შ. ანუ პირადი ფაქტორი ბევრ რამეს განსაზღვრავს და ამის პოტენცია მამაკაცს მეტი აქვს, თუმცა ქალებსაც არანაკლები. საბავშვოში ჩემთვის ქართველებიდან, ქალთა შორის, იდეალია მაყვალა მრევლიშვილი. მაგრამ მაინც პირველმა მან ვერ მიიღო რუსთაველის პრემია, რადგან ქალი იყო და თანამდებობრივად არაფერს წარმოადგენდა. თანამდებობებსაც მამაკაცები უფრო იკავებდნენ, და რომ გადაიკითხავ კრიტიკულ წერილებს თუნდაც საბავშვო ლიტერატურაში, აშკარად ჩანს თანამდებობრივ იერარქიათა ურთიერთმიმართება. დღეს ეს ბალანსი უფრო გაწონასწორებული მეჩვენება. სამაგიეროდ, დღეს აღარ არსებობს შეფასებითი მაღალპროფესიული კრიტერიუმები და ის, რაც არსებობს, არა თანამდებობრივი ფაქტორითაა განსაზღვრული, არამედ უფრო პირადი ნაცნობ-მეგობრობით. არავინაა იმის გამკითხავი, ვინ რას წერს, თუნდაც საბავშვოში, რას იმეორებს, რას იპარავს ქართველი თუ უცხოელი ავტორიდან ან ფოლკლორიდან ურცხვად, რა სიახლეს გვთავაზობს: ეს კი ცუდია. საბავშვოსაც სჭირდება შეფასება. ჩვენ პატარა ქვეყნის მოქალაქეები ვართ და ბევრ პრობლემას ესეც განაპირობებს.

ებლიტფო: მძიმე სურათი დაგვიხატეთ, მარიამ, და ნუთუ მართლა ასე რთულადაა ყველაფერი?

მარიამი: იცით, რომ იტყვი და გააშიშვლებ პრობლემას, მწამს, მას უფრო ადვილად მოერევი და დაძლევ. ნამდვილად არ მიხარია, რომ ასეთ პასუხებს გაძლევთ, მაგრამ აღიარებული დამალულს ყოველთვის ჯაბნის. მე შეგნებულად არ მოვახდინე პერსონიფიცირება იმათი, ვინც დგას ამის უკან, მაგრამ იქნებ თავიანთი თავი დაინახონ და თავად გადაწყვიტონ, როგორ მოიქცნენ. არც მსაჯულად გამოვდგები. მე უფრო ჩემი და ჩემი კოლეგების გულისტკივილი გაგიზიარეთ.

ებლიტფო: საკუთარ შემოქმედებაზე კი არაფერი გითქვამთ.

მარიამი: არა უშავს, მომავლისთვის იყოს. საინტერესო ის უფრო იქნება, შემოქმედებაზე სხვამ ილაპარაკოს. მხოლოდ წიგნებს დავასახელებ: „დედის ნამღერი ლექსი», „შეხვედრა», „წიკო-მიკო», „შემომძახიან ლექსები», „ბრანდი-ბრუნდი», „საალილო», «ნისლის ფრთას გავშლი». აქედან სამი სადიდოა, ოთხი საბავშვო. მიუხედავად დიდი პრობლემებისა, სიხარულიც დიდი მოუტანიათ ჩემთვის (შეიძლება დაუმსახურებელიც).

ებლიტფო: «ებლიტფოს» რას უსურვებთ?

მარიამი: ბევრ კარგ მკითხველს, ავტორს და ბეჭდურ გამოცემებს. მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, მით უფრო ახლა, როცა ასე ცოტა ჟურნალ-გაზეთი გამოდის; ამკვიდრებს სიახლესაც, რადგან ინტერნეტ-სივრცეშიაც კი ლიტერატურულ ცხოვრებას თავისი ფაქიზი დამოკიდებულებები ესაჭიროება და „ებლიტფო», ამასაც ახერხებს, მაგრამ უმთავრესი სხვა რამ არის: ადამიანური ურთიერთობების ხიბლი, რომელიც ვირტუალურ სივრცეშიაც კი უმთავრესია და რომელიც აქ ყოველთვის იგრძნობა.

გაილიმე, პოეტი ფოტოს იღებს...

ებლიტფო: ვასო, დარწმუნებული ვარ, მარიამ წიკლაურის პასუხებს «ებლიტფოს» კითხვებზე უკვე გაეცანი... მძიმე სურათი დაგვიხატა მარიამმა... რას დაამატებ... რაში ეთანხმები და რაში არა?

ვასილ გულეური: მარიამი არა მარტო კარგი პოეტი, არამედ საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი გულშემატკივარია და ბევრ რამეს აკეთებს მეგობრებთან ერთად ამ ჟანრში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. როგორც თავად აღნიშნა, ამ პრობლემებს მწერლის გადასახედიდან უყურებს და თუ სურათი მძიმეა, მის შესაცვლელად დროულად უნდა ვიზრუნოთ. ამას კი ერთი და ორი ადამიანის ძალისხმევა არ ეყოფა.

რევაზ ინანიშვილს აქვს ერთი პატარა მოთხრობა, სადაც იხსენებს შეხვედრას ცნობილ იტალიელ საბავშვო მწერალთან ჯანი როდართან. რევაზ ინანიშვილი 1978 წელს, საბჭოთა დელეგაციასთან ერთად, რომში იმყოფებოდა საბავშვო წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე. დელეგაციაში იყვნენ მწერლები, მხატვრები, გამომცემლობების წარმომადგენლები... მწერალი გაოცებული წერს, რომ ფესტივალზე მხოლოდ ლონდონის გამომცემლობებს 40 სტენდი ეკავათ, ხოლო მთელი საბჭოთა კავშირის გამომცემლობები წარმოდგენილი იყო... 2 სტენდით. ეს ხდება 70-იანი წლების ბოლოს, როცა საბჭოთა კავშირში თითქოსდა უმნიშვნელო ყურადღება არ ეთმობოდა საბავშვო წიგნის გამოცემას. თუ საბჭოთა კავშირის მასშტაბებს გავითვალისწინებთ, თითქოსდა გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეს საქართველოში არსებული გამომცემლობები მსგავს გამოფენაზე თუნდაც ერთი სტენდით რომ იყვნენ წარმოდგენილი. მაგრამ მას შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა! სასიხარულოა, რომ 2007 წლის ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე ქართული გამოცემებიც გამოჩნდა. ეს კარგი ნაბიჯია, მაგრამ საკმარისი არ არის.

პრობლემები საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საქმეში, ჩემი აზრით, საკმაოზე მეტიცაა. მარიამმა აღნიშნა ბევრი მათგანი და აღარ გავიმეორებ. ერთს კი დავამატებ – დღეს ერთგვარი მოდაა უკვე პოპულარული და ცნობილი ნაწარმოებების შემცირებული, გამარტივებული, ე.წ. ადაპტირებული გამოცემები. საბავშვო ლიტერატურა თავისთავად ისეა დაწერილი, რომ ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი და გასაგებია. ნუთუ, საჭიროა მისი კიდევ უფრო გამარტივება, შეკვეცა, დაჭრა-დაჩეხვა და ბავშვებისთვის ასეთი სახით მიწოდება? მეეჭვება, ეს ბავშვებზე ზრუნვით იყოს გამოწვეული. განა შეიძლება, ვთქვათ, «ნაცარქექია» ან «წითელქუდა» ბავშვს სხვაგვარად მიაწოდო? არა მგონია, დღეს ასე პოპულარული «ჰარი პოტერის» გამარტივება და ადაპტირება მოუვიდეს ვინმეს აზრად.

ის, რომ საბავშვო ლიტერატურის ხელშესაწყობად საჭიროა ახალი ავტორების გამოვლენა, კონკურსების, შეხვედრების, წიგნის პრეზენტაციების ჩატარება, ამაზე აღარაფერს ვამბობ. ძალიან კარგ საქმეს აკეთებს საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი და როგორც ვიცი, საპატრიარქოს ხელშეწყობით, 27 ოქტომბერი უკვე დამკვიდრდა საბავშვო წიგნის დღედ. ეს უკვე კარგი დასაწყისია.

ებლიტფო: «გეტყვი, რომ შენ ძალიან კარგი პოეტი ხარ. შენი საბავშვო ლექსები, /ასევე მარიამ წიკლაურის/ ძალიან მომწონს და გული მწყდება, რომ საბავშვო

ლიტერატურას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ისინი, ვისაც წესით ევალება. სრული განუკითხაობაა საბავშვო წიგნებშიც. ადგენენ ანთოლოგიებს არამცოდნე ტიპები და ბეჭდავენ სრულ გაუგებრობებს. ამ სავალალო ვითარებაში მახარებს შენნაირი ნიჭიერი პოეტის გამოჩენა და ის, რომ სურვილი მაქვს შენი და მარიამის ლექსები ვასწავლო ჩემს შვილიშვილებს. ეს უკვე შეფასებაცაა ჩემგან და დაფასებაც იმისა, რასაც მაღალ დონეზე ასრულებთ.

გისურვებ წარმატებას» – ეს სიტყვები ბატონ გივი ალხაზიშვილს ეკუთვნის... მოდი, ბატონი გივის პოეზიაზე გვესაუბრე...

ვასო: ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს ასეთი შეფასება ბატონი გივისგან, ქართული მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლისაგან.

საერთოდ, ვფიქრობ, რომ პოეზიაზე საუბარს პოეზიის კითხვა ჯობია. ეს, ნახევრადხუმრობით. გივი ალხაზიშვილის ლექსები ყოველთვის ემოციის, განწყობის შემქმნელია. ხომ გინახავთ, წყარო რომ მორაკრაკებს, ქვიდან ქვაზე რომ გადადის და მიდის, მიდის... მისი პოეზია ასე გადადის სტრიქონიდან სტრიქონზე და მიედინება. თუ დაეწაფები, შეიგრძნობ, რომ ყველა სიტყვა სიყვარულით სუნთქავს.

«მე მომწონს ისეთი პოეზია, რომელშიც რეალური და ირეალური უცნაურად შეერწყმის ერთმანეთსო», – წერს ბატონი გივი. მისი პოეზიაც სწორედ ასეთია – რეალური და ირეალური საოცრადაა შერწყმული და ერთი მთლიანია.

ძალიან მახარებს, რომ ბატონი გივი ქართულ ინტერნეტსივრცეში არსებული ფორუმების აქტიური მონაწილეა და არა მარტო საინტერესოდ ესაუბრება უმცროსი თაობის წარმომადგენლებს, არამედ ხელსაც უწყობს, რომ მათი ნაწერი ინტერნეტსივრცეს გასცდეს და ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებიდანაც მივიდეს მკითხველამდე.

ებლიტფო: თაობებს შორის ურთიერთობა ახსენე. რამდენად არის ეს აქტუალური და საჭირო?

ვასო: თაობებს შორის ურთიერთობა ყოველთვის აქტუალური იყო. ეს, უფრო ხშირად, განსხვავებული შეხედულებები და ზოგჯერ დაპირისპირებაცაა, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი, საჭირო და სასარგებლო. მით უფრო სასარგებლოა, როდესაც ეს ურთიერთობები აზრთა გაზიარება და ერთმანეთის მოსმენაა. ბატონი გივის ურთიერთობა, მისი შეფასებები, მოსაზრებები, პირადად ჩემთვის, და დარწმუნებული ვარ, სხვებისთვისაც, ძალზე მნიშვნელოვანია.

უფროსი თაობის არაერთ საინტერესო ადამიანთან მაქვს ურთიერთობა. რადგან მწერლობაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო შესანიშნავი ქართველი მწერალი ვანო ჩხიკვაძე. გარდა იმისა, რომ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, ბატონი ვანო ჩემთვის მეგობარი და მასწავლებელიცაა. ამიტომ, გარდა იმ სიტუაციის, რაც ადამიანურ ურთიერთობებს მოაქვს, ვიღებ ცოდნას, გამოცდილებას... ეს ყოველივე სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ებლიტფო: რა კრიტერიუმებით აფასებ ლექსს, რამდენად კრიტიკული ხარ საკუთარი ლექსების მიმართ? საერთოდ რას იტყვი კრიტიკაზე?

ვასო: ლიტერატურული კრიტიკა აუცილებელია და ეს პროფესიონალმა კრიტიკოსებმა უნდა გააკეთონ. მე მირჩევნია წავიკითხო ჩემი ლექსების გარკვეული შეფასება, რეცენზია, ვიდრე მხოლოდ «კარგია» ან «ცუდია». ავტორი და კრიტიკოსი ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ. ვფიქრობ, დღეს საქართველოში კრიტიკის ნაკლებობაა.

პირადად, ჩემთვის ლექსის შეფასების ერთი კრიტერიუმი მაქვს – როცა კარგ ლექსს წავიკითხავ, აუცილებლად რაღაც ემოცია უნდა მომიტანოს – ან აღმაფრენა, ან სევდა, ან სიხარული. ლექსი უნდა შეიგრძნო, მოკლედ რომ ვთქვა, «მოვარდნილი მეწყერი» უნდა იყოს.

საკუთარი ლექსების შეფასებას, უპირველესად, საკუთარ შვილებს ვანდობ (ცხადია, მხედველობაში მაქვს საბავშვო ლექსები). ბავშვები ყველაზე ობიექტური შემფასებლები არიან, მათ ვერ გამოაპარებ ხელოვნურობას, ყალბ ფრაზას. თუ მათ «გამოცდას» წარმატებით გაივლის, უკვე თამამად შეიძლება მკითხველამდე მიტანაც.

ებლიტფო: ვასო, პირდაპირ ვამბობ: შენ საუკეთესოდ თარგმნი. როდის დაიწყე და რატომ?

ვასო: თარგმნა სტუდენტობის დროს დავიწყე, 90-იანი წლების დასაწყისში.

ჩემი პირველი ორი თარგმანი იყო ედგარ პოს «ელდორადო» და ჰენრი ლონგფელოს «წვიმიანი დღე». ისტორია შეიძლება საინტერესო იყოს: არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (გეპეის რომ ვეძახდით).

ინგლისურს სასხვათაშორისოდ ვსწავლობდით, კვირაში სულ ორიოდე საათი გვქონდა და ისიც სავალდებულო არ იყო. მასწავლიდა შესანიშნავი ქალბატონი, მანანა ქველაძე (რაც ინსტიტუტი დავამთავრე, მის შესახებ არაფერი მსმენია). მისი ლექციები იყო არა მარტო და არა იმდენად ინგლისურის, არამედ საინტერესო საუბრები პოეზიაზე, ხელოვნებაზე... ერთხელაც, როდესაც პოეზიაზე ვსაუბრობდით, წაგვიკითხა სწორედ ზემოთ ნახსენები ორი ლექსი და გვითხრა, თუ სურვილი გექნებათ, თარგმნეთ და შემდეგ ლექციაზე განვიხილოთ.

მეორე დღესვე ვთარგმნე, რაღაც ერთი ამოსუნთქვით. ლექციის დრო რომ მოვიდა, წავუკითხე. იმ პერიოდში გამოდიოდა ლიტერატურული გაზეთები «რუბიკონი» და «მესამე გზა». მანანა ქველაძეს თარგმანები მოეწონა და სწორედ ამ გაზეთების რედაქციაში გამგზავნა, სადაც მისი ნაცნობი მუშაობდა. ორივე თარგმანი დაიბეჭდა. ეს ჩემთვის ძალიან დიდი სტიმული აღმოჩნდა.

ამის შემდეგ პოეზიის თარგმნას უფრო მეტი გულისყურით მოვეკიდე, ძირითადად მაინც რუსულ პოეზიას, განსაკუთრებით XIX-XX საუკუნის პოეზიას, რომელიც ძალიან მიყვარს. პირველი იყო გუმბელი. შეიძლება იმიტომაც, რომ მისი ცხოვრება თბილისთან, საქართველოსთან იყო დაკავშირებული. შემდეგ ესენინი, ბუნინი. შევბედე ანა ახმატოვას, ცვეტაევას.

რატომ ვთარგმნი? ალბათ, იმიტომ რომ ამ პოეტების შემოქმედება ჩემთვის რაღაცნაირად ახლობელია; ლექსი, რომელსაც ვთარგმნი, იმ ემოციის მომტანია, ზემოთ რომ ვახსენე.

რა თქმა უნდა, თარგმანში მთარგმნელიც ჩნდება. თარგმანი მარტო ავტორის აღარაა, მაგრამ აუცილებელია, რომ ავტორი არ დაიკარგოს. ისე, ამ საქმესაც, აუცილებლად კრიტიკოსები სჭირდება. ძალიან მინდა წავიკითხო ობიექტური კრიტიკა, შეფასება.

ახლახან, თამარ კოტრიკაძესთან ერთად დავამთავრე მუშაობა ავსტრიელი პოეტი ქალის, ქრისტინე ლავანტის ლექსებზე, დათო ბარბაქაძის პროექტისთვის «XX საუკუნის ავსტრიული პოეზიის 30 ტომეული». მინდა დიდი მადლობა ვუთხრა დათოს და თამარს, ძალიან საინტერესო ავტორის აღმოჩენაში რომ დამეხმარნენ. ჩემთვის თვითონ მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო იყო. ალბათ, მალე გამოვა ეს წიგნი და ძალიან მაინტერესებს, მკითხველი როგორ მიიღებს.

ებლიტფო: ვასო _ შენ ესენინის «დედის წერილი» თარგმნე... ესენინზეც გვითხარი რამე და ამ ლექსზეც...

ვასო: ესენინი, რუსული სულის მატარებელი და ქართველი «ცისფერყანწელების» ძმა _ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი პოეტია. «დედის წერილი» ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მინდოდა მეთარგმნა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მერე დიდხანს მედო საწერი მაგიდის უჯრაში თარგმანის სხვადასხვა ვარიანტი. მხოლოდ ამ ორიოდ წლის წინ მივუბრუნდი და ერთ დღეში დავასრულე. ალბათ, მთელი ამ ხნის მანძილზე ჩემში გროვდებოდა ეს ყველაფერი.

ამ ლექსში და შემდეგ «პასუხში» ესენინი საკუთარ ტრაგიკულ ცხოვრებას ერთ სტრიქონში აჯამებს:

...Пока ж _ идет метель,
И тысячей дьячков
Поет она плакидой _
Сволочь-вьюга.
И снег ложится
Вроде пяточков,
И нет за гробом
Ни жены, ни друга.

ძალიან მიყვარს სიკვდილის წინ დაწერილი მისი ლექსი და აქ მთლიანად მოვიყვან:

До свиданья, друг мой, до свиданья.
Милый мой, ты у меня в груди.
Предназначенное расставанье
Обещает встречу впереди.

До свиданья, друг мой, без руки, без слова,
Не грусти и не печаль бровей, _
В этой жизни умирать не ново,
Но и жить, конечно, не новей.

მართლაც, არ ახალია ამქვეყანაზე სიცოცხლეც და სიკვდილიც. მთავარია, როგორ იცხოვრებ და როგორ მოკვდები.

ებლიტფო: შენ თუ არ ვცდები, ფოტომოყვარულიც ხარ...

ვასო: ფოტოგრაფია რომ ხელოვნებაა, დღეს ამაზე აღარ კამათობენ. ფოტოგადაღებით ბავშვობიდან ვარ გატაცებული, თუმცა დღემდე ვთვლი, რომ ფოტომოყვარული ვარ. ბავშვობაში მქონდა მამის ნაქონი აპარატი «ფედი». იმით ვიღებდი. შემდეგ «ზენიტი». მეზობელი მყავდა ფოტოგრაფი, მია ვაჟა. მის სახელოსნოში საათობით ვიყავი, იდუმალ წითელ შუქზე ვუყურებდი, როგორ იკვეთებოდა გამოსახულება ქალაღზე. ბევრი რამ სწორედ მან მასწავლა. ჩემთვის ზეიმი იყო, აბაზანაში საბეჭდ აპარატს რომ მოვამზადებდი, სინათლეს ჩავაქრობდი და მარტო, დამოუკიდებლად «სინათლით ვხატავდი».

დღეს ციფრულმა ფოტოგრაფიამ ბევრი რამ გააიოლა, მაგრამ ამავე დროს, ბევრ საშუალებასაც იძლევა, შემოქმედებითი თვალსაზრისით.

ფოტოგრაფია ჩემთვის თვითგამოხატვის საშუალებაა, ისევე როგორც პოეზია.

ებლიტფო: რა არის შენთვის სამშობლო და როგორც პოეტი, რას იტყვი პატრიოტულ ლირიკაზე...?

ვასო: სამშობლო მარტო მიწა-წყალი არაა, სამშობლო შენი დედაენაა, სამშობლო შენი თანამემამულეებია. თუ ადამიანი არ გიყვარს, ვერც ქვეყანას შეიყვარებ. პატრიოტიზმი «პატრიოტულ ბანაკებში» არ ისწავლება; პატრიოტიზმი შენი ენის, შენი ისტორიის, შენი ხალხის სიყვარულია.

როდესაც ჟურნალი «ომეგა» გამოდიოდა, ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი «გორელი კაცი ცხოვრობს ლონდონში». ალექსანდრე ბესტავაშვილი, საუკუნეს მიტანებული გორელი, ლონდონის ცენტრში ცხოვრობს. მის მიერ სამშობლოში გამოგზავნილ ყოველ წერილს მონატრება და სევდა ახლავს. ერთგან წერს, რომ როდესაც ათწლეულების შემდეგ სამშობლოში ჩამოსვლა შეძლო, მშობლიურ სოფელში, ატენის მხარეს წაიყვანეს. მდინარე ტანაში შესულა და წყალში მდგარა დიდხანს. ეს წყალი, ეს მიწა ძალას მმატებს, როგორც ანთეოსს და ძლიერი ვხდებიო. აი, ესაა სამშობლო!

საბავშვო ლექსი «ლუკას რუკა» რომ დავწერე, ზოგმა მითხრა, რატომ გიწერია, «საქართველო პატარაა»? მაგრამ, თუკი პატარაა, უნდა ვიძახოთ, ვეებერთელააო? პატარა რომაა, სწორედ მაგიტომ უნდა მეტი გაფრთხილება და მოფერება. თავად პატრიოტიზმის თემა ძალზე ფაქიზი და საფრთხილოა, რომ ხელოვნური პათოსი არ შეერიოს...

ებლიტფო: ვასო, მოდი შენი დანახული ქალაქი გორი გაგვაცანი

ვასო: ჩემი ქალაქი ძალიან მიყვარს. მიუხედავად გამუდმებული ქარებისა, გორი ძალიან მყუდრო, ოჯახური სითბოს მატარებელია, რაც პატარა ქალაქებისთვის არის დამახასიათებელი. გორი ყოველთვის იყო საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი კულტურული კერა. დღეს, როგორც ქვეყანაში, გორშიც ბევრი რამ დაულაგებელია და მოსაწესრიგებელი. ძალიან მაწუხებს, რომ ქალაქში წიგნის მაღაზია აღარ დარჩა, სათამაშო სახლები კი ყოველ ნაბიჯზე იხსნება. დიდი სურვილი მაქვს, გორში იყოს ლიტერატურული კაფე – საინტერესო, სასიამოვნო შეხვედრების ადგილი. ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანია ჩემს ქალაქში და მათთან ურთიერთობა ჩემთვის სასიცოცხლო ენერჯის მომცემია.

ჩემი სახლი გორის ციხის ძირში დგას და ბავშვობიდან, ყოველ დილით მის ქონგურებს შევყურებ. ჩემთვის ეს ისეთივე ყოველდღიურობად იქცა, როგორც მეზობლისთვის გამარჯობის თქმა. დიდი ხნით სხვა ქალაქში ვერ ვიცხოვრებ.

ზღვაზე მოარული ანასტასია

ებლიტფო: გამარჯობა, ანასტასია. ლამაზი სახელია. როგორ დაიბადა?

დარეჯან სუმბაძე (ანასტასია): გამარჯობა. ლამაზია. მის დაბადებაზე ბევრი ვილაპარაკე. ახლა მხოლოდ ვიტყვი: იმ დღეებიდან თავისდალწევასავით გამოვიგონე «ანასტასია», და მგონი, ძალიან დამეხმარა. ეს ერთგვარი ფსიქოთერაპია იყო – დღეს ასე ვთვლი.

ებლიტფო: მოგვიყვი შენიდან დანახულ შენზე.

ანასტასია: სულ ვმერყობ. ეს, თითქოს, ზღვარზე სიარულს ჰგავს ორმხრივი ცდომილებით. ხშირად მგონია, რასაც ვწერ, არავის სჭირდება და საერთოდ, ყველაფერი სისულელეა, გარდა იმ ძალიან რეალური სამყაროსი, რისი ფაქტებიც ჩემი შვილები არიან. მაგრამ ხშირად, როცა მეორე უკიდურესობისკენ ვიხრები, მაშინ ზუსტად ვიცი, ყველაფრის ბატონ-პატრონი ვარ, ყოვლისშემძლე. ეს მდგომარეობა ყველაფერს ამართლებს. ეს ის საუკეთესო მდგომარეობაა, როცა გარდაუვალია წერა, კეთება, კერვა _ წარმოსახვების ათვისება. ასეთი «ტყუპი» ცხოვრობს ჩემში და მაინც, ყველაზე სახიფათო იმ ზღვარზე სიარულია, როცა ვარ დაფანტული, ანუ მდგომარეობა: «სად ვარ?» «რა მიინდა?» და თუ ამას უკიდურესი გადახრა არ მოჰყვება და გაგრძელდება, ძალიან მიჭირს. ანუ ვიტყვი: ჩემი ცხოვრება ერთი გაწეილი გაურკვევლობაა. ჩემზე ბევრს ვლაპარაკობ, მაგრამ ეს ის ადამიანია, ვის გაგებასაც ყველაზე მეტად ვცდილობ და ყველაზე ნაკლებად ვახერხებ.

ებლიტფო: დიდი ხანია წერ და მხოლოდ ახლახანს გამოიცა შენი პოეტური კრებული «მეტალის პეპელა». რატომ სახელწოდება «მეტალის პეპელა»?

ანასტასია: ენტონი ბერჯესის გმირის არ იყოს, შემთხვევით, «მექანიკურად». ერთი «ჩვენი ძმა მწერლის» ფრაზა გახდა ამ სახის არქეტიპი. ის ამბობდა: «ჩვენ არა მხოლოდ ლომებზე, პეპელებზეც ვნადირობთ». პროცესი ნადირობის თავისთავად ხელოვნებაა. ფოლკნერის არ იყოს, საკუთარ თავში რომ აღმოგაჩენინებს საუკუნოვანი უღრანი ტევრის წინაშე საკუთარი სისუსტისა და უძლურების მწუხარე _ მორჩილების გრძნობას, როცა ნერწყვს სპილენძის გემო აქვს და რაღაც მკვეთრად იკუმშება ტვინში, თუ გულისკოვზთან, ღმერთმა უწყის, სად იკუმშება. მაგრამ, მეორე მხრივ, ცხოვრების მოდელიც ესაა: ყველგან გიწევს თავის დაცვა _ ყველაზე საყვარელ და სანდო ადამიანთანაც კი. ამიტომ თავისთავად დაიბადა ეს სახე მშვენიერებასთან, ფრენის ლტოლვასთან შერწყმული ძალა, რაც გადარჩენის, თავის დაღწევის სურვილი უფროა.

ამ კრებულში არ შემიტანია ტექსტები, რაც, შეიძლება ითქვას, არგამოცემულ «პირველ კრებულს» შეადგენდა. ისინი იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში, მაგრამ მიუხედავად ზოგიერთისადმი სუბიექტური სიყვარულისა, ასე ვამჯობინე. ტექსტები, რაც კრებულში მოხვდა, უმეტესად ბოლო წლების ნამუშევარია. მისი შერჩევისას უფრო კრიტიკული ვიყავი, ვიდრე ოდესმე. წიგნი უკვე რეალიზებული შენი წარმოსახვაა. როცა მკითხველი მას ხელს ჰკიდებს და განმარტოვდება მასთან, ეს იმას ჰგავს, თითქოს სამსჯავროს წინაშე დარჩი. მანამდე ხომ შენში რომ მკითხველი ცხოვრობს, ის გნსჯის, ის _ უტყუარი...

ებლიტფო: როგორ ფიქრობ, კითხვის კულტურა რას ცვლის ადამიანში? როგორი მკითხველი ხარ?

ანასტასია: დავაზუსტებ: არის «წამკითხველი» და არის «მკითხველი». ანუ, ერთია წაკითხვა, თვალის გადავლება, მეორე _ წაკითხული ტექსტის ათვისება, საკუთრად ქცევა. მე ხშირად ვფიქრობ და, ალბათ თქვენც, ვაითუ მავანს არ წაეკითხა ის, რისი ჩამონათვალითაც მოაქვს თავი. ნეტავ თუ შეიცვლებოდა რამე. ან იქნებ ჯობდა, არც კი ცოდნოდა მათი არსებობა. ნეტავ, რა ფსიქოსურათი იქნებოდა მაშინ? მგონია, ყველა იმ ხაზით ღრმავდება, რისკენაცაა მიდრეკილი დაბადებიდან. მიხარია როცა ვხედავ სულიერებასთან შერწყმულ ღრმა განსწავლულობას, მაგრამ სულიერებადაცლილი ღრმა უმეცრებაც ხომ არსებობს; ანუ, წიგნი მკითხველის

მთავარ ხაზს გამოკვეთს, ამკვეთრებს. და დიდი შემოქმედი უკეთესის იდეალთან დაახლოებაში გვეხმარება, მინდა მჯეროდეს.

ვერ ვიტყვი, კარგი ან ცუდი მკითხველი ვარ-მეთქი. ვკითხულობ ნელა. მიყვარს ტექსტის მაქსიმალურად ათვისება, დაგემოვნება, ანუ, არ გამომრჩეს წერტილი. ხშირად ვუბრუნდები წინა გვერდებს, გაუცნობიერებლად; იქნებ ამით სიამოვნებასაც ვიხანგრძლივებ და ვღებ «დასასრულის» უსიამოვნო განცდას, რაც ბავშვობაში დეპრესიაში მაგდებდა – მიჭირდა საყვარელ, შეჩვეულ გმირებთან დაცილება.

ებლიტვო: შენი აზრით, რა შეცვალა ინტერნეტ-სივრცემ?

ანასტასია: როგორც დამწერლობამ ზეპირსიტყვიერება, იქნებ, ეპოქა. შიში იმისა, რომ ზღვაში ბევრად ძნელია მარგალიტის პოვნა, გამძაფრდა. მაგრამ გამძაფრდა ძიების სურვილიც. დაჩქარდა დრო – ურთიერთობების, შეგრძნებების, ემოციების სიხშირე, რამაც თავის მხრივ, მეტი შესაბამისი სიტყვის მოთხოვნილება გააჩინა. დროის ფორმა – მობილურობა – ქმნის პოსტეპოქას – ფასეულობათა დაფასება-გადაფასების. ვინმესთვის კვდება ღმერთი. რჩება ადანიანი უღმერთოდ, უმისსიტყვოდ – უპოეზიოდ. აქ უმთავრესად პერსონალური ფსიქოკრიზისული სურათი მკვეთრდება. იქნემ მეჩვენება, მაგრამ, მსგავსი თეზისები დადის ელემენტარულამდე: ადამიანებმა დაკარგეს ჩვეული სტაბილური კომფორტი ახალ სივრცეში, ანუ მათთვის გამწვანდა წონასწორობის, უფრო ზუსტად, «პოეტის» სტატუსის შენარჩუნება. თითქოს საზოგადოებრივ ფორმაციათა შორის გარდამავალი დროა, რასაც ტერიტორიების გადანაწილება, გარდაუვალია, მოყვება. აი, აქ მინდა დავამშვიდო ისინი: ნუ წუხხართ, ბატონებო. შემეცნების ტერიტორიები უ-კიდე-განოა. უფრო მნიშვნელოვანია, რამე არ დარჩეს აუთვისებელი.

რა თქმა უნდა, ყველა საკუთარი მსოფლმხედველობის შესაბამისად, ეგუება ან იგუებს გარემოს, ან განსჯის: საკუთარი შეუგუებლობის მიზეზს სხვაში ეძებს. აი ლაკმუსი ინდივიდის «გასამჟღავნებლად». და თუ არა შემოქმედებითი მიდგომა, მაშინ ფიქრობ, ჩემით სამყარო დასრულდა, ანუ აქ იწყება ეგოცენტრიზმი.

ებლიტვო: ბევრად შორს დგანან ისინი, შენი შვილები, მათი თაობა?

ანასტასია: მახსოვს, იყო გადაცემა «სტუმრად ზღაპართან». მოსკოვის ტელეარხი უჩვენებდა პარასკეობით, და ჩემი ბავშვობა იმ გადაცემებს შორის ლოდინად იყო დაყოფილი. სამაგიეროდ, ბევრს ვკითხულობდით და ვოცნებობდით. ახლა ჩემი შვილების თაობისთვის ეს «ზღაპრები» სხვა ფაზაში გადავიდა, უფრო ხშირი და ტექნოლოგიური გახდა. ამ მიზეზით ფურცელს და წიგნს დასცილდნენ. თუმცა, ამ გარდაუვალობასაც ვერაფერს მოუხერხებ და აქ მშობლის ფაქტორი, როგორც არასდროს, უმთავრესია.

ებლიტვო: თვლი თუ არა კრიტიკას შემოქმედების სრულყოფის საშუალებად?

ანასტასია: ჩემი ერთი საყვარელი მწერალი იტყოდა, – ხელოვანს არ სჭირდება კრიტიკოსი, რადგან მისი საქმიანობა აღძრავს კრიტიკას. ხოლო კრიტიკოსის ნაწერი ყველაზე მოქმედებს, გარდა ხელოვანისა. მე ერთს დავამატებდი, გამონაკლისის სახით: როცა კრიტიკოსი არის დრო – ყველაზე პირუთვნელი და მიუკერძოებელი.

ებლიტვო: აქ გაგიმეორებთ კითხვას, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში შენს პირველ ლიტერატურულ საღამოზე დაგისვით: რატომ უწოდებენ საქართველოს მგოსნების მხარეს?

ანასტასია: ამ მხრივ აზრი არ შემცვლია.

ქართველოლოგმა ქვეინ თუითმა ერთხელ ასეთი რამ მითხრა: ამერიკელისთვის ლექსის წერა ისეთ საქმიანობათა შორისაა, რაზეც ხმამაღლა არ ლაპარაკობს. იქნებ ის წერს კიდეც, არ ამხელს. გაცეხას ვერ ვფარავ აქ: საქართველოში პოეტი თუ არა, უმეტესობა პოეზიის მოყვარულია. ამის მიზეზი თქვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა მგონია, რაც ევრო-აზიურ ფსიქოლოგიურ თუ კულტურულ საზღვარსაც და შერწყმასაც გულისხმობსო. გავაგრძელებდი: გულისხმობს ფსიქო-ემოციურ ტიპს, რომელსაც ჰქვია ქართველი და პოეზიით ფიქრობს. რაკი მისი მთების სიმაღლეებიდან უფრო ადვილია ღრუბლების გვერდით სიარული და მისი ზღვის დონეზე უფრო დაბლობიდან _ მიწის გულისფეთქვის მოსმენა. ანუ, ზე- და ქვე-სკნელის მდგომარეობა ერთად შერწყმული, როგორც მის მსოფლმხედველობაში, მითოლოგიაში, პოეზიაში. ბასილი დიდი კი იტყვის: «ჰარმონიულ სულებს ადვილად შეუძლიათ ასვლა სიმაღლეზე».

გაბმული სიმღერა

ებლიტფო: რა ასაკიდან წერ და რომელი მწერლებია შენთვის ყველაზე ახლობელი?

თუ არის მწერალი, რომლის სკოლის მოსწავლედაც მიიჩნევ თავს?

ნინო სადღობელაშვილი: რაც თავი მახსოვს, ვწერ. ძალიან მიყვარს ასე თქმა და ისიც, ასე თქმა რომ შემიძლია. ბავშვობიდან ვჯღაბნი რაღაცაებს, ეს სუნთქვასავითაა, ხან გახშირებული და ხან კიდეც სასიკვდილოდ დასუსტებული... მაინც სუნთქვაა და სხვანაირად არც შეგიძლია.

ჩემი მწერალი-გურამ რჩეულიშვილი! ეს არის კაცი, ვინც, სახარების მერე, მთელი ჩემი სული, ჩემი თავისუფლება განსაზღვრა. მასზე ლაპარაკს ვერასდროს მოვიწყენ... გურამი დიდი მწერალია, ოღონდ არ ვიცი ეს მისი სიდიადე რაშია, სტილში, ფიქრში, ხედვაში... ალბათ, ყველაფერში ერთად და განუმეორებლობაში, მძლავრ ხმაში, რომელიც ძალიან საჭირო დროს ძალიან დიდი სიმართლით გაისმა და დარჩა. გურამი, თავისი პიროვნული და შემოქმედებითი ლეგენდით... და რაც არ უნდა თქვან ლეგენდებს და მითებს ამხედრებულებმა, მაინც ასეა და მაინც კიდეც ბევრი დროა ალბათ საჭირო, ეს ლეგენდა დაღვინდეს, დადგეს, დანაყოფდეს და განამდვილდეს საფიქრალში და საგონებელში... კიდეც-მარკესი და ჰემინგუეი რომ ვთქვა რითი ვიქნები ახალი. მიყვარან აქეთ-ქეთი ნიჟარამის რაღაც-რაღაცები, გურამ დოჩანაშვილი, სულ სულ აქეთ კი დავით დეფი-გოგიბედაშვილის პროზით აღვფრთოვანდი ახლახან და ძალიან მიხარია, ერთ დროში რომ ვცხოვრობთ და ძალიან რომ მიყვარს. დეფის სიზმარი და გურამის ცხადი-აი, ჩემი მწერლობა და ჩემი სიყვარული! ეს ალბათ არის კიდეც ის სკოლა, რაზეც თქვენ მეკითხებოდით, და მე ის სამეზზე, მაგრამ დავამთავრე. ან იქნებ არც დამიმთავრებია და ყველაფერიც ჯერ მხოლოდ ახლა იწყება! არ ვიცი...

ებლიტფო: როგორ ფიქრობ, ხარ თუ არა პოპულარული და თუ ხარ, რას ნიშნავს შენთვის პოპულარობა, შეგიძლია თუ არა მის მისაღწევად გაიღო ყველაზე ძვირფასი რამ და, საერთოდ, რა არის შენთვის ყველაზე ძვირფასი?

ნინო: პოპულარობა ადრე რაღაც სახადი მეგონა. თუკი უკვალოდ და უშრამოდ მოიხდიდი, ხომ კარგი, თუ არადა, მთელი ცხოვრება ივლიდი მისი "ყვავილით". ახლა ამაზე ცოტა მეცინება, რადგან პოპულარობაც ჩვენთან სნობიზმის დიდი "ასპარეზია. უყურებ ვინმეს და გეცოდება, რომ ის ასე პოპულარულია, გინდა სადმე შენი ხელით გადამალო, გადაარჩინო თუკი რამე კიდევე შერჩა კარგი და ძვირფასი, და ოდესმე ისევ ამოუმზეურო შთამომავლობას! მაგრამ ამას ჩვენ ხომ არავინ გვეკითხება. ღირსება ყველაფერზე მაღლა დგას და თუკი პოპულარობაც იმას ნიშნავს, რომ შენი ღირსებით მოხიბლო ადამიანები, მაშინ, გაუმარჯოს პოპულარობას! მე ვარ თუ არა? არ ვიცი, არ მგონია. ვიღაცეებს ვუყვარვარ, ვიღაცეები უჩემოდაც მიცნობენ, ეს არ ნიშნავს რომ პოპულარული ვარ. არც ის, სადმე ჩემი ლექსი თუ გადააწერინა ვინმემ მეგობარს. პოპულარობა ის იქნება, შენს ფიქრს, შენს გზას და ბედისწერას უყოყმანოდ რომ გადასდებ გარშემო ყველას – მის მიმღებსაც და არმიმღებსაც, და შენც ამ უხილავი მძლავრი კავშირით იცხოვრებ. მე მარტო ვარ. ახლა ასე მიორჩევნია.

ებლიტფო: რას ნიშნავს შენთვის ლიტერატურული სტილი?

ნინო: ლიტერატურული სტილი – ესაა ყველაზე დიდი და ძლიერი ბალავარი იმ შენობისა, რასაც მწერალი სიტყვებით აგებს. სტილი არის დაუღალავი სწრაფვა, ძიება, შრომა, კარგვა და ისევ მოპოვება, დავიწყება და მეხსიერების უხსოვარობიდან ახალ-ახლის ისევ ამოტანა. ის ბედისწერასავითაცაა, თავს გაპოვნინებს, ოღონდ ბევრი რამ უნდა გაიღო ამისთვის-დრო, საზრუნავი, სიყვარული. და, სიკვდილამდე სტილიც ნახევრად დახატულ პროფილს ჰგავს მაინც, სიკვდილი გაამთლიანებს მხოლოდ მას და მიუჩენს ადგილს და სახელს.

ებლიტფო: შენს ცხოვრებაში, რომელი აღემატება, პოეზია თუ...?

ნინო: პოეზია უპირველეს ყოვლისა! პოეზია! სიკვდილამდე დავრჩები მისი და მხოლოდ მისი ერთგული! პოეზია ცხოვრებაცაა ჩემი და ეს ისეთივე უბრალოდ ნათქვამი ფრაზაა, როგორც შავი პურის ჭამა ძალიან მშვიდზე. ამბობენ ხოლმე, რომ ჩემი მოთხრობებიც პოეზიაა. ალბათ ასეა. ოღონდ მტკიცედ ვიცი, რომ ყველა ჟანრს თავისი დაუწერელი კანონი აქვს და მათი ღალატი არ შეიძლება. სათქმელის ხმაში, მდინარებაშია ალბათ საიდუმლო... პოეზია კალაპოტია ჩემ სულში, ხანდახან თავისთავადმორღვეულიც, მაგრამ ყველაფერი მისით განისაზღვრება.

ებლიტფო: რას წარმოადგენს შენთვის, როგორც შემოქმედისთვის, მკითხველი? როგორ ფიქრობ, არის თუ არა შემოქმედი მკითხველი?

ნინო: ყველანი ჩვენ მკითხველები ვართ. ყველანი ვიწყებთ კითხვით. მოსმენით. მერე კი, იწყება-"გადაწერა"... გააჩნია ნიჭს და ღვთის წყალობას. ვერ მოვიტყუებ, რომ წერის დროს არ ვფიქრობ მკითხველზე, პირიქით, თუკი რაიმეს ჩემს წარმოსახვაში შეიძლება დავარქვა "მუზა"(არ მიყვარს ეს სიტყვა), ის-მკითხველია. არიან ადამიანები, რომლებიც ჩემს პირველ მკითხველებად იქცნენ, მათი აზრი განსაკუთრებულად საინტერესო და ხშირად გადამწყვეტია, თუმცა ასევე ხშირად ვფიქრობ ხოლმე იმათზეც, ვინც სადღაც, იმ წუთს, იმ წამს, თავის ოთახში ზის და რატომღაც ჩემ წიგნს კითხულობს... არ არსებობს ქვეყნად ამაზე მომხიბლავი და ჟრუანტელიანი განცდა...

ებლიტფო: შენი ნებართვით, საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით გავაგრძელოთ... რას იტყვი ლიტერატურულ კონკურსებზე ზოგადად, რამდენად

აუცილებელია მათი ჩატარება, შენი აზრით, რას აძლევს მწერლებს, მკითხველებს ლიტერატურული კონკურსები, რამდენად ობიექტურად ტარდება საქართველოში ლიტერატურული კონკურსები...

ნინო: ლიტ-კონკურსებზე მხოლოდ კარგს ვიტყვი. იყო დრო, როცა ჩვენი საღათას ძილისკენ წასული ლიტ.პროცესების გამოფხიზლებაში დიდი "წვლილიც შეიტანეს" მათ. მეც რამდენჯერმე მიმიღია მონაწილეობა, პენ-მარათონებში. ეს ბადებს შემოქმედში დიდ აზარტს, ინტრიგას, ვნებას, ეს ავანტიურაცაა, რაც, თუ ჭკვიანი ხარ, შენს საკეთილოდ შეგიძლია მოიხმარო კიდევ. ჟიურის ობიექტურობაშიც არასდროს შემპარვია ეჭვი, თუმცა არის ერთი დიდი რამ-გემოვნება, რაც ბევრს უკმაყოფილოს ტოვებს, ბევრს-"უსამართლოდ ვერდანახულს", ბევრსაც კი ძალიანაც ბედნიერს და მომავლის იმედებით აღვსილს. მე მაინც მგონია, რომ კარგი მწერალი შინ, ან მისთვის სასურველ გარემოში უნდა იჯდეს, ჰქონდეს ელემენტარული პირობები, ბევრი ქალაქი და საწერი კალამი, და უნდა წერდეს და ქმნიდეს და მხოლოდ მერე შეიძლება ლაპარაკი ნამდვილ ლიტერატურაზე, ფასეულზე, იმაზე, რაც მარადიულად დარჩება... ლიტ.კონკურსები კი ამ პროცესებს მხოლოდ წაახალისებს და კიდევ უფრო საინტერესოს გახდის მწერლობას ჩვენს ქვეყანაში და მთელს სამყაროშიც.

ებლიტფო: და ბოლოს.. რას გვეტყვი... «ბამბაზიის სამოთხეზე», წიგნი, რომელიც 2007 წლის ლიტერატურულ კონკურს «საბას» ნომინანტი გახდა... და რომლითაც ბევრმა მკითხველმა ნინო სადღობელაშვილი პროზაიკოსის ამპლუაში გაიცნო...

ნინო: "«ბამბაზიის სამოთხე»« ძალიან მიყვარს... წიგნად რომ ჩნდებოდა, მქონდა დიდი შიში, ეჭვი, გაურკვეველი განცდა, რას ვაკეთებ, ეს რაღა უბედურებაა _ წიგნი არა ის!.. მერე, ფერი და ფორმა რომ მიეცა და ბოლოს ხელშიც რომ დავიჭირე, ვუერთგულე და მიერთგულა, კეთილი ბედიც დაჰყვა თითქოს. მასში ბოლო 4-5 წლის მანძილზე დაწერილი მოთხრობები შევიდა. ხშირად მეუბნებიან, რომ ეს არის ერთი გაბმული სიმღერა ვინმეზე, შესაძლოა, ჩემ თავზეც... ალბათ ასეა. ეს არის წიგნი სიყვარულზე, დიდ სიყვარულზე, რომელსაც მოსახელთებლად სულ ნახევარი საათით განმარტობაც ეყოფა. ის ჩემ მეგობრებს ეძღვნება და იმას, რომ ჩვენ ყველანი აწმყოს შვილები ვართ _ დიდი მარადისობის, და რაც ახლა, ამ წამს ხდება, მხოლოდ ისაა წარსულის გამართლება და მომავლის ილზალიც. მე მინდა, რომ ყველას ჰქონდეს მშვენიერი აწმყო, ყველას ჰქონდეს დიდი სიყვარული.

მადლობა «ებლიტფო», კითხვებისთვის. ჩვენ ყველანი ერთი უცნაური წიგნის ბინადრები ვართ, და დიალოგებიც ჩვენ შორის ფურცელ-ფურცელ იკითხება...

ფართოდ თვალგახელილი

ებლიტფო: თამარ, «ლამაზი ქალების დიდი უმრავლესობა კმაყოფილდება პოეზიის მუხის ფუნქციით... მაგრამ მათ შორის გამოერევა ვიღაც, ეძალება ჟინი შინაგანი, სულიერი ფორიაქის გამოვლენისა». ეს სიტყვები ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილს ეკუთვნის და შენი წიგნის _ «შემოდის» _ «წინათქმასავითაა». მოდი, ვიდრე «სულიერი ფორიაქის გამოვლენის ჟინზე ვისაუბრებდეთ», ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილზე გვიამბე...

თამარ ბოლქვაძე: საოცარი იყო ჩემი და ბატონი ვახუშტის შეხვედრა. ერთ მშვენიერ დღეს დაგურეკე და ვუთხარი, _ ბატონო ვახუშტი, დიდი ხანია მინდა ჩემს შემოქმედებაზე თქვენი აზრი მოვისმინო და როდის გეცლებათ-მეთქი.

_ როცა გსურთ, მაშინ მობრძანდითო, _ მიპასუხა.

მივედი ჩემი კომოდის უჭაერობაში ამომხრჩვალ ორმოცდაათიოდე ლექსით. დიდხანს არ დააყოვნა, სათვალე მოიმარჯვა და კითხვა დაიწყო. პულსს და ლექსებს ერთნაირად ვითვლიდი. დაახლოებით ოცდამეათეზე ამოყვინთა ფურცლებიდან, სათვალე მოიხსნა და ცოტა მკაცრად მკითხა, _ კი, მაგრამ, აქამდე სად იყავიო. პულსი დაუთვლელად გამექცა... მერე მზეოს დაუძახა და თავისი ჩახლეჩილი, ბუხუნა ხმით ჩემი რამდენიმე ლექსი ხმამაღლა წაიკითხა. ახლოს დამიჯექიო, _ მითხრა და სათითაოდ გადაარჩია ის, რაც აუცილებლად უნდა შესულიყო ჩემს პირველ წიგნში. შემდეგ მზეოს მიუბრუნდა და უთხრა:

_ მეგონა მოვიდოდა ასე, შუა ხნის ქალი და თავის არშემდგარ სიყვარულებზე და ვერგანხორციელებულ ოცნებებზე ქალურ «წუწუნს» წამაკითხებდა, ეს კი დასრულებული პოეტი აღმოჩნდაო. მერე საკუთარი ისეთი ლექსები წამიკითხა, კირივით რომ გამომწვა საკუთარ თავში და ჩემი «ნაცოდვილარი» პოეტურ ლულულად მომაჩვენა. ასე შედგა ჩვენი შეხვედრა, პოეზიის დღესასწაულად რომ მექცა, რადგან კოტეტიშვილების სახლში ყველაფერი პოეზიით სუნთქავს.

მას შემდეგ ჩვენი ყოველი შეხვედრა ჩემთვის მაგიური რიტუალია, სადაც პოეზიის «გურუ» ხალხური პოეზიის შედეგებიდან დაწყებული რუსული პოეზიის მისი არაჩვეულებრივი თარგმანებით დამთავრებული, ნათლობის რიტუალივით რამდენჯერმე მაყვინთინებს ქართული სიტყვიერების იმ სიღრმეებში, რომლის მერეც შთაგონების და «სხვად» ქცევის კორიანტელი მეწყება. ვახუშტი კოტეტიშვილთან ურთიერთობა ჩემთვის მთელი აკადემიაა და ვცდილობ ჩემი «სტუდენტობა» ამ აკადემიაში დიდხანს გაგრძელდეს...

"ეპლიტფო:" «სხვებისთვის «უხილავის ხილულად ქცევა ჩემთვის პოეზიააო...», უკვე «მითხარი»... კიდევ რა არის შენთვის პოეზია... და იქნებ პროცესი გვითხრა, რომლის საშუალებითაც ახერხებ ამას?

თამარი: ერთხელ, ჩემი ლექსების საჯაროდ კითხვისას ერთმა კაცმა მკითხა:

_ თქვენ ისე აშიშვლებთ სულს, იდუმალებისთვის ადგილი თუ გრჩებათო?

ჩემთვის ლექსი ჯერ ემოციაა და მერე იცვამს შინაარსის სამოსს და იღებს ფორმას. ვიღაც ფართოდ თვალგახელილი შეჰყურებს სამყაროს, ვიღაც კი _ თვალემოწკურული. მე თავისუფალი ფრენა მიყვარს, როცა ყოველი უჯრედით ვგრძნობ ჰაერის გარდამავალ ნაკადს და მიწასაც თვალეგახელილი ვენარცხები. ჰერმეტიულობა ჩემი «პროფილი» არ არის. თუმცა, მინიშნებათა სამყაროს «რუბიკის კუბიკიც» არაერთხელ ამიწყვია... ჩემს ლექსებს «გახსნილი ფრჩხილის» პოეზიას დავარქმევდი.

"ეპლიტფო:" ვის ლექსებს კითხულობს თამარ ბოლქვაძე ყველაზე ხშირად? რას ეძებს და რას პოულობს იგი ამა თუ იმ პოეტის ლექსში? გავლენას თუ განიცდის?

თამარი: მარინა ცვეტაევას, ახმატოვას, ბროცკის. ცვეტაევას პოეზია ჩემთვის სხვა განზომილებაა, სადაც ხშირად მინდა ყოფნა. დღემდე მაოცებს მისი უმაღლესი რეგისტრი, რომელსაც ლექსის პირველი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე ინარჩუნებს. მისი შინაგანი «წვის» ხარისხი იშვიათად რომ გაკრთეს სხვათა პოეზიაში. ცვეტაევას გავლენა კარგა ხანია «მოვილოგინე», მაგრამ, როცა ამ სულიერებისაგან გამოშიგნულ დროში კანის ამწველი ემოციები შემომაკლდება, მარინას სამყაროში ვეფლობი, ცხელი ემოციები ტანზე კარგად რომ ავიკრა...

ჩემთვის კარგი პოეტის კარგი ლექსი მიბადვის საგანი არასდროს ყოფილა. ის მუხტის მომცემი უფროა და იმის ნიმუშიც, კარგად მოპირკეთებული, მაგრამ ყალბი ნოტი როგორ არ უნდა აიღო...

"ეპლიტფო:" შენ ლექსებს ორ ენაზე წერ... გითარგმნია შენი ლექსები? რას კარგავს (ან იქნებ იძენს კიდევ) ლექსები თარგმნისას?

თამარი: სხვათა შორის, სულ მსაყვედურობდნენ, რუსულად რატომ წერ, ეს შენს ქართულ ლექსებს სიღრმეს დაუკარგავსო. თუ აქამდე არ დაუკარგა?... ძიძა მყავდა რუსი, არაჩვეულებრივად განსწავლული და ასევე არაჩვეულებრივი რუსულით მოუბარი. ორი წლის ასაკიდან მიკითხავდა რუსულ პოეზიას. მაშინ ბევრი რამ არ მესმოდა, მაგრამ მერე გამოიღო ნაყოფი. უცნაური რამ ხდებოდა, სიტყვის მნიშვნელობა კარგად არც მესმოდა, ისე, რითმისთვის ჩავსვამდი და მერე აღმოჩნდებოდა, რომ საჭირო სიტყვისთვის მიმიგნია. ერთხელ ვცადე ჩემივე ქართული ლექსი რუსულად მეთარგმნა, გავაფუჭე. ცვეტაევას უკეთ ვთარგმნი, ვიდრე საკუთარს. თუმცა, ეს თარგმანები არასოდეს გამომიქვეყნებია. თარგმნა ძალიან საინტერესოა და იმავდროულად, საპასუხისმგებლოც. შენს თავს არ უნდა მისცე ავტორის «პროფილ-ანფასის» შეცვლის უფლება. მაგალითად, როცა სიტყვა «месяц» მთვარის სინონიმად აქვს პოეტს ნახმარი, შენ კი თვის მნიშვნელობით თარგმნი, ეს ლექსის დასახიჩრებაც არის და დანაშაულიც, რომლის გამოც იშვიათად თუ ვინმე ისჯება. თარგმნის დროს თუ ავტორივით მწვერვალს ვერ დალაშქრავ, რამდენიმე სიმაღლის ამლები მაინც უნდა იყო.

ერთი სიტყვით, ვწერ ლექსებს ქართულ-რუსულად, მაგრამ თარგმნა მაინც არ არის ჩემი საქმე.

"ეპლიტფო:" ვერლიბრზე, თეთრ ლექსზე რას იტყვი... შენს პოეზიაში ვერ ვიხსენებ მათ.. ჩემი მეხსიერების ბრალია თუ...

თამარი: ჩემს კრებულში არის რამდენიმე ვერლიბრი, შენ ალბათ, გამოგრჩა. ვერლიბრთან მე საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულება მაქვს. ერთი შეხედვით, თავისუფლება სულაც არ გამღევეს იმის უფლებას, რომ სიტყვათა ერთმანეთზე მიწყობილ ჯერს ვერლიბრი დაარქვა. მას თავისი შინაგანი კანონები აქვს და თუ ამ «კლავიატურას» კარგად არ ფლობ, არ უნდა მოჰკიდო ხელი. გონების საცერში ჯერ კარგად უნდა გამოცრა, გუნდასავით დაწურო სიტყვად და ააწყო მერე შინაგან რიტმზე. ასეთია ვერლიბრის ჩემეული სქემა. ვერლიბრი თუ კონვენციური ლექსი? ეს მარადიული თუ ბოლო დროს ლამის თვითმიზნად ქცეული ჭიდილი ზოგჯერ ღიმილის მომგვრელია ჩემთვის. არც ერთია 21-ეს «კლასიკოსთა» დამსახურება და არც მეორე. ზოგჯერ «თეთრად» მეწერება და ზოგჯერ «შავად». განწყობას გააჩნია. კონვენციურზე «ჯვაროსნული ლაშქრობაც» მათი მოგონილია, ვინც საკუთარ ხმას ვერ მიაგნო თანამედროვე პოეზიის პოლიფონიაში.

ყველა მცდელობის უტყუარი შემფასებელი კი დროა და მკითხველი, და როცა ჩემი პირველი წიგნის გამოსვლისთანავე რუს პოეტს ჩემი ქართული ლექსების თარგმნის სურვილი გაუჩნდა, ქართველ კომპოზიტორს კი ჩემი რუსული ლექსების გარომანსების, ეს უკვე ის ჯილდოა, რასაც ასე დიდხანს, სულგანაბულნი ელოდნენ ჩემი ლექსები...

"ეპლიტფო:" თამარი პროზას არ წერს? _ ვკითხე საკუთარ თავს, როცა შენი წაკითხვით «ქარი მტვრიან ბაქანზე» მოვისმინე... არ გიფიქრია, ეს ლექსი შეიძლება პროზად დაწერილიყო?

თამარი: ჯერჯერობით ლექსის ერთგული ვრჩები. ცხოვრების პროზას პოეზიით გავურბივარ. თუმცა, პუბლიცისტიკაში უკვე მაქვს მოპოვებული «ბასრი კალმის» სახელი. როცა შენი ერთი საგაზეთო პუბლიკაციით მთელი ტირაჟი გაიყიდება, ეს ალბათ, რაღაცას ნიშნავს. ამ ბოლო დროს კი «დედიკოს უთხარი, ცხვირი მოგხოცოს!» კატეგორიის ჟურნალისტებმა (თან, როცა ასეთი შეფად მოგვევლინება) დამავიწყეს, წერა თუ ვიცი საერთოდ. ან კი, რა სავალდებულოა, პოეტი თუ ხარ, აუცილებლად პროზაიკოსიც გახდე. არ მიყვარს ჟანრებით ჟონგლირობა...

"ებლიტფო:" მკითხველზე აუცილებლად უნდა გკითხო.. კარგად მახსოვს ბატონი ლადო კახაძის მიერ წაკითხული შენი ლექსი... ასეთ მკითხველს ნებისმიერი პოეტი ისურვებდა...

თამარი: ყველაზე მეტად ის მიხარია, სხვადასხვა თაობა რომ კითხულობს და ყველა თავის სათქმელს თუ სატკივარს პოულობს ჩემს ლექსებში. როგორც აღმოჩნდა, სწორად შემირჩევია წიგნის სათაური – «შემოდი!» შემოდინ მკითხველები, ზოგი მალე მტოვებს, ზოგი დიდხანს რჩება და ჩემს სამყაროსთან საკუთარი სულის დამაკავშირებელ ძაფებს პოულობს და მერე, თუ წილად გვხვდა ასეთი ბედნიერება, რომ მკითხველმა შენი ლექსი სადმე სუფრაზე ან სამეგობრო წრეში ზეპირად წაიკითხა, პოეტისთვის ამაზე დიდი ბედნიერება არც არსებობს.

ასეთი რამ მოხდა: ბატონმა ლადო კახაძემ წაიკითხა ჩემი ლექსი «პახმელიაზე» და დამსწრე საზოგადოება სახტად დარჩა, როცა განაცხადა, ეს ლექსი ჩემი არ გეგონოთ, ქალის დაწერილიაო. შეხვედრისას მკითხა, – გამაგებინე, ის, რაც მე მჭირს «პახმელიის» დროს, შენ როგორ იგრძენიო და იქვე დასძინა, – მერამდენედ ვრწმუნდები, რომ პოეზიას სქესი არა აქვსო!..

ცნობილმა ჟურნალისტმა ნუგზარ რუხაძემ კი ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე რამდენიმე რუსული ლექსი წაიკითხა ისეთი ინტერპრეტაციით, მისი დაწერილი მომეჩვენა ლამის.

ვინმეს არ ეგონოს, ვტრახახობ. ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთების თანაზიარებად გიგულებთ მხოლოდ (ისე დიდხანს ვდუმდი, რომ ახლა ვეღარ ვჩუმდები).

"ებლიტფო:" შენ ცნობილი ტელეჟურნალისტი ხარ... არ გიფიქრია ლიტერატურული საავტორო გადაცემის მომზადებაზე?

თამარი: ათი წლის მანძილზე ოთხი საავტორო გადაცემა და ერთი დოკუმენტური ფილმი მაქვს შექმნილი, რომელიც «მანას» ტელეფესტივალზე იყო ნომინირებული. მაგრამ ეს «სივი» საკმარისი არ არის, რადგან ჩემი ჩასახვა ჩემმა მშობლებმა «ვარდების რევოლუციას» ვერ დაუახლოვეს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თვალში თითის მტაკებელთა კატეგორიას არ მივეკუთვნები. თანამედროვე ჟურნალისტიკის პოლიგონზე კი «ბეტეერული მიწოლის» ვაქცინაცია თუ არ გაქვს მიღებული, ისე ვის რაში აინტერესებს შენ «ომამდე ტანკისტი» იყავი თუ მისისიპს გაღმა სტრიპტიზის მოცეკვავე...

ჩემს თაობას თუ «უნიტაზიდან» თავს ამოაყოფინებენ, საავტოროსაც გავაკეთებ და წერა-კითხვა რომ ვიცი, საკუთარი თავის გარდა სხვებსაც შევახსენებ, თუ არადა, გურულად რომ ვთქვათ, «ქე ვიქნები მიზდა-მიზდა», ანუ ჩემთვის...

ვირტუალური სივრცე აცოცხლებს ლიტერატურას

ებლიტვო: ბატონო მიხო, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჟურნალ «ლიტერატურულ პალიტრაში» სპეციალურ რუბრიკას «ლიტერატურა ინტერნეტიდან» თქვენ ამზადებთ. რას ფიქრობთ ვირტუალური სივრცის ლიტერატურაზე? რამდენიმე სიტყვა გვითხარით აღმანახ «თაობებზე», რომელიც, როგორც ერთ-ერთ ავტორს, ახლახან გადმოგეცით.

მიხო მოსულიშვილი: ადრე ქართული ლიტერატურული საიტები არ არსებობდა და რუსეთის საიტებთან მქონდა ურთიერთობა.

ინტერნეტში ნაწარმოებს განათავსებ, შემდგომ კითხულობენ, კომენტარებს უწერენ, მაგრამ თვისობრივად კომენტარი რეცენზიისაგან განსხვავდება. ზოგჯერ ხდება, რომ კომენტარში გიწერს რეცენზიის მაგვარს, ოღონდ მოკლეს (ინტერნეტში მოკლედ უნდა წერო, რომ უფრო წაიკითხონ). შემდგომ დაარსდა ლიტერატურა.გე, მაგრამ ვიტყვდი, რომ «ებლიტვო» უფრო განსხვავებულია მისგან.

ინტერნეტი ისეთი მოვლენაა _ როცა აღარ არსებობს პერიოდული გამოცემები, ხელს უწყობს ესა თუ ის ნაწარმოები, ლექსი, პროზა განათავსო, რასაც შემდგომ აფასებენ. მაგრამ რასაც წერ, კომენტარებმა ამაზე ზეგავლენა არ უნდა იქონიოს. ეს ყველაფერი ლიტერატურისთვის არის ძალიან კარგი. თვისობრივად ქართული ლიტერატურული ვირტუალური სივრცე აცოცხლებს ლიტერატურას. თან დიდებული რამ არის _ ზიხარ სახლში, სვამ ყავას, კითხულობ და ელაპარაკები _ ამ მხრივაცაა მნიშვნელოვანი.

ჰოდა, უნდა მოიმატონ ლიტერატურულმა პორტალებმა, მე თვითონაც ვმუშაობ ამაზე, ანუ ისეთ პორტალზე, რომელიც კიდევ უფრო განსხვავებული იქნება «ებლიტვოსგან», «ლიტერატურა.გე»-დან, იმ ახალ ლიტერატურულ პორტალზე განსხვავებული თვალსაზრისებია წინ წამოწეული _ კომერციული თვალსაზრისიც არის. გასული წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან, დეკემბრის დასაწყისიდან უნდა გახსნილიყო, მაგრამ გვიგვიანდება. იქ უკვე იქნება მასტერ კლასები, სადაც მოვიწვევთ ვთქვათ, ნუგზარ შატაძეს, რომელიც გვასწავლის, როგორ უნდა ვწეროთ და მოგვიყვება, თვითონ როგორ წერს. ასევე იქნება პოეზიაზე.

კრიტიკაში ჩასატარებელია კონკურსები, რომ ეს ჟანრიც გამოცოცხლდეს. ჩვენი კრიტიკოსები გადავიდნენ პოლიტიკაში ან ძველ მასალებს უსხედან ლიტერატურის ინსტიტუტებში და წერენ იმას, რაც ასჯერ და ათასჯერ არის ნათქვამი. გვყავს კრიტიკოსები, მაგრამ თითებზე ჩამოსათვლელნი, რომელთაც შეუძლიათ თანამედროვე პროცესი შეაფასონ და თქვან, რა არის კარგი და რა _ პირიქით არის. ეს კომპეტენციის საგანიც არის, _ იმიტომ, რომ მე ან შევძლებ შეფასებას, ან ვერა. თუ მე ვთქვი, რომ ეს ჯერაც შეუფასებელი ნაწარმოები კარგია და მერე ცუდი აღმოჩნდა, არ ვიქნები სწორი და ამიტომ ვერიდები შეფასებას. კარგი იქნება, თუ ჩავატარებთ კონკურსს, რასაც კრიტიკული აზროვნების გამოცოცხლება მოჰყვება, მაგალითად, როგორიც იყო «წერო». ასეთ კონკურსზე ვფიქრობთ.

რაც შეეხება ჟურნალ «თაობებს», მისასალმებელია, და როგორც კი დავინახე, ძალიან გამიხარდა _ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. ეს ჟურნალი დაკავშირებული არის საიტთან, უკავშირდება ინტერნეტულ სივრცეს. მისი მკითხველის სივრცე უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივმა ჟურნალმა უნდა მოაგროვოს. ჟურნალს თვეები სჭირდება, რომ მკითხველი მოიპოვოს და ისიც გარკვეული დონის მერე ვეღარ მიდის, იმიტომ რომ საქართველო დიდი ქვეყანა არ არის.

ვფიქრობ იმ მსჯელობების დაბეჭვდაც ურიგო არ იქნება _ რა რეცენზია დაიწერა, რა კომენტარი მოყვა ამა თუ იმ ნაწარმოებს, ლექსს...

ებლიტფო: ალმანახის მეორე ნომერში ავტორი თვითონ აკეთებს კომენტარს. საუბრობს, რატომ დადო ესა თუ ის ლექსი და ა.შ.

მიხომოსულიშვილი: ვფიქრობ, ისიც საინტერესოა, შენს ნაწარმოებებზე რაც სხვამ დაგიწერა. ის მსჯელობები, რაც ინტერნეტს შეუძლია. როცა ჩვენ ლიტერატურულ ჟურნალში ვბეჭდავთ, იბეჭდება და ამით მთავრდება, შეფასებები არ იწერება. ეს ჟურნალი, ჩემი აზრით, მოიგებს, თუ დაიბეჭდება, რა რეცენზია დაიწერა ამ ნაწარმოების მერე. ხშირად ეს უფრო საინტერესოა და ამის გამო უფრო იყიდებიან და წაიკითხავენ ჟურნალს.

ლელა სამნიაშვილი ნიჭიერი პოეტია. გამიხარდა, რომ ალმანახის რედაქტორი იქნება. რედაქტირებაც გარკვეული ნიჭია. ადამიანი შეიძლება სხვა მხრივ ნიჭიერი იყოს, მაგრამ რედაქტორად არ გამოდგეს.

ებლიტფო: მესამე ნომრიდან ალმანახის რედაქტორი იქნება ლელა სამნიაშვილი და ალმანახს ერთადერთი კონსულტანტი ეყოლება – ბატონი გივი ალხაზიშვილი.

მიხომოსულიშვილი: დიდხანს ვარ ნამუშევარი რედაქციაში და დარწმუნებული ვარ, რომ კონსულტანტები აღარ არის საჭირო.

ებლიტფო: ჩვენ რომ ტრადიციული გზით წავსულიყავით, გვექნებოდა ტრადიციული ჟურნალი.

მიხომოსულიშვილი: მაშინ თუ კონსულტანტია საჭირო, რატომ მაინცდამაინც მხოლოდ გივი ალხაზიშვილი და არა, ვთქვათ, გურამ დოჩანაშვილი, ბესიკ ხარანაული და კიდევ უამრავი კარგი მწერალი?!

ებლიტფო: იმიტომ, რომ გივი ალხაზიშვილმა შეცვალა «ებლიტფოს» სტრუქტურა. ის, რაც ბევრმა ვერ შეძლო, ბატონმა გივიმ შეცვალა ერთ ღამეში. მას შემდეგ გაჩნდა სხვადასხვა თემები, მაგალითად, «დღის კითხვა» და «ქართული წიგნი».

მიგვაჩნია, რომ ბატონმა გივიმ შეცვალა ლიტერატურული სივრცის აზროვნება და ეს არ ეხება მხოლოდ «ებლიტფოს».

მიხომოსულიშვილი: მაგას რა სჯობია, თუ შეცვალა... ისე კი, აუცილებელია ადმინისტრირება ლიტერატურული საიტებისა, რომ საუბარი «მოუკრეფავში» არ გადავიდეს. ყველაფრის თქმა შეიძლება, ოღონდ თავაზიანი ფორმით და პირად შეურაცხყოფაში არ უნდა გადაიზარდოს. ეს შეინიშნებოდა რუსულ საიტებზე.

ებლიტფო: ამის ადმინისტრირებას ჩვენ ვახერხებთ, იმას კი არა, ზე-დ--მეტ ტკბილ გარემოზეც გვსაყვედურობენ ხანდახან. მაგრამ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილება ამას შესანიშნავად ახერხებს.

მიხომოსულიშვილი: ვფიქრობ, «ებლიტფოზე» საჭიროა კრიტიკის გვერდის გამოცოცხლება. კომენტარი: «ძალიან მომეწონა», «გენიალურია», «შედეგურია», ადვილია და ამაზე არ ვსაუბრობ. ამისთვის, ვფიქრობ, საჭიროა კონკურსი, უფრო ბევრს დაწერენ და იქ გამოჩნდებიან ნიჭიერი ავტორები.

ჟურნალ «ლიტერატურულ პალიტრაში» «ლიტერატურა.გე»-დან ვარჩევდი ავტორებს, მაგრამ ეს იყო ძალიან მცირე ნაწილი და იმედი მაქვს, ამ ნაკლს სწორედ თქვენი ალმანახი შეავსებს.

დღეს არიან ნიჭიერი ავტორები, თუნდაც თქვენს საიტზეც. იგივე მედია იმერლიშვილი (ინანა) აქ გავიცანი. მას აქვს თავისი ხმა, რომელიც ყველასგან განსხვავებულია.

ებლიტფო: «ლიტერატურულ პალიტრაში» თქვენ დაბეჭდეთ პირველად მედია იმერლიშვილი. იგი გამოკვეთილად «ებლიტფოს» ავტორია. ის არ აქვეყნებს ლექსებს სხვაგან და ამდენად ვერ ნახავთ სხვა საიტებზე. თუმცა მედია ჩვენც ლიტერატურა.გე-ზე «ვიპოვეთ». მას ლექსი არ ჰქონდა იქ გამოქვეყნებული – მისი ვრცელი ნაწარმოების «ჩემი ლაბირინთის» მხოლოდ შესავალი ვნახეთ.

მედეას პირველი ლიტერატურული სადამოც ჩვენთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა. დარწმუნებული ვარ, მისი წიგნიც გამოვა. ჩვენი აზრით, ამ ადამიანმა სხვა სიტყვა თქვა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

მიხო მოსულიშვილი: მე ინანას «ებლიტფოზე» დაველაპარაკე და ისე მოვიყვანე «ლიტერატურულ პალიტრაში»... ასევე თქვენ ფორუმზე არიან რეზო გეთიაშვილი და გიორგი საჯაია, რომლებიც მართლაც თავისებური პოეტები არიან... ეკა ქევანიშვილი არ დამავიწყდეს და კიდევ სხვებიც არიან – საკუთარი სათქმელითა თუ ისეთი ოსტატობით, თვალსა და ხელს შუა რომ იზრდება და, ეს ძალიან სასიხარულო ამბავია.

ებლიტფო: რეზო გეთიაშვილი არ არის ფორუმის წევრი, მაგრამ მისი გვერდი გახსნილი გვაქვს. გიორგი საჯაია ერთ-ერთი აქტიური ფორუმელია. საინტერესო გამოდგა მწერალ გივი ალხაზიშვილს, სანდრო ლორთქიფანიძეს (ხვიარა) და გიო საჯაიას შორის გამართული «ლამის საუბარი», თუ არ ვცდები, საუბარში ჩაერთო რვა ადამიანი, ფაქტობრივად, ინტერნეტ-სივრცეში გაკეთდა პირველი ლიტერატურული «მრგვალი მაგიდა» (სრული ვერსია იხილეთ ლიტერატურულ კრებულში: «საუბრები ლიტერატურაზე», თბ. 2007 წელი).

მიხო მოსულიშვილი: რასაც თქვენ მეუბნებით, ძალიან კარგია, მაგრამ ამაზე მსჯელობა მაშინ შემდეგდება, როცა ამ თქვენგან ნახსენებ ლიტერატურულ კრებულს წავიკითხავ. თორემ, ძალიან მიჭირს თვალი ვადევნო «მრგვალ მაგიდას» ინტერნეტში. მე, ეტყობა, ძალიან ჩამოვრჩი – მონიტორიდან კითხვას ვერაფრით შევეჩვიე – რაღაც სხვანაირად იკითხება ეკრანიდან, გეგონება სადღაც მიგეჩქარებაო... არადა, სად გინდა გაექცე ამ მონიტორს.

ებლიტფო: მინდა, «ინტერვიუ» უშუალოდ თქვენს შემოქმედებაზე საუბრით დავამთავროთ. რაზე წერს მიხო მოსულიშვილი ამჟამად, ვის თარგმნის... ვის კითხულობს და რას ფიქრობს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე... იქნებ მოკლედ ზოგიერთ მის წარმომადგენელზეც გვესაუბროს...

მიხო მოსულიშვილი: აი, მიწყვია მაგიდაზე რამდენიმე წლის ჩანაწერები და წინასწარ ძალიან ძნელია თქმა – რომლისგან რა გამოვა. ზოგი ჩანაწერად დარჩება, ზოგი მინიატურად ან მოთხრობად იქცევა, შეიძლება რომანადაც...

თარგმნით კი სერგეი ალხუტოვის ცნობილ რომანს «მეფე და ძაღლს» ვთარგმნი ნელ-ნელა. დამალა თარგმნამ და ეტყობა იმიტომ ითარგმნება ნელ-ნელა.

კითხვით კიდევ – ადრინდელივით ყველაფერს ვეღარ ვკითხულობ, მაგრამ ყველაფერს ვკითხულობ, რაც თავს წამაკითხებს.

მე ასე მგონია, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არის ათი-თხუთმეტი ავტორი, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურას დაამშვენებდნენ. რას ვიზამთ, თუ დიდ ქვეყანაში არ დაიბადნენ და ნაკლებად ითარგმნებიან, და აქედან გამომდინარე, ნაკლებად იცნობენ... იმათ იდარდონ, ვინც ამნაირ მწერლებს არ იცნობს, თორემ ესენი თავისას მაინც დაწერენ.

ასფალტზე ამოსული «გოგო-ქალაქი»

ებლიტვო: დიანა, ლიტერატურაზე საუბარი არალიტერატურული საუბრით დავიწყეთ: წინაპრებით დაიწყე და დიანა ანფიმიადით გააგრძელე...

დიანა ანფიმიადი: პაპა, მამის მხრიდან ნამდვილი ბერძენი იყო, სწორი ბერძნული პროფილითა და ცისფერი თვალებით, ბერძნულად საუბრობდა და ელადაში დაბრუნებაზე ოცნებობდა. ყვებოდა, როგორ ცხოვრობდა ბაბუამისი ქალაქ კონსტანტინეპოლში, როგორი იყო აია-სოფია, როგორ გათურქდა ქალაქი, რომ საბერძნეთში ბევრი ზეთისხილია და კუნძულზე, სადაც ოდესმე ვიცხოვრებთ, თეთრ სახლებს ლურჯი სახურავები აქვთ და თეთრი ვირები ბალახობენ.

ბებო _ ძალიან ჭკვიანი, თავმდაბალი, შვილებისთვის შეწირული ადამიანი.

დედის დედა ულამაზესი ქალია ახლაც, ცნობილი თავისი სილამაზით, უსიყვარულოდ გაათხოვეს ბაბუაჩემზე,

ბევრს კითხულობდა ყოველთვის, განათლებული ქალია, მამამისი ილიასთან ერთად მოღვაწეობდა წერა- კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. ბაბუა _ მშრომელი კაცი, ხეების მესაიდუმლე და ექიმი.

არავინ წერდა,

ან წერდა და არ ამხელდა, არ ვიცი.

დიანა? გარეგნულად მხიარულია, ხანდახან პირიქით, ადამიანები უყვარს და ცდილობს მათ კომფორტი შეუქმნას, ცოტა ეშინია კიდეც ადამიანების, ძალიან მიმნდობია და ადვილად ატყუებენ, ძალიან მყუდროა, სიმყუდროვე უყვარს და ამ სიმყუდროვისთვის საკუთარ პრინციპებზე უარის თქმაც შეუძლია, ჩაკეტილია, ხშირად დიანასაც არ უხსნის თავის თავს, მაგრამ არ შეუძლია ადამიანების გარეშე, თუმცა ძალიან უყვარს თავისი მარტოობა, ამ ბოლო დროს ბევრს წუწუნებს და საკუთარ თავთან ლაპარაკი დასჩემდა, უყვარს ფერები, ჯაზი და ცხელი შოკოლადი.

ყველაზე დიდი დარდი კი _ დაკარგული და ფოტოსურათებიდან ხელახლა ნასწავლი მამაა.

ებლიტვო: დიანა, საინტერესოა ვის მიუძღვენი პირველი ლექსი და რა ემოციამ დაგაწერინა? აქვე გკითხავ, გჭირდება განსაკუთრებული გარემო იმისათვის, რომ წერო?

დიანა: ოთხი წლიდან ვამბობდი რაღაც სისულელეებს და დედა, რომელსაც, როგორც ყველა დედას, თავისი შვილის განუმეორებლობისა სჯეროდა, იწერდა,

პირველი ასეთი იყო:

რატომ მატკინე თვალები

რატომ გატეხე კოკაო

იმის ნატეხი მე მომხვდა

და თვალი ამომკოტაო ...

«ამომკოტა» _ რა დიალექტი თუ კილო-თქმა იყო არც მაშინ იცოდა დედამ და ვერც ახლა გავარკვიე

მერე გაზაფხულზე, სამშობლოზე, დედაზე, და მალევე სიკვდილზე და მამაზე.
არანაირი გარემო არ მჭირდება.

ყველგან ვწერ, მთავარია სიზარმაცემ არ დამძალოს.

ყველაზე მეტს მეტროში ვწერ, არ ვიცი, მგონი კონტრასტული ენერგიების ნაკრები რომ არის იქ, იმიტომ.

საერთოდ სულ ვფიქრობ, ვაგროვებ, ვაგროვებ, ვაგროვებ და სად «ვიმშობიარებ», ამას აღარ აქვს ხოლმე მნიშვნელობა.

ებლიტვო: წერის პროცესზეც გვითხარი, პროცესზე რომელიც «შეგირდობიდან ოსტატობაზე» გადასვლას გულისხმობს...

დიანა: რასაკვირველია, შეგირდის ეტაპიდან ოსტატის ეტაპზე გადასვლა რთული და ყველაზე საპასუხისმგებლოა, მე პროცესები მიყვარს და უფრო ნაკლებად შედეგები, დღესაც უამრავ კითხვას ვსვამ და არ მრცხვენია, ადამიანი იმიტომ მიყვარს რომ მიყვარს და არა იმიტომ, რომ ჩემი თავი მის ცოლად და მისი შვილის დედად წარმოვიდგინო, სწავლის პროცესი მიყვარს, კითხვის პროცესი, წერის პროცესი და ა.შ.

რილკე ამბობს, შეიყვარეთ კითხვები, დალუქული ოთახებივით!

მთავარი კითხვაა და არა პასუხი,

მე ასე ვცხოვრობ!

ისე კი რაც უფრო დაწნებილია და დაწურული ლექსი მით უფრო ჩემეულია, ნაკლები აღმნიშვნელი და ბევრი აღსანიშნი. ძალიან მეტაფორული, არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი.

ებლიტვო: დიანა, «დიანას ქალაქზეც» გვიამბე.

დიანა: კვენტინის ქალაქზე?

ქალაქი ძალიან მნიშვნელოვანია კვენტინისთვის...

ყველაზე მეტს ქალაქზე ვწერ, თავიდან ბოლომდე ქალაქი ვარ,

ადამიანები ძალიან გვანან ქალაქებს, უძველესი პოლისები ზუსტად ისე შენდებოდა, როგორც ადამიანია აგებული – აკროპოლისი – თავი, სადაც ქალაქის ყველაზე მთავარი ცხოვრობს – ქალაქის იდეა – ტვინი, მერე თანდათანობითი იერარქია ნაწილდება

დღეს ქალაქი ჩემი ოჯახის წევრია, ველაპარაკები მას, ვიცმევ, ვიხდენ, ვკვლევ...

მთელი ეს ნეონის რეკლამები, შუქნიშნები, მიწისქვეშა გადასასვლელები, მეტრო, ყვითელი ავტობუსები, მოძრაობა, კორპუსები – აი ჩემი გარემო, ალბათ უფრო ასფალტის ყვავილი ვარ.

თბილისზეც გეტყვით: დღეს მე თბილისი ცოტა ზედაპირულად მეჩვენება, გარეგნული, იაფფასიანი სამკაულების მორგებით დაკავებულ ქალს ჰგავს, რომელსაც ჩხარაჩხურა მინის მძივებით თმაშიგარეული ჭადარის და უფრო ღრმად გაჩენილი ჭადარის დამალვა უნდა...

ებლიტვო: თეატრ «ვერიკოში» გამართული პოეზიის საღამო გაიხსენე... ვისი იდეა იყო... რეჟისორზეც გვიამბე და პარტნიორზეც.

დიანა: იდეა ჩემი იყო, პოეზიის საღამოს გამართვა რომ გადავწყვიტე, არ მინდოდა, ჩვეულებრივად მეკითხა ლექსები, გადავწყვიტე მონოსპექტაკლი ყოფილიყო, რეჟისორობა ჩემმა უნიჭიერესმა და უსაყვარლესმა მეგობარმა – სალომე ჯოგლიძემ გამიწია, სულ ერთი დღე გვექონდა მოსამზადებლად, საერთოდ,

სამწუხაროდ, ყველაფერს ასე ვაკეთებ ცხოვრებაში, სამაგისტროს წერა დაცვის დღეს დავამთავრე, საბუთები ყველგან ბეწვზე შემაქვს, სულ ბოლო წუთში, გამოცდისთვის გამოცდის დღეს ვემზადები და ასე შემდეგ. ამიტომ ისე გამოდის, რომ მთელი ჩემი ცხოვრება იმპროვიზაციაა..

აქაც ასე გამოვიდა, ჩემი მეგობარი – ირაკლი კაკაბაძე იყო პარტნიორი, ისიც პოეტია და ძალიან კარგი პოეტი, კარგი მეგობარიც, ნიჭიერი ადამიანი და თავშეწირული პედაგოგი, მუსიკალურად მე გავაფორმე, დეკორაციებიც იქვე მოვიფიქრეთ, თეატრში, და მგონი რაღაც გამოვიდა...

ჩემი ცხოვრება მოვყევი, არც მითამაშია ...

ებლიტფო: «ლ'ილ» სინდიკატზე და მოგვიყევი... როგორები არიან ლ'ილელები ერთად და ცალ-ცალკე?

დიანა: საერთოდ, მინდა ვთქვა, ის, რომ ახლა შენ ამ კითხვას ამგვარად სვამ , გიორგი კეკელიძის, ეფეს დამსახურებაა, ის კარგი პოეტი და ორგანიზატორია, იდეების გენერატორი, ეძებს ნიჭიერ ადამიანებს, ასე აღმოვჩნდით ჩვენ ერთად, ცალ-ცალკე არავისზე ვილაპარაკებ, რომ ვინმე არ გამომჩრჩეს...

ეს ჩემი მეგობრების სინდიკატია, ნიჭიერი, კარგი, დადებითი, პროგრესული და თავმდაბალი ადამიანები, რომლებიც აუცილებლად გააკეთებენ რამე კარგს.

ებლიტფო: დიანა, შენი «ებლიტფოური ნიკი» კვენტინ კომპსონია... რატომ?

დიანა: ერთი ადამიანის გამო, რომელსაც «ხმაური» და ფოლკნერი უყვარდა და რომელიც მე მიყვარდა ძალიან. მე სახლში ქოთნის ყვავილიც მაქვს, იმასაც კვენტინი ჰქვია, ისიც ჩვენი მეგობრობის ნაშთად შემომჩრა, როგორც ჩემი ნიკი.

ფორუმზე რომ შემოვედი, მინდოდა რატომღაც ბიჭის ნიკი მქონოდა, ცოტა ხანს ვბიჭობდი კიდევ, მერე ლექსებმა გამთქვეს.

ქროლათვალეზა სოხუმელი

ებლიტფო: თეა, როცა შენ «გვითხულობ» თითქმის ყოველთვის სოხუმს ვხედავ... შენ ხშირად წერ აფხაზეთზე, ზღვაზე. არ გაგჩენია სურვილი, რომ ეს მოთხრობები აფხაზეთად ითარგმნოს და აფხაზეთში წაიკითხონ?

თეა თოფურია: მთელი თაობა გაიზარდა, რომელსაც აფხაზეთი არ უნახავს. ეს დაახლოებით იგივეა, ოცი წლის რომ იყო და „სამი მუშკეტერი« არ გქონდეს წაკითხული. რაც მახსოვს და ვიცი, ვწერ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრის დამახსოვრება ვერც მე მოვასწარი.

ტერიტორიები რომც დავიბრუნოთ, იმ სოხუმში მაინც ვერასოდეს დავბრუნდებით. ფოტოებიდან ვიცი, რომ იქაურობა ძალიან არის შეცვლილი, შეიძლება საკუთარ სახლსაც კი ვერ მიაგნო. გარეუბნები ბალახს მიაქვს, ცენტრიც გადაკეთებულია. გაგრისგან განსხვავებით, ომის დროს, სოხუმი ძალიან დაინგრა და ახლა იქ ყველაფერი სხვაგვარადაა მოწყობილი.

მე სულ სხვანაირი სოხუმი მახსოვს, პატარა ქალაქი, სადაც ბევრს ეცვა თეთრი, ღია ფერის ტანსაცმელი. იქ საერთოდ სხვა ფერები იყო: ნამდვილი ყვითელი, ნამდვილი ლურჯი... კარგ ამინდში ნათელი დღეები იცოდა, მაგრამ თუ წვიმდა, მართლაც წვიმდა, გადაუღებლად და გაუჩერებლად. წვიმაში სხვა სიმყუდროვე აქვს სახლს, უფრო სხვანაირად ფიქრობ, უფრო სხვანაირად გძინავს. რამდენი ხანია აქ ვარ და ისე ჯერ ერთხელაც არ უწვიმია. აქაური წვიმა შხაპივითაა, უცებ წამომშენს და ხუთ წუთში აღარ არის. თავიდან სულ მიკვირდა წვიმის გადაღებას გაჩერებებზე და ტელეფონის

ჯიხურებში რომ ელოდებოდნენ. სოხუმში რომ ასე დალოდებოდი, ორი დღე ქუჩაში მოგიწევდა დგომა.

მახსოვს სოხუმის ნაყინის გემო. გემო მახსოვს, მაგრამ ვერაფრით ვხვდები, რისგან იყო დამზადებული ის სიროპი, რომელსაც ამ ნაყინზე ასხამდნენ. მახსოვს მანდარინის კრეფის სეზონები. ასეთ დროს, როგორც წესი, ძალი პატრონს ვერ ცნობდა ხოლმე.

ხალხიც სხვანაირი იყო, სხვანაირი მენტალიტეტით. ამ მენტალიტეტზე ორი რამ ახდენდა გავლენას, ერთი აფხაზეთისთვის დამახასიათებელი პატრიარქალიზმი და ტრადიციებისადმი პატივისცემა და მეორე, ის სილაღე, რომელიც საერთოდ საკურორტო ქალაქებს აქვთ. ამის შეუთავსებლობის გამო ბევრი კურიოზული რამეც იყო აფხაზეთის მოსახლეობის ხასიათში.

და, რა თქმა უნდა, იყო ზღვაც, ხასიათშიც და ისეც.

საერთოდ, მიყვარს ის ნაწარმოებები, რომელიც ზღვაზეა. მინიმუმ ორი ათასწლეულია შავი ზღვის ნაპირას ვცხოვრობთ, მაგრამ ქართული ლიტერატურა რომ აიღო, იფიქრებ, ამ ხალხს წყალი მარტო ონკანში აქვთ ნანახიო. ეს ჩვენი ძველი ნაკლია, ქართველები ზღვაზე არასოდეს არც ვწერდით და ვერც ვიყენებდით სათანადოდ. მე სულ ვცდილობ, ჩემი წილი „იოდდეფიციტი“ ამოვაგსო, მაგრამ მარტო ვერაფერს ვუშველი, სხვებიც უნდა ამყვინ.

თარგმანს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, მინდა რომ ითარგმნოს. საერთოდ მინდა, აფხაზებმა უკეთესად გაგვიცნონ. მთავარი პრობლემა სწორედ ის არის, რომ ქართველი მათთვის მხოლოდ შეიარაღებული პირია და სხვა არავინ. ვერ წარმოუდგენიათ, ქართველები რამეს თუ წერენ, ქმნიან, საერთოდ დილით ჩაის თუ სვამენ...

ებლიტფო: თეა, შენ მოთხრობებსაც და ლექსებსაც წერ. როგორ ატყობ, მკითხველი რომელს უკეთ იღებს. ხომ არ არის ისე, რომ ვიღაცისთვის მხოლოდ პოეტი ხარ, ვიღაცისთვის _ მხოლოდ პროზაიკოსი?

თეა: ვიღაცისთვის მხოლოდ ჟურნალისტიც კი ვარ, გააჩნია, ვინ რა კუთხით მიცნობს. ამგვარი დიფერენციაცია ალბათ ბუნებრივად მოხდება, რადგან არის ხალხის კატეგორია, ვინც მხოლოდ მოთხრობებს კითხულობს, ან პირიქით, პოეზია უფრო უყვარს. ხშირად გამიგია, ამაში უფრო სუსტი ხარ, იმაში უფრო ძლიერიო. მე თვითონ ვფიქრობ, რომ ჩემი პროზაც და პოეზიაც დაახლოებით ერთი დონისაა. ოღონდ ეგაა, რომ პროზას უფრო მეტი დრო და მუშაობა უნდა.

მე, სამწუხაროდ, მოთხრობებსაც ლექსების ტემპში ვწერ. ხშირად ხდება, როცა სიუჟეტი მოფიქრებულია, ვიცი, რაც უნდა დავწერო, დავიწყებ და სანამ ბოლომდე ჩავალ, განწყობა გადადის, ახლა სხვა რაღაცის წერის ხასიათზე მოვდივარ. ასეთი დაწყებულ-დაუმთავრებელი მოთხრობა უამრავი მაქვს კომპიუტერში. პროზას მაინც უფრო მყარი ხასიათი სჭირდება.

ებლიტფო: ახალახანს შენი პირველი წიგნი „პიტნის კალო“ გამოვიდა, რა ნაწარმოებები ამოგვირჩიე?

თეა: აქაც ორივე შევიდა, პროზაც და პოეზიაც. დიდი ხანია ვწერ, მაგრამ წიგნის გამოცემა აქამდე არ მომავიქრდა. ჩემს თავს ამ მხრივ საერთოდ არ ვაქცევდი ყურადღებას. არასოდეს მეგონა, ლექსის წერა საქმე თუ იყო. შესაბამისად პერიოდიკაში ბეჭდვაც გვიან დავიწყე და პირველი პოეზიის სადამოც მხოლოდ შარშან მქონდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ეპლიტფო: კონკურსებში ხშირად მონაწილეობ, შესაბამისად ამ მხრივ რაღაც გამოცდილება გაქვს. როგორ ფიქრობ, რა რჩება საბოლოოდ ამ კონკურსებიდან?

თეა: რჩება კიდევ ერთი ნაწარმოები, რამდენიმე ახალი მეგობარი, მხიარულად გასახსენებელი ამბები... ხანდახან პრიზიც რჩება. ასეთი კონკურსები რაც მეტი იქნება მით უკეთესია. „საკონკურსოდ დაწერილი მოთხრობა – შეიძლება ცუდად ჟღერდეს, მაგრამ რეალურად ეს ტექსტი მართლა ერთ დღეში ხომ არ იწერება. ნებისმიერი ავტორი ყოველთვის ფიქრობს რაღაც სიუჟეტზე, რაღაც იდეაზე, ჰყავს პერსონაჟები, აქვს მოსაყოლი ამბავი, შემდეგ როცა იცლის, მაშინ ჰყვება. კონკურსიც უბრალოდ სტიმულია, თორემ ის, რასაც ადამიანი საკონკურსოდ წერს სხვა შემთხვევაშიც დაწერდა, უბრალოდ შეიძლება ცოტა მერე და ცოტა სხვაგვარად.

ეპლიტფო: კრიტიკაზე რას იტყვი, გაკრიტიკებენ?

თეა: არც უმაგისობაა, თუმცა ქართული კრიტიკა მაინც არ ინდობა. ჩვენთან ავტორს მაინც ზოგავენ ხოლმე.

საკუთარ პერსონაჟებში გახლართული მწერალი

"ეპლიტფო:" მარიანა, უკვე შენი მეორე წიგნი გამოვიდა.. ამბობენ, წიგნები შვილებიაო.. რა განასხვავებს ამ ორ შვილს ერთმანეთისაგან? მსგავსებაზეც გვითხარი...

"მარიანა ნანობაშვილი:" არა თუ წიგნი, ვცდილობ, მოთხრობებიც განსხვავებული იყოს ერთმანეთისგან. რადიკალურ სტილისტურ ექსპერიმენტებს არ ვატარებ, მხოლოდ ვცდილობ, წიგნის წაკითხვისას მკითხველს არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ დიდ, დაუსრულებელ მოთხრობას კითხულობს უმნიშვნელო შინაარსობრივი განსხვავებებით.

კრებულებს რაც შეეხება, პირველი, «არიადნას გორგალი», უფრო აკადემიურია, შეიძლება, ცოტა მძიმე წასაკითხიც, მომზადებულ, დაფიქრებულ მკითხველს მოითხოვს. ძირითადად მესამე პირშია დაწერილი, ზოგჯერ სათაურებიდანვე მოჰყვება მითოლოგიური ალეგორიები და პარალელები («ბარათი გალათეას», «მშვენიერი ელენე», «არიადნას გორგალი» და სხვა). მეორე, «ცეცხლოვანი ქალთევზას წელიწადი», უფრო ლალი გამოვიდა. მოთხრობათა უმრავლესობა პირველ პირშია დაწერილი. მსგავსება კი ისაა, რომ ყოველთვის ვცდილობ ვიმუშაო მოულოდნელ ფინალზე. მინდა, მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მკითხველს, მინიმუმ, არ დარჩეს დროის ფუჭად დაკარგვის განცდა. რამდენად გამომდის, ეს უკვე მკითხველის გადასაწყვეტია.

"ეპლიტფო:" არ შემიძლია არ გკითხო მეორე მსოფლიო ომის თემაზე დაწერილი შენი მოთხრობის, «მშვენიერი ელენეს» შესახებ. რამდენადაც ვიცი, მან წარმატება მოგიტანა. ქალი და ომი... თუ ომი და ქალი... ამაზეც გვესაუბრე.

"მარიანა:" წარმატება რამდენად შეიძლება ვუწოდოთ, არ ვიცი. ამ მოთხრობამ I ხარისხის დიპლომი აიღო საერთაშორისო რუსულენოვან ინტერნეტ-კონკურსში, სადაც 1400-მდე მწერალი და მოყვარული მონაწილეობდა.

ეს მოთხრობა არაა მაინცდამაინც ომისა და ქალის თემაზე. უფრო სწორად, აქ ეს არაა მთავარი. ომი ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებას შთანთქავს და ანგრევს, თუმცა

ის ამჯერად მხოლოდ ბიძგი იყო პირადი კატასტროფისთვის. როდესაც ალბათ ყველა ადამიანს გაუთამაშებს ცხოვრება «რვაბალიან მიწისძვრას», და ამ დროს თითქმის ყველა ერთნაირად იქცევა ეპიცენტრში – ინსტიქტებს ჰყვება. გარბის, სხვებს სწირავს, ლალატობს, მშველელს ებლაუჭება და თან ითრევს... როცა ნებისმიერ მოძრაობას აქვს მნიშვნელობა, ადვილია, მცდარმა ნაბიჯმა ცხოვრება დაგინგრიოს.

ადამიანი სუსტია და ცოდვილი. ცოდვები კარგ სიუჟეტურ მასალას იძლევა, ლიტერატურა კი მათ ესტეტიკას ანიჭებს. მორალური ვალდებულება სოციალური ტაბუს შედეგი არაა, ესაა ინტელექტის იძულება ნებაზე. ყველამ მშვენიერად იცის, და არის კარგი და ცუდი, მაგრამ არსებობს რეალური არჩევანის გზაჯვარედინი, თავისუფლების აქტი. ცოდვის არჩევის პროცესში ადამიანი თვალს არიდებს ამ აქტის აღქმას, როგორც ამორალურისას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევას თავისი მოტივაცია, ისტორია და ფინალი აქვს. ასეთ სიუჟეტებზე მუშაობა განსაკუთრებით მაინტერესებს.

"ებლიტფო:" მაინტერესებს მწერლის პოზიცია მის ნაწარმოების გმირებთან მიმართებაში. საიდან იღებს ის ცოდნას, რათა ეს სულის უფსკრულები აღწეროს?

"მარიანა:" მწერალი ქმნის თავის სამყაროს, სადაც ისაა შემოქმედი, გახლართული თავისი პერსონაჟების სისუსტეებში. ის მათ ქმნის, მაგრამ ზოგჯერ ისინი ავტორის გავლენიდან გამოდიან. თუნდაც ცნობილი მაგალითი გავიხსენოთ – როგორ ვერ წერდა ტოლსტოი «ანა კარენინას» ფინალს, სანამ სიზმარში არ ნახა, რომ მთავარი გმირი მატარებელს შეუვარდა. პერსონაჟები, ჩამოყალიბებული ხასიათებით, ხშირად, თავის ნებაზე ათამაშებენ ავტორს.

მწერლისთვის აუცილებელია ჩასწვდეს ადამიანის სიკეთის და ბოროტების სიღრმეებს. შემეცნების აბსტრაქტული ხერხები, რომლებსაც ზნეობის თეოლოგიის ტრაქტატების ავტორები იყენებენ, აქ არ გამოდგება, ცხადია. მწერლისთვის არსებობს გამოცდილების გზა, ისიც კონკრეტულ ეგზისტენციაში. აუცილებელი არაა ცოდვების მორევში ჩაძირვა და ყველა იმ დარღვევისა და ავადმყოფური ვნებების პირადად გამოცდა, რასაც მისი პერსონაჟები განიცდიან. სინამდვილეში სრულებით საკმარისია საკუთარი თავის სიღრმეში ჩახედვა – ჩახშული რეაქციებისა და ათასგვარი ურჩხულის სამყაროში, ნებისმიერი, ყველაზე მორალური ადამიანის სულის ფსკერზეც რომ თვლემს. თვითდაკვირვება, და არა ცოდვის გამოცდილებაა ბოროტების ლაბირინთებში საუკეთესო გზამკვლევი. მორიაკისა არ იყოს, «კარგია იყო წმინდანი. მაგრამ მაშინ ვერ დაწერ რომანს».

"ებლიტფო:" «მშვენიერმა ელენემ» რუსი მკითხველი შეგძინა...

"მარიანა:" რუსი მკითხველის შეძენა ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. რუსულ ბაზარზე აუცილებლად მიინდა გასვლა, როგორღაც ვერ მოვიცალე საკუთარი მოთხოვნების სათარგმნელად, დიდ ენერგიას მოითხოვს კარგი თარგმანის შესრულება, არ მიინდა, ვიჩქარო.

"ებლიტფო:" მარიანა, როგორ ფიქრობ, საითკენ მიდის თანამედროვე ქართული პროზა? რა ტენდენციები ახასიათებს მას და რა დაიტოვა გასული საუკუნიდან?

მარიანა: გასულ საუკუნეში ქართულმა ლიტერატურამ ბევრი გადაიტანა. კომუნისტური წყობის დროს შეიქმნა სიტუაცია, როცა ლიტერატურას აიძულებდნენ, ყოფილიყო ფორმირებული, მართული და შექმნილი არა შემოქმედებითი

ინტუიციის, პროდუცირების წესების, არამედ გარკვეული მიზნებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. იყო უზარმაზარი ცენზურა და უამრავი ტაბუ. იმ სამყაროში ხელოვნება პროლეტარიზმის მსახური გახდა, შემოქმედი კი, რომელიც იძულებული იყო მისთვის ემსახურა, თავის ნიჭს და ჭკმმარტ ღირებულებას ღალატობდა უნებურად (თუ ნებისთ). ცხადია, იყვნენ ცალკეული მწერლები, რომლებიც რისკავდნენ, ღირებულსა და დასაშვებს შორის ლავირებას ახერხებდნენ და კაშკაშა კვალიც დატოვეს, თუმცა ბევრ გვარს, თავის დროზე რომ ქუხდა, უკვე დღესაც ვერ გაიხსენებს თანამედროვე მკითხველი.

შემდეგ ერთბაშად მოხდა ცენზურის და აკრძალვათა კედლის რღვევა, და ლიტერატურა მეორე უკიდურესობაში გადავარდა. წერდნენ ყველაფერს, ყველაფერზე და ყველა ხერხით. და როგორც ერთხელ მაკა ჯოხაძემ თქვა, შექმნა მხატვრული ღირებულება სამყაროში, სადაც არ მოქმედებს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ცენზორის ხელი, რაგინდ პარადოქსადაც უნდა ჩანდეს, ხშირად უფრო რთულია, ვიდრე ტოტალიტარულ სამყაროში. დღეს რაღაც დოზით ლიტერატურა დაიწმინდა. და როგორც სავსებით სწორად თქვა ეკა ღაღანიძემ, რომ მასკულტურამ წალეკა ბაზარი, მაინც მგონია, რომ ნამდვილ ლიტერატურას ამით მხოლოდ ემატება ფასი.

"ებლიტფო:" რა არის შენთვის კრიტიკა? როგორ აღიქვამ კრიტიკას, ვინ გაგაკრიტიკა ყველაზე მეტად და რაში არ დაეთანხმე?

"მარიანა:" კრიტიკას ამ ვიწრო გაგებით ნიადაგის გაფხვიერებას შევადარებდი. პროფესიონალურ კრიტიკას მშვიდად აღვიქვამ, შეიძლება იმიტომ, რომ ის ჩემს მიმართ ყოველთვის თბილი იყო. რაც შეეხება ლიტერატურასთან დაახლოებული ცალკეული პირების უარყოფით კრიტიკას, ეს შემთხვევაც მქონია ერთ ლიტ. საიტზე. ის ეხებოდა ჩემს მოთხრობას «მესიჯი არსაით» და ეფუძნებოდა არგუმენტს «არ მომწონს». ცხადია, ყველა მოთხრობა ერთი ღირებულებისა არავის გამოსდის, კრიტიკა კი მაინც სუბიექტური ცნებაა. ეს მოთხრობა, მაგალითად, ბაკურ სულაკაურმა «2005 წლის 15 საუკეთესოთა» კრებულში შეიტანა.

კრიტიკას ძალიან ვაფასებ, თუ ის არგუმენტირებულია, თუნდაც სუბიექტურად და არაა აგებული პრინციპზე «არ მომწონს, იმიტომ რომ არ მომწონს». ერთი მეგობარი ჩემი ახალი მოთხრობის მკითხველიცაა, მის აზრს განსაკუთრებით ვითვალისწინებ არაჩვეულებრივი ლიტერატურული ალღოს გამო. ბევრისგან განსხვავებით პირდაპირ მეუბნება, თუ რამე არ მოსწონს. მერე ვზივარ და ვასწორებ. ხუმრობით ჩემს რედაქტორს ვეძახი.

"

"ებლიტფო:" დავით ქართველიშვილი, ბესო ხვედელიძე, ირაკლი ლომოური, ლაშა ბულაძე... რას იტყვი მათ შემოქმედებაზე? მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს მწერლი ქალის თვალთ დანახული მისი თაობის მამაკაცი მწერლები...

"მარიანა:" თითოეულ მათგანზე განსაკუთრებული აზრი მაქვს. მათ შემოქმედებაზე არ მინდა საუბარი, თუნდაც იმიტომ, რომ ერთ ჩამონათვალში უხერხულია საკუთარი ფავორიტების დაფიქსირება. ყველასთან კარგი ურთიერთობა და ზოგთან მეგობრობაც მაკავშირებს. ყოველ მათგანს თავისი ნიში აქვს დაკავებული დღევანდელ ლიტერატურულ სამყაროში, ეს კი ნიშნავს, რომ ისინი შედგნენ, როგორც მწერლები. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, მწერალი ქალის თვალთ არ დამინახავს მამაკაცი მწერალი. ორივე სქესის მწერალს მწერლად აღვიქვამ და მამაკაცს _ მამაკაცად.

ისე, მიმაჩნია, რომ თანამედროვეებიდან ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა, მსოფლიო მასშტაბის მწერალი ჯემალ ქარჩხაძე იყო. სამწუხაროა, რომ ჯეროვნად არაა დაფასებული. ახალგაზრდებს კი ყველაფერი წინა გვაქვს, დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

«მოხუცი»

ებლიტფო: დათო, შენს ნაწარმოებებში ერთ-ერთი აქტუალური თემა, ღმერთის თემაა...

დათო ქართველიშვილი: სამყარო რაღაც მთლიანობაში უნდა დაინახო, ცაც, მიწაც. სულ ეს არის. ვერ ვიტყვი, რომ ამ თემაზე სპეციალურად ვწერ. ხანდახან, თემას შენ არ ირჩევ, პირიქით. ღმერთზე ფიქრი ჩემთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ცხოვრება. სამწუხაროდ, თანამედროვე ლიტერატურაში ეს თემა ძალზე მარტივად არის გადაწყვეტილი ან სულაც, უარყოფილია. ჩემთვის ეს ძალზე აქტუალური საკითხია.

ისე კი, ჩემს რწმენისადმი დამოკიდებულებაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

ებლიტფო: შენი ცნობილი რომანის – „იყო საღამო და იყო დილა“ – ფინალი ძალზე მეტაფორულია.

დათო: ჩემი აზრით, რომანისთვის საამაყოდ არ ითვლება მეტაფორული ფინალი. ეს რომანი რომ დავიწყე, 27-28 წლის ვიყავი. თავიდან სხვა ფინალი მქონდა, მაგრამ ეს სჯობს. ერთი მხრივ, ბანალურია, მეორე მხრივ – მეტაფორული. ზოგჯერ ამბობენ, კარგი დასაწყისი ნახევარი საქმეაო და კარგ ფინალზეც ასე ითქმის. სხვათა შორის, აზრი გაიყო ამ რომანის შესახებ. მე ისეთი ნაწარმოები მინდოდა დამეწერა, რომელშიც ყველა იპოვიდა რაღაც მისეულს, მაგრამ არა ბოლომდე. მაგ თემაზე ძალიან ბევრი მიფიქრია. თანამედროვე რომანი უკვე იმდენად კომპრომისული გახდა, რომ ყველაფერი უნდა გაითვალისწინო. ამას რომ იწყებ, უკვე ისეთი მაგარი ვერ ხარ. ჯეიმს ჯოისი არის აბსოლუტურად ეგოისტი მწერალი, წერისას არავიზე ფიქრობს და იმიტომ არის ძლიერი ავტორი. ერთი რამ შეიძლება ვთქვა, რომ თანამედროვე დასავლური რომანის მოთხოვნებს აკმაყოფილებს ჩემი წიგნი. დამისახელებთ რომელიმე თანამედროვე მწერალი, რომელიც საკამათო არ არის.

ებლიტფო: ერთმა ახალგაზრდა ადამიანმა მითხრა, რომ ეს რომანი 60 წლის ადამიანის დაწერილი უნდა იყოსო. შენი რომანი, რომ წავიკითხე, მაშინ არ გიცნობდი და მეც გამიკვირდა, როცა შენი ასაკი გავიგე... 60-ის არა მაგრამ 40-45 წლის მწერალი მეგონე...

დათო: თანამედროვე რომანში ან ძალზე ინტელექტუალური პრობლემებია დასმული ან ბელეტრისტიკაა, სიუჟეტზეა მიბმული. თანამედროვე მკითხველი გადაეჩვია აზროვნებას ლიტერატურაში და დარწმუნებული ვარ, აქედან გამომდინარე, ვეგონე ასაკოვანი. ვინც ეს თქვა, თავად უნდა ვკითხოთ, ასე რატომ ეგონა.

ებლიტფო: შარშან, როდესაც დათო ჩიხლაძემ პოეზიის საღამო დაიწყო, იმის მაგივრად რომ ლექსი წაეკითხა, განაცხადა, რომ პოეზია მოკვდა. შენი აზრით, რა მდგომარეობაა თანამედროვე ქართულ პროზაში?

დათო: არც პოეზია და პროზა არ მომკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ: მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტებმა აიღეს, მორალური საკითხები-ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა“ ამ საკითხებისგან და, უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თბრობა. გარდა ამისა, ადამიანს სჭირდება ისტორიულის გარდა წმინდა ემოციური და ადამიანური მატიანე. ჩემთვის, მაგალითად, ბალზაკისდროინდელ ისტორიულ ნარკვევებზე მეტად საინტერესო თავად ბალზაკის ნაწარმოებებია, საიდანაც ვიგებ, თუ როგორ აზროვნებდნენ დ ცხოვრობდნენ იმ ეპოქაში.

ებლიტფო: დათო, მაინც მგონია, რომ ჩვენს თაობას ისეთი ისტორიული მოვლენები აქვს გადატანილი, რომ აუცილებლად ჰპოვებს ასახვას ლიტერატურაში.

დათო: მე სულ ვცდილობ, რომ ეს აღვწერო. ყველაზე კარგად, ეგ ვიცი. უბრალოდ, არ მინდა ვწერო, რომ რადგან პური გვაქვს, დღეს უკეთესობაა. უბრალოდ, გარეგნულად უფრო დავმშვიდდით, თორემ შინაგანი პროცესები ისევ მწვავედ მიმდინარეობს. თუ ჩვენ გვინდა, რომ „93“-ის ტიპის რომანი დაიდოს, უნდა გავითვალისწინოთ, რამდენი წელი გავიდა, ვიდრე ჰიუგო ამ რომანს დაწერდა. ობიექტურობისთვის დრომ უნდა გაფილტროს მოვლენები. გერმანიაშიც, ფაშიზმზე წერა 1950-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. როდესაც ცხოვრების სოციალური დონე მოიმატებს, გაცილებით დინჯად მოხდება გასული მოვლენების ანალიზი. დრო სჭირდება ყველაფერს. თანამედროვე ქართული პროზა ახლა ყალიბდება, რაც პოეზიისგან რადიკალურად განსხვავებული პროცესია. თუმცა, რაღაცეები მომწონს, მაგალითად, ოთარ ჭილაძის ბოლო რომანი მე ძალიან მომწონს, თუ ბოლო ნაწილს არ ჩავთვლით, მესამე ნაწილს რაც შეეხება, მე ომი სხვაგვარად მახსოვს. თუმცა, ესეც არ არის პრობლემა, ყველას საკუთრი თვალთახედვა აქვს. კიდევ ის, რომ ოთარ ჭილაძის, დოჩანაშვილის თაობის მწერლები ხიდად უნდა ყოფილიყვნენ ჩვენთვის, ჩვენ უფრო „უპატრონოებივით“ ვართ, წინა თაობასა და ჩვენს შორის ხიდი არ ყოფილა. თუმცა, მაგალითად, ამას წინათ დაიბეჭდა ირაკლი სამსონაძის გენიალური ნაწარმოები „ყურთბალიში“, რომელიც უკვე თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშია.

ებლიტფო: ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა ზაზა თვარაძე...

დათო: ზაზას, როგორც პროზაიკოსს, აქვს ბრწყინვალე შედეგები „სიტყვები“. მე ვთვლი, რომ ეს პოეზიაა პროზაში. უპირველეს ყოვლისა, ზაზა მიანც დიდი პოეტი იყო და მისი დაფასება რამდენიმე წელიწადში დაიწყება. სამართლიანად, მაგრამ უკეთესია, რომ ადამიანის დაფასება მის სიცოცხლეშივე ვისწავლოთ. 22 წლის ბიჭის ქებას სჯობს ის ვაქოთ, ვინც საქმე უკვე გააკეთა და ვისაც ქება ვერ შეცვლის.

ყველას უნდა ჰქონდეს თვითრეალიზაციის საშუალება

"ებლიტფო:" ზურა, პროექტს რომელსაც 'ებლიტფოზე' ვანხორციელებთ, ჰქვია «რამდენიმე კითხვა...». სულ რამდენიმე კითხვას ვუსვამთ უკვე ცნობილ ავტორებს. ვფიქრობთ, ეს ინტერვიუები დიდ დახმარებას გაუწევს ახალგაზრდა მწერლებს. დარწმუნებული ვართ, რომ შენი და უფროსი თაობის მხარდაჭერა მათთვის მნიშვნელოვანი გახდება. სწორედ ამ მიზნით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხორციელდება პროექტი «თითო-თითო», რომლის ერთი ეტაპი უკვე დამთავრდა ლიტერატურული ალმანახის – «თაობები» – პირველი ნომრის გამოცემით.

ლიტერატურულ სივრცეში ძალიან ცოტა ადამიანი გამოეხმაურა დადებითად ამ პროექტს . ეს ძალიან მოულოდნელი იყო ჩვენთვის... თუმცა დადებითად გამოეხმაურებებმა, რომლებმაც ფაქტობრივად უზრუნველყო პროექტის გაგრძელება...

ზურა რთველიაშვილი: რომელი თაობა გამოეხმაურა უარყოფითად?

"ებლიტფო:" მკითხველების აზრი და გამოქვეყნებული გზავნილების შინაარსი დიამეტრულად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თუმცა, გვჯერა, რომ ყველა აზრი გულწრფელი და კეთილგანწყობილია. პირდაპირ გეტყვი, ეს ალმანახი იქნება ან ასეთი, მხოლოდ აკადემიურისკენ სწრაფვადი, ან საერთოდ არ იქნება. ბატონ გივი ალხაზიშვილს, ქალბატონ იზა ორჯონიკიძეს, ბელა ჩეკურიშვილს, ნინო თარხნიშვილს, ზურა რთველიაშვილს, არ სჭირდებათ ამ ალმანახში ნაშრომის გამოქვეყნება, უბრალოდ ეს იყო მათი მხრიდან სრული მხარდაჭერა ახალგაზრდა თაობებისათვის. ამ ახალგაზრდა და უდაოდ ნიჭიერი თაობიდან ზოგი იამაყებს, რომ ამ ალმანახში დაიბეჭდა, ზოგი კი გადახედავს თავის ნაწარმოებს და მომდევნო ნომრებში უფრო მაღალი დონის ნაწარმოებს შემოგვთავაზებს.

ცოტა გამიგრძელდა საუბარი... ახლა კითხვა:

რას ელოდი, როცა ამ ალმანახს მხარი დაუჭირე, რა მიიღე მისი გამოცემის შემდეგ, ითანამშრომლებ თუ არა მომავალშიც მსგავს პროექტებთან?

ზურა: როგორც მე გავიგე, არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰქონდა ამ ალმანახს. იმ ლიტერატურულ სიმწირეში, სადაც ახალგაზრდა თაობას არა აქვს გასაქანი და ალტერნატივა, რომ რამოდენიმე ლიტერატურულ ჟურნალში დაიბეჭდოს, მე ვთვლი, რომ ეს არაჩვეულებრივი წამოწყება და პროექტია, რომელიც ახალგაზრდა თაობებს საკუთარი შემოქმედების წარმოჩენის საშუალებას აძლევს. ის უწყვეტი ჯაჭვი და კავშირი, რომელიც თაობათა შორის არსებობს, უნდა დაფიქსირებულიყო და წარმოჩენილიყო. ყოველთვის ვცდილობ და, მეტ-ნაკლებად, გამომდის ვიდგე ახალ თაობასთან, რომელიც ფეხს იკიდებს ლიტერატურულ სივრცეში, თუნდაც, ამ თვალსაზრისით, ეს პროექტი არის საკმაოდ საჭირო და მნიშვნელოვანი, რომელიც აუცილებლად უნდა განვითარდეს. როგორც თქვენ ბრძანეთ, ახალ ნომერში სხვა ფორმებიც იქნება. ლექსები დაიბეჭდება კომენტარებით და იქვე იქნება პატარა დისკუსიები. ასეთი ტიპის მუშაობა აუცილებელია, რომ განვითარდეს თანამედროვე ლიტერატურა და პოპულარიზაცია გაეწიოს სხვადასხვა თაობებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ტიპის მუშაობა არ არის სისტემური ხასიათის. ძალიან მიკვირს, რომ ასეთი პასიური იყო საზოგადოების გარკვეული ნაწილი. პირადად მე ყოველთვის დავდგები ყველა თაობის წარმომადგენლის გვერდით. ვცდილობ ვიყო შემრიგებლური. ეს ალმანახი ერთ-ერთი მცდელობაა კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის და ეს ინიციატივა არის სერიოზული გადადგმული ნაბიჯი ამის მისაღწევად. ეს ჩვენ ძალიან გვჭირდება. ხშირად მესმის, რომ ახალგაზრდა თაობის გარკვეულ ნაწილს ზედაპირული წარმოდგენა აქვს თავის წინა თაობებზე, მის თანამედროვე მწერლებზე და პოეტებზე, ეს სწორედ იმის ბრალია, რომ ჩვენ არ გვაქვს ის ურთიერთობა, რასაც გვამლევს ეს ალმანახი.

"ებლიტფო:" ამ ნომერში ყველაზე პატარა ავტორი 17 წლის იყო, ყველაზე უფროსი კი 65 წელს გადაცილებული. მეორე ნომერში ყველაზე უმცროსია 13 წლის და ყველაზე ხნოვანი, 95 წლის – შიო მღვიმელის ქალიშვილი, ქეთევან ქუჩუკაშვილი, რომლის ლექსი დაიბეჭდება თავისივე კომენტარით.

ზურა: ეს შესანიშნავია. ზუსტად ამ ურთიერთობაზე, ამ დაახლოებაზე, ამ გაუცხოების მოხსანაზე მუშაობს ეს ალმანახი. ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ეს არის. ბევრი უნდა გამოვიდეს ახალი და ძველი თაობიდანაც, რომლებიც სირაქლემის პოზიციაში არიან. ყველას უნდა ჰქონდეს თვითრეალიზაციის საშუალება, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობებს.

"ებლიტფო:" ამის მაგალითია ახალგაზრდა პოეტი ჰექსე, რომელსაც არასოდეს დაუბეჭდავს და, ფაქტობრივად, ჩვენ «ვაიძულეთ» ლექსის დაბეჭდვა ალმანახის მეორე ნომერში. დარწმუნებული ვარ, რომ «ჩვენი მწერლობა» აუცილებლად დაბეჭდავს მის ლექსებს ბატონი გივი ალხაზიშვილის პირველი შთაბეჭდილებით და ავტორის ბიოგრაფიით. განა ეს არ არის საკმარისი, რომ ალმანახმა იარსებოს? ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი კოლეგის, ქეთი გზირიშვილის დებიუტი ალმანახ «თაობებში»... ამჯერად, სხვა დებიუტანტებზე არაფერს ვიტყვი...

ზურა: ამაზე კამათი არ შეიძლება... ვფიქრობ, რომ ალმანახი უფრო უნდა განვითარდეს. აუცილებელია მისი ფართოდ გაშლა და გააქტიურება, რომ უფრო ქმედითი იყოს.

ებლიტფო: ზურა, შენ შემოქმედებაზე გავაგრძელოთ საუბარი... როგორ დაიწყეთ წერა და რას წარმოადგენს თქვენთვის შემოქმედებითი იმპულსი?

ზურა: შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი მოვლენა- ზარბაზნის გრიალი თუ შემოდგომის ფოთლის ჩამოვარდნა, მეგობრის მიერ წამოსული დადებითი მუხტი შეიძლება იქცეს მხატვრულ ტექსტად. ჩამოყალიბებული რეცეპტი არ მაქვს.

ებლიტფო: რამდენიმე ხნის წინ, დავით ჩიხლაძემ განაცხადა, რომ ქართული პოეზია „მოკვდა“...

ზურა: დათო ჩემი კოლეგა და მეგობარია. ჩვენ წლების განმავლობაში გვაკავშირებს არა მარტო მეგობრობა, არამედ ურთიერთთანამშრომლობაც. დათო, კარგი გაგებით, ინსპირატორია და მას უნდოდა ამ თემის გამწვავება პოლემიკის გასაღვივებლად. რასაც მიაღწია კიდეც. დათო შესანიშნავი თანამედროვე პოეტია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართული პოეზია აგრძელებს განვითარებას. ბუკვალურად არ უნდა გავიგოთ მისი ეს სიტყვები.

ებლიტფო: ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ დღეს აღარ არის პოპულარული კლასიკური ლექსი და ალტერნატიული ხელოვნების დროა. რამდენად სწორია ასეთი მიდგომა შემოქმედებისადმი?

ზურა: სულიერი საკვები განსხვავებული და მრავალფეროვანი, ფართო სპექტრის უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნეგატიურ ტენდენციებს ჩამოაყალიბებს და ცალმხრივად განვითარებს გემოვნებას. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ ყოველი მიმართულების ხელოვნებაზე გვქონდეს წარმოდგენა.

ებლიტფო: ზურა, რას იტყვი ლიტერატურულ კონკურსებზე, რა ცვლილებებს შეიტანდი იმ კონკურსების მსვლელობაში, რომლებიც საქართველოში ტარდება?

ზურა: ლიტერატურული კონკურსები ჰაერივით აუცილებელია. სამწუხაროდ, დღესდღეობით არ გვაქვს „ლიტერატურული ფუფუნება“, თუმცა ქვეყანაში არსებული პრობლემები არ არის გამართლება იმისთვის, რომ, ზოგადად, კულტურასა და მწერლობას არ მივხედოთ. ჩვენ საუკეთესო წამოწყებები გვაქვს, რომლებიც ბოლომდე არ მიგვყავს-ხოლმე. მათ შორის, კულტურაშიც. ძალიან

ზოგადი მიდგომა გვახასიათებს საკითხისადმი. უნდა ტარდებოდეს სხვადასხვა ესთეტიკის, სხვადასხვა მიმართულების კონკურსები. არიან ხელოვანები, რომლებსაც თუ ჩარჩოებში მოაქცევ და ცოცხალ კლასიკოსს შეადარებ, უკვე რთული ხდება მისი წარმატება და კონკურსიც შეუსაბამოა. ერთი სხვა ტრადიციებს ამკვიდრებს და მეორე – სხვას. ამიტომ არის საჭირო სხვადასხვა ტიპის კონკურსები.

ებლიტფო: ზურა, თუ დათანხმდები შემოთავაზებას რომელიმე ლიტერატურული კონკურსის ჟიურის წევრობაზე?

ზურა: ხშირად მიკეთებია კარგი საქმეები ენთუზიაზმის დონეზე და ახლაც ვაკეთებ. ამდენად, ჩემთვის ეს პირველი შემთხვევა არ იქნება. მე არ ვყოფილვარ ამ ამპლუაში, მაგრამ თუ შემომთავაზებდნენ, ჩემს საკუთარ აზრს გამოვხატავდი და ნაწარმოების შეფასებისას ნაკლებად მოვექცეოდი სხვადასხვა ტიპის ავტორიტეტების გავლენის ქვეშ. ჩემი წევრობა არ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ იქნებიან ჟიურის სხვა წარმომადგენლები. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემს დამოკიდებულებას გამოვხატავ.

ებლიტფო: თარგმანზეც ვისაუბროთ, როგორ დაახასიათებდი მთარგმნელობით პროცესებს საქართველოში?

ზურა: ამ მხრივ, არაჩვეულებრივ საქმეს აკეთებს ბესო ხვედელიძე, რომელიც ჟურნალ „ახალ თარგმანებს“ რედაქტორობს. არიან ინდივიდუალური მთარგმნელები, ჩემი მეგობრები. ამ მხრივ დიდი ყურადღება არ არის გამახვილებული და მათ, ვინც უცხო ენაზე ვერ კითხულობს ორიგინალებს, სერიოზული პრობლემა ექმნებათ. დღეს უკვე რუსულის ცოდნაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მე თუ რომელიმე ახალ დასავლეთ ევროპელ ავტორს ვეცნობი, უმეტესად, რუსულ ენაზე. რუსეთში თარგმნის მაღალი კულტურაა. ჩვენთანაც იყო მთარგმნელობითი კოლეგია, რომელიც სერიოზულად მუშაობდა. სასურველია, რომ მოხდეს ერთგვარი რეანიმაცია, განახლება ამ ორგანიზაციისა.

ებლიტფო: საინტერესოა, თქვენ რომ საშუალება გქონდეთ, როგორ წარმართავდით კულტურის პოლიტიკას საქართველოში?

ზურა: პირველ რიგში, ჩემს მეგობრებთან და დაინტერესებულ ადამიანებთან ერთად, ვეცდებოდი, თავზე მომეხვია ხელისუფლებისთვის „კანონი მეცენატობის შესახებ“. ეს რეალურად გვჭირდება და არ არის ერთი-ორი ადამიანის „ამოჩემება“. მერწმუნეთ, რომ ეს საკმაოდ კარგ კვალს დაატყობს კულტურას. ჩვენ გვჭირდება მეცენატები, რომლებიც შექმნიან ფონდებს და მხარს დაუჭერენ კულტურისა და მეცნიერების განვითარებისთვის საჭირო ახალ ინიციატივებს. განვითარებულ ქვეყნებში ამის არა ერთი მაგალითი გვაქვს. აქედან გამომდინარე, მე დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას ამ კანონის მიღებასა და ამოქმედებაში. ჩვენ მეცენატობის დიდი ტრადიციები გვაქვს და ეს უცხო არ იქნება ჩვენი სინამდვილისთვის.

მე მაქსიმალისტი ვარ

ებლიტფო: ლელა, შენ პიესის ავტორი ხარ... ამიტომ ჩვენი პირველი კითხვა დრამატურგიას შეეხება. რა მდგომარეობაა დღეს ქართულ დრამატურგიაში?

ლელა კოდალაშვილი: არც ისე დიდი ხანია, რაც თანამედროვე დრამატურგებზე საუბრისას შადიმან შამანაძის, ლაშა თაბუკაშვილის, თამაზ ბაძაღუას სახელები ფიგურირებდა. მათ პიესებზე დადგმულ სპექტაკლებს მრავალჯერ ვნახულობდით და მერე იქიდან გამოყოლილი ფრაზებით, ციტატებით ვსაუბრობდით ერთმანეთთან, იმ პერსონაჟებს ხან დავცინოდით, ხან ვპაროდირებდით, ხან ვიყვარებდით. ეს, რაც შეეხება, ემოციურ ფონს, მაგრამ წმინდა შემფასებლური კუთხითაც იმ პიესებში სიახლე აშკარად იყო. დღეს ასეთი გამოკვეთილი სახე არ მოიძებნება, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ სრული გამყინვარებაა და ახალი არაფერი ხდება. არის, რა თქმა უნდა, კანტიკუნტი მცდელობები, მაგრამ ეს მცდელობები გაიელვებენ და მალევე ქრებიან. ამიტომაც, რომ დრამატურგია ჩვენთან ვერ ვითარდება. ბოლომდე მის გზაზე დამდგომი კაცი ვერ გამოჩნდა. პროზაიკოსები ათიოდე მოთხრობას რომ დადებენ, ერთ პიესას ყოველი შემთხვევისთვის „შეაგდებენ“ ლიტერატურის თაროზე და ჩემი აზრით ასე დრამატურგიის საქმე ვერ აეწყობა. ბევრი უნდა დაიწეროს, რომ მერე თანდათან გამოიკვეთოს ის, რომ წინ მიდის ეს საქმე და არა ერთ ადგილს ტკეპნის.

ებლიტფო: შენი პიესა... პერსონაჟები, პროტოტიპები...

ლელა: მგონი ადრეც აღვნიშნე თქვენს ფორუმზე, რომ ეს პიესა დიდი ხნის ნაგროვები პრობლემებისგან შეიქმნა ერთბაშად. ამის გამო ამ ნაწარმოებს ლიტერატურული ღირებულება ნაკლებად აქვს, ის უფრო პასუხია იმ კითხვებზე, რომელიც ჩვენი თაობის ახალგაზრდა ქალებს უჩნდებათ ძალიან ხშირად და ბევრი მათგანი ვერ ახერხებს, სტრესებისა და შინაგანი კონფლიქტების გარეშე მოახერხოს თავის დაღწევა. რაც შეეხება პროტოტიპებს... პიესაში ოთხი ძირითადი პერსონაჟი ქალია. რა თქმა უნდა, მათ მაინცდამაინც ოთხი შესატყვისი პროტოტიპი ვერ ეყოლებათ. ეს ოთხი პერსონაჟი თავის თავში მოიცავს ალბათ თხუთმეტ, ოც ან იქნებ მეტ ქალს, რომელსაც კი ჩემთან ოდესმე ამდაგვარ პრობლემებზე უსაუბრია. და პოტენციურად ის ქალებიც იგულისხმებიან, ვისაც მე არ გადავყრივარ ცხოვრებაში, მაგრამ რომ შევხვედროდი, მათაც იგივე სასაუბრო ექნებოდათ. რა თქმა უნდა, დიდი დოზით არის შემოჭრილი ავტორიც, რადგან სწორედ ავტორი იღებს ძირითად გადაწყვეტილებებს და თავისეული ზნეობრივი ფასეულობებით უმაგრებს ზურგს ამა თუ იმ თეორიას. იგი თვითონაც ძიების პროცესშია, თუმცა სწორხაზოვნად ადგას ერთი გარკვეული იდეის სისწორეს და ცდილობს, დაიცვას იგი.

ებლიტფო: შენ ბელა ჩეკურიშვილზე გამოაქვეყნე რეცენზია. რას ფიქრობ მის პოეზიაზე და კიდევ რომელ ქართველ პოეტზე ისაუბრებდი?

ლელა: ბელას პოეზიაზე ჩემი აზრი მაშინ უფრო რეცენზიის ფორმით ჩამოვაცალიბე. ახლა ასე ფუნდამენტურ განხილვას არ შევუდგები. ბელას, ისევე, როგორც ზოგადად ჩვენი თაობის პოეტთა ნიჭიერ ნაწილს, პირადად მე ერთ პრეტენზიას წავუყენებდი. ეს ის პრეტენზიაა, რომელიც ეხება ალბათ მთელ ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას (ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ნიჭიერ ნაწილს ვგულისხმობ. უნიჭოთა არმიას არც არასოდეს განვიხილავ). პრეტენზია ასეთია _ ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით. ვერ შემოგვაქვს ვერც ახალი ფორმები, ვერც ახალი სათქმელები. ნიჭიერებს კი იმიტომ ვუწოდებ მათ, რომ იმ გაკვალებზე ბილიკებზე ნიჭიერად და ხანდახან ძალიან ნიჭიერადაც ახერხებენ თავისი სიტყვის თქმას. ალბათ მე მაქსიმალისტი ვარ ჩემი ბუნებით და ამიტომ ვითხოვ რაღაც განსაკუთრებულს, მაგალითად იმდაგვარს, რაც თავის დროზე ბესიკ ხარანაულმა გააკეთა. მერე კიდევ იყო მცდელობები მცირე, ძალიან მცირე დოზებით იგივე,

ვთქვით, შოთა იათაშვილისგან. მაგრამ როცა მე ვისმენ ბელას ლექსებს, როცა ვისმენ ზვიად რატიანის ლექსებს, ელა გოჩიაშვილის, ადრეული დათო ბარბაქაძის, ლელა სამნიაშვილის... ვგრძნობ, როგორი ნიჭიერები არიან ისინი, ვგრძნობ, როგორ მიცოცხლდება ემოციები, როგორ ვმდიდრდები და ვნატიფდები შინაგანად, მაგრამ როცა ეს ფონი გადის და ვიწყებ ფიქრს, ვიაზრებ, რომ ეს ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ რომელიმე მათგანს და სხვებსაც, მე ყველა ვერ ჩამოვთვალებ, კლიმატის შეცვლა მოვთხოვო. სხვა გზა არ არის, ვტკბებით იმით, რაც გვაქვს. ახლის მომწიფების დრო ალბათ ჯერ არ დამდგარა.

ებლიტფო: ლელა, შენი აზრით რა განსხვავებაა მამაკაცურ და ქალურ პოეზიას ან პროზას შორის.

ლელა: იცი, ალბათ ცნება მამაკაცური ან ქალური პირობითია, რადგან თვით ქალი და მამაკაციც კი _ ესოდენ საჩინო ნიშნით გამორჩეულნი ერთმანეთისგან, ხშირად ვერ კლასიფიცირდებიან ერთი ან მეორე სქესის შინაგან სამყაროებად. უკაცრავად, მაგრამ გენიტალიები ვერ ყოფენ მათ. ქალშიც არსებობს რაღაც დოზით მამაკაცური და პირიქით. ვის აღუნუსხავს ეს? არც არავის. ასევეა მათი შემოქმედებაც. ყველა იმ ტკივილებზე წერს, რომელიც მისთვის ნაცნობია, ყველა იმ სამყაროს გვიხატავს, რომელიც მისთვის ბუნებრივია. უბრალოდ, მამაკაცმა ძირითადად ადრე განიცადა ფორმაცია და რაღაც სხვა ეტაპზე შემოდგა ფეხი. ქალი საქართველოში ცოტა არ იყოს, წინა საფეხურზე დარჩა. არ დავიწყებ იმის განხილვას, რომ ჩვენმა ტრადიციებმა და მენტალიტეტმა განაპირობა ქალის ძირითადად ოჯახზე „მიბმა“ და შესაბამისად მისი საზოგადოებრივი როლის დაღმასვლა. ეს ხელშემწყობი ფაქტორი ისედაც სახეზეა, მაგრამ ქალები, მოდით, ამის გამო თავს ნუ გაიმართლებენ. მათ, როგორც ჩანს აწყობდათ მხოლოდ სამზარეულო, სარეცხი, ქმარ-შვილის დონეზე პასუხისმგებლობის აღება და „ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო“ გაითამაშეს. ანუ სიამოვნებით მოერგნენ სახლის ინტერიერს და ახლა თავს იმართლებენ, რომ ეს მამაკაცის ბრალია. მე კი ასე ვიტყვოდი _ ეს მათი ბრალია. მათ თვითონ გაიუფასურეს თავი და დღეს სწყინთ, როცა მამაკაცთა საზოგადოების დიდი ნაწილი ქალის აქტიურობას ირონიული ღიმილით ხვდება. თუმცა ხშირია შემთხვევები, როცა კაცებს ეს ირონია პირზე აცივდებათ, ისეთი გამონათებების მოწმენი ხდებიან ხანდახან. ჰოდა, დავუბრუნდები შეკითხვას _ ყველას თავისი გადასახედი აქვს, ყველა თავისეულად ხედავს სათქმელს. ამიტომ მე ასე გამოკვეთილად არ ვყოფ ქალს და მამაკაცს.

ებლიტფო: ლელა, რა მდგომარეობაა კრიტიკის თვალსაზრისით საქართველოში?

ლელა: კრიტიკა, მე ვიტყვოდი, რომ არ არსებობს. თუ რამე იწერება, ეს არის ან ქება-დიდება მეგობრულ-ქართულ ვარიანტში, ან დაუსაბუთებელი განქიქება ასევე პირადი ნიშნით. ხაზს გავუსვამ, რომ რაც ზემოთ ვთქვი, ეს უმეტეს ნაწილს ეხება და, რა თქმა უნდა, არის კანტიკუნტი საქმიანი რეცენზიებიც, სადაც კრიტიკოსი შეძლებისდაგვარად ობიექტურად და კომპეტენტურად განიხილავს ავტორსა თუ ნაწარმოებს. ძირითადად კი ეს ყველაფერი სერიოზულობას მოკლებულია განსაკუთრებით ინტერნეტ-სივრცეში. აღარ დავკონკრეტდები, მაგრამ ხშირად ამა თუ იმ ნაწარმოების, კონკურსის, თუ ზოგადად ავტორის ბედი რამდენიმე სამწიგნწაკითხული თინეიჯერის ხელთაა და აქ უკვე კომენტარიც კი აღარ არის საჭირო, თუ რა ხდება ამ სფეროში.

ებლიტფო: რას ნიშნავს შენთვის გემოვნებიანი მკითხველი?

ლელა: ადამიანი, რომელსაც აქვს მდიდარი შინაგანი სამყარო და ზოგადად გახსნილი მსოფლმხედველობა, ადამიანი, რომელიც არ არის ჩაკეტილი ერთი კონკრეტული ეპოქის ფასეულობებში, რომელიც ვითარდება და ყოველდღე ზრდის თავის თავს, ყოველდღე ცდილობს, გაფართოვდეს მისი თვალსაწიერი, ის უკვე გემოვნებიანი და კომპეტენტური ადამიანია, თუნდაც შორს იდგეს ლიტერატურისგან, მოღვაწეობდეს სულ სხვა სფეროში და ინტერესდებოდეს სულ სხვა შემოქმედებითი ფასეულობებით.

გზავნილი ადამიანებს...

ებლიტფო: დავით, დედაზე მოგვიყევი, ბავშვობაც გაიხსენე... და სოფელი შემოქმედი «დაგვიხატე».

დავით ტაკიძე-შემოქმედელი: დედა და ბავშვობა სიზმარივით მახსოვს. დედამ უკანასკნელ წამს თმაზე ხელი რომ გადამისვა იმ სითბოთი ვარ დღემდე.

შემოქმედი – ეს არის სანისლებოს მთებით გარშემორტყმული და გურული კრიმანჭულივით მიხვეულ-მოხვეული გზებით დასერილი სოფელი.

ებლიტფო: დავით, პირველი ლექსი გაიხსენე...

დავითი: პირველი ლექსის სათავე იყო თანაგრძნობა-ტკივილი. სოფელში ას წლამდე მიღწეული ტკბილი მოხუცი გრიგოლ ჩიტაიშვილი გარდაიცვალა და მის ხსოვნას მივუძღვენი ლექსი.

ებლიტფო: დავით, რა არის შენთვის შემოქმედება?

ერთგვარი თავშესაფარი პროზაული ცხოვრებისგან თუ პირიქით, პროზაული ცხოვრების „მოხატვის“ საშუალება?

დავითი: შემოქმედება ეს არის ერთდროულად, ალბათ პროზაული ცხოვრებისაგან თავშესაფარიცა და პროზაული ცხოვრების «მოხატვის» საშუალებაც. პოპი წერდა, – პოეზია გაგიჟებული პროზაა. უორდსვორთი – სიმშვიდეში დაბრუნებული ემოციები. ვაჟა-ფშაველა – მემღერება და ვმღერივარ. სამწუხაროდ, რა არის ჩემთვის შემოქმედება – პოეზია ზუსტი პასუხი არ მაქვს. ალბათ, ეს არის ავადმყოფობა ბავშვობიდან რომ შეგეყრება და ბოლო ამოსუნთქვამდე არ გშორდება. თითქმის უმკითხველო სივრცეში რომ წერ ადამიანი, აბა სხვა რა უნდა იყოს.

ებლიტფო: დავით, საერთოდ რატომ წერ? და ხანდახან ეჭვი თუ გიჩნდება, რომ შეიძლება ერთხელაც აღარ დაწერო?

დავითი: ტერენტი გრანელი წერდა: «სურვილი მაქვს ვარსკვლავებთან ვცხოვრობდე და იქედან ვუგზავნიდე წერილებს ჩემთვის საყვარელ ადამიანებსო» – როცა ვწერ, მეც მსურს ჩემი ხმა მივაწვდინო ამ აწრიალებულ და ნერვებდაღრნილ სამყაროს ცენტრს ადამიანს.

ეჭვი ჩემი აზრით ყველა ხელოვანის თანამდევია ნიშანია, მეც ასე ვარ.

ებლიტფო: რამდენი წიგნის ავტორი ხართ, თქვენი საყვარელი და გამორჩეული ლექსი (საკუთარი და სხვისი), თქვენი ავტორი (პოეზია „პროზა“), სამაგალითო პიროვნება, უსაყვარლესი ფრაზა, თანამედროვეობის ყველაზე დიდი მტერი, მხსნელი და იმედი, მიიჩნევთ თავს კარგ ქართველად თუ თქვენი ბრალიცაა, რაც ხდება; რის

გამო გრძნობ უხერხულობას, «ივარგა თუ ვერა ბიჭმა», – გრძელდება თუ არა ეს დამოკიდებულება შვილებთან დამოკიდებულებაში?

დავითი: დღემდე რვა წიგნი მაქვს გამოცემული. საყვარელი ლექსები ჩემი თუ სხვისი და ავტორები დროში ცვალებად ესთეტიკასთან ერთად იცვლებიან. ამიტომ გრძელი სია გამომივა. თანამედროვეობის ყველაზე დიდი მტერი არის – გულგრილობა. მხსნელი-სიყვარული. იმის გამო, რაც ირგვლივ ხდება, მუდმივად თან მდევს შინაგანი დანაშაულის გრძნობა, თუმცა კონკრეტულად რაში მდგომარეობს ეს დანაშაული ბოლომდე ვერ გავრკვეულვარ. «ბიჭმა რომ ივარგოს» ჯერ კიდევ ბევრი ოფლის ღვრა და ზნეობრივი გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. რასაც მე ვტოვებ, ივარგებს? ვერ ივარგებს? ეს ფიქრი მიღრნის სხეულს. სამაგალითო პიროვნებაისტორიულში ექვთიმე თაყაიშვილი. თანამედროვეებში – ჩემი უფროსი, ახლო მეგობარი ოტია იოსელიანი.

არ ვიქნები ორიგინალური – ჩემი საყვარელი ფრაზა არის კაცობრიობის მთავარი ფრაზა – «შეიცანი თავი შენი».

ებლიტფო: დავით, რას გვეტყვი მამებისა და შვილების თაობებზე...
თქვენს ლექსებში არის ეს თემა.

დავითი: ეს არის, უპირველესად, ფასეულობათა და ღირებულებათა ომი. ილია ჭავჭავაძე ერთდროულად შვილიც იყო და მამაც. შვილი გრიგოლ ორბელიანის თაობასთან დაპირისპირებაში, ხოლო მამა სოც-დემოკრატებთან ომში. ხშირ შემთხვევაში არსებობს ორი სიმართლე მამისაც და შვილისაც.

ებლიტფო: "კაცი, რომელიც დადის ზეცაში და მაინც მიწის ტკივილით ცხოვრობს." – ეს შენი სიტყვებია... პოეტმა და მთარგმნელმა ნატო ინგოროყვამ გაგვახსენა «ებლიტფოზე», მის კითხვას აქაც გავიმეორებ: «როგორ ცხოვრობს ასეთი დათო? ისევ დარდობს რიგში დატოვებული ბოლო კაცის ბედზე? «"ტროლეიბუსის ბიგელებს შორის ჩარჩენილ სივრცეს" ვინ და რა უვსებს ნეტა?»

დავითი: მადლობა ნატო! რომ გახსოვს დიდი ხნის წინათ დაწერილი ჩემი სტრიქონები. პოეტები ვართ, ალბათ ერთმანეთის ყველაზე ერთგული მკითხველები. ვცხოვრობ დინების საწინააღმდეგოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ მეცა ვარ ამ მდინარის ერთი წვეთი. ვდარდობ, ჩემო ნატო, ვდარდობ, პოლ ვალერის არ იყოს, ესეც ჩემი ხელობაა.

დათო ჩიხლაძის ორი პოლუსი

ებლიტფო: დათო, საუბარი შენი ახალი რომანით დავიწყეთ. რატომ გადაწყვიტე რომანის დაწერა და როგორ ფიქრობ, რით დაინტერესდება მკითხველი?

დათო ჩიხლაძე: რომანის დაწერა არ გადამიწყვეტია, ეს ასე მოხდა. ეს პროცესუალური რომანია, წერის პროცესში უკვე ფრაგმენტულად იბეჭდებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ და ჟურნალისტურ პერიოდიკაში, 1993-2007 წლებში. ეს თვითრეფლექსიური ნაწარმოებია, როდესაც კარლო კაჭარავა აგრძელებს მას, შემდეგ კი ისევ ჩემი თხრობით გრძელდება. ილუსტრაციებიც კაჭარავას მომზადებული იყო, თუმცა წიგნის გამოცემისას აღარ გამომიყენებია და მხოლოდ გარეკანი დარჩა კაჭარავასი, თუმცა ისიც დიზაინის სტრუქტურის სახით. მკითხველი შეიძლება დაინტერესდეს თხრობით, ისტორიით, თუ მას ხელთ ექნება ამისთვის მცირეოდენი სათადარიგო დრო.

ეპლიტფო: ჯერჯერობით, სანამ რომანს წავიკითხავდე, დათო ჩიხლაძე ჩემთვის კარგი პოეტია... შენს «პოეტურ გზაზე» გვიამბე... იმაზეც გვითხარი, როგორ წერს დათო ჩიხლაძე სამ ენაზე...

დათო: ჩემი პოეტური გზა არის მაქსიმალისტური იმდენად, რამდენადაც მინიმალისტურია. ეს არის პროგრამა, რომელიც ჩემი იდეალია – სწორედ ეს ორი პოლუსია, რაც მე ამ პროფესიით დაკმაყოფილებას მამლევს. ჩემს ყველა შემოქმედებით საიდუმლოს საჯაროდ ვერ გავხსნი, რადგან ეს ძალზე ინტიმური საკითხია, მხოლოდ ერთ ადამიანს თუ შეიძლება გაუზიარო და მასაც, ალბათ, არ გამოადგება პირდაპირი მნიშვნელობით. სამ ენაზე არ ვწერ, ვწერ ქართულად, მხოლოდ ძალზე იშვიათად რუსულად და ინგლისურად, რასაც საკუთარი ესთეტიკური შინაარსი აქვს, როგორც აღმნიშვნელს.

ეპლიტფო: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული საღამო გავიხსენოთ... პოეზიის მოყვარულებით გავსებული საკონფერენციო დარბაზი, კარგი ლექსების მოსმენის მოლოდინი ... და... შენი მოულოდნელი «განცხადება»: «დღეს მე ლექსებს არ წავიკითხავ...», რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც ინტერნეტ სივრცეში, ისე პრესაში... კრებულის «საუბრები ლიტერატურაზე», გამოცემის ერთ-ერთი მიზეზი შენი უჩვეულო «პოეზიის საღამო» იყო...

დათო: ეს თემა შემდეგ «კავკასიური სახლის» შეხვედრაზეც გადავიდა, სადაც უკვე საკითხი დადგა – რატომ აღარ შეიძლება ლექსების წერა 90-იანების შემდეგ. პირველი თემა შეეხებოდა მკითხველის რევანშს ავტორზე, ხოლო მეორე – მოყვარული მწერლის რევანშს ავტორზე. გამიხარდა, როდესაც პოეტი ლელა სამნიაშვილი მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი და მითხრა: შენ, პირიქით, არა შეწყვეტისკენ, არამედ ლექსების წერისკენ მოუწოდებო. ეს არის ინტიმური კავშირი, რაც გასაფრთხილებელია როგორც ჩვენს თავში, ასევე – საჯაროდ. ეს არის ის, რაზეც ლიტერატურული შეხვედრები და ურთიერთობის ტრადიციები შენდება. მეორე გენიალურმა პოეტესამ, დალილა ბედიანიძემ, ასევე, კერძოდ გამიზიარა, რომ პოეზიას ორი ფლანგი აქვს, ფოლკლორული და ლიტერატურული და, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის ძნელია დასადგენად თუ საზოგადოებრივ ურთიერთობებში დასამკვიდრებლად.

ეპლიტფო: ლიტერატურული სივრცე ვახსენე და მოდი, საუბარი ლიტ-საიტების, ლიტ-ფორუმების თემით გავაგრძელოთ... დავით ქართველიშვილის მოთხრობის – «თვალთვალი ხელოვნებისთვის» – მთავარი გმირი თვლის, რომ ინტერნეტი თანამედროვე „ანდერგრაუნდია» სადაც ბოლომდე მხოლოდ უნიჭოები რჩებიან... ვფიქრობ საკამათო დასკვნებია... დღევანდელ ლიტერატურულ სივრცეში ბევრ «უკვე შემდგარ» მწერალს შეხვედები. რომელ ქართულ ლიტერატურულ ფორუმებს იცნობ და რას იტყვი მათ შესახებ?

დათო: ინტერნეტი არ არის ერთგვაროვანი, ის არც „ანდერგრაუნდია» და არც „ისტებლიშმენტი», ის ვირტუალური რეალობაა. მეორე მხრივ, ლიტ-ფორუმები, ანუ ლიტერატურის მოყვარულთა კლუბები ჩემი პროფესიონალური განხილვების და გათვალისწინებების საგანი არ არის.

ებლიტფო: დათო, პოეტურ გაერთიანებებზე გვესაუბრე... გაერთიანების მიზნებზე, შედეგებზე... რას გვეტყვი. ყოფილხარ რომელიმე გაერთიანების წევრი? იქნებ ზოგიერთი «შენი პოეტიც» ჩამოთვალო.

დათო: გაერთიანებებსა და ჯგუფებში არასდროს ვყოფილვარ, მე ინდივიდუალური გზა მაინტერესებდა, თუმცა, ახალგაზრდებისთვის ჯგუფური თავმოყრა ბუნებრივია, რადგან ეს უზრუნველყოფს აუდიტორიის დამკვიდრებას, გაბედულების შეძენას, ესთეტიკური ენთუზიაზმის გაღვივებას, რაც შემოქმედის სულში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

ებლიტფო: საუბრის დასასრულს ორ კითხვას გავაერთიანებ: რას ფიქრობს დათო ჩიხლაძე თანამედროვე მკითხველსა და თანამედროვე კრიტიკაზე, როგორც მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგზე?

დათო: მკითხველის ყოველთვის მადლობელი ვარ და ვიცი, რომ ის არსებობს და არ არის ერთგვაროვანი, ის ხშირად უცნობია და, რაც მთავარია, ის ადამიანია. მეც მკითხველი ვარ. თანამედროვე კრიტიკა არსებობს, არსებობენ მწერლები ასეთი მოწოდებით – მათი აღმაფრენა, მათი ინტერესი და გამაღიზიანებელი სწორედ პოეტური ან პროზაული ტექსტებია. ისინი არავისაც არ ემსახურებიან და მათ საკუთარი აღმაფრენა აქვთ არა ბუნებრივ მშვენიერში, არამედ მხატვრულ მშვენიერში. ასეთი აღმაფრენა ხშირი არ არის და კრიტიკოსი უნდა გავათავისუფლოთ მსახურის ტვირთისგან, „ფოლკლორული« კრიტიკა უფრო ლიტერატურული კრიტიკით უნდა შეიცვალოს და ეს, ალბათ, პირველ რიგში, პროფესიონალურ ძალისხმევასა და სამუშაო კონსენსუსსაც გულისხმობს.

შესრულებულია XXI საუკუნეში

ებლიტფო: დავით, «ებლიტფოს» პროექტს, '«რამდენიმე კითხვა...»' ჰქვია... რამდენიმე სიტყვით გვითხარი – ვინ არის დავით-დეფი გოგიბედაშვილი?

დეფი: ლიტერატურაში და ისედაც, ყველგან და ყველა დროს არსებობენ პოეტი-ჰაკერები...

მაგრამ არსებობენ პოეტი-ჯედაებიც, ისინი საუკუნის დადგომასთან ერთად გამოჩნდებიან ხოლმე, იშვიათი ბედისწერისა და მისიის ადამიანები, მათ წინაშე ყველა ჰაკერი ჩუმდება.

მე პოეტი-ჯედაი ვარ.

ებლიტფო: ახალ წიგნზე მუშაობდი... სანამ წიგნის მაღაზიის თაროებზე გამოჩნდებოდეს, თუ შეგიძლია წინასწარ მოგვითხრო მასზე. რაზეა ეს წიგნი? რას უნდა ველოდოთ?

დეფი: ვფიქრობ, სწორი არაა სანამ გამოიცემა წიგნი, მასზე რაიმე ვთქვა. მითუმეტეს ჩემს წიგნზე, მაგრამ ამ მოლოდინის გათვალისწინებით რაც მკითხველებში შეიმჩნევა (და რაც ძალიან მახარებს) ვიტყვი რომ ის ორნაწილიანი რომანია, პროლოგითა და ეპილოგით, შესრულებული XXI საუკუნეში. ჰქვია "«დემნა გედევანიშვილი»". რომანი ერთი ადამიანის ბედზე ავაგე, უფრო ზუსტად მისი ცხოვრების უკანასკნელ სამ თვეზე. ესაა ამბავი კაცისა, ვისაც უყვარდა, სწამდა და

ჰქონდა იმედი, ვინც საბედისწერო და დიდი აღმოჩენა გააკეთა, როგორც თავისთვის და მისი ახლობლებისთვის, ასევე მთელი სამყაროსთვის. წელიწადზე მეტი ვწერდი ამ რომანს. წელიწადზე მეტი დამჭირდა მის გასააზრებლად და მისგან გასათავისუფლებლად, რადგან წიგნის კითხვისას დიდი მოულოდნელობა გველის ჩვენ ყველას, წიგნის განზომილება შეიცვლება, ამას ნახავს ყოველი მისი წამკითხველი და ისიც კი, ვისაც წიგნი წაკითხული არ ექნება, მასაც გადაედება მისი ველი. ნახავთ, ყველაფერს გაიგებთ და თავადვე იგრძნობთ ახალ ლიტერატურას, მყისვე მიხვდებით რომ თვითონვე გახდით ერთი უცნაური ნაწილი ასეთი მაგიური სინამდვილის ერთი უცნაური ნაწილი.

ეპლიტფო: XXI საუკუნის რომანი. რამდენად გამართლებულია ეს ტერმინი და როგორ ფიქრობ, როგორია იგი?

დეფი: ჩემს წიგნებს ვაწერ (ახლა ახალ გამოცემებს დაერქმევა) ერთგვარ ტიტრს, წინადადებას, მინიშნებას-შესრულებულია XXI საუკუნეში. ამით ყველაფერი გასაგები ხდება. რადგანაც, რაც არ უნდა ილაპარაკონ მწერლებმა თუ კრიტიკოსებმა, განცდა განცდაა, სურვილი სურვილია და შნო შნოა. თუკი ეს სამი მუხტი აქვს ავტორს, და ის წიგნს წერს, გაჯერებულს დაკვირვებით, გამოცდილებით და წარმოსახვის უნარით, წიგნი სიცოცხლეს იწყებს, ის უკვე ჩვენს შორისაა, მას ვერავინ ვერსად დაემალება, ადრე თუ გვიან ის თვითონ მოვა ჩვენთან და თავს გადაგვიშლის. ეს გარდაუვალია. ჩემი აზრით ახალი საუკუნის რომანი სწორედ ასეთი გარდაუვალობის ზღვარზეა დაწერილი, განცდილი და გასაიდუმლოებული. რომანი ყველაზე კლასიკური გაგებით მართალია უკვე აღარაა, უკვე (თანაც დიდი ხანია) შეიქმნა ისეთი რომანები რომლის მსგავსი არ იქმნება და ცხადია არც უნდა შეიქმნას, სხვაგვარად ლიტერატურა კიდევდაკიდევ ველარ გაშლის წარმოსახვისა და გარდასახვის, სინამდვილისა და არსებობის არეს, ის თავშივე ჩაიკეტება, არადა რეალობა მეტად უცნაური და უეცარი ტემპით ვითარდება, ერთ ადგილას არაფერი დგას და ეს კარგია, ეს ძალიან ძვირფასია ჩემთვის როგორც პოეტისთვის, რადგანაც ზღვის წვეთი მთელი ზღვისაგან არაფრით განსხვავდება, მათ ერთნაირი შემადგენლობა აქვთ. დღევანდელი რომანი, მსოფლიო გაგებით პოეტური პროზაა, პოეტური რომანი რაც არ უნდა დიდი იყოს, ის ზუსტად ისეთი თხრობაა როგორიცაა ჩვენი საუკუნე, ჩვენი ათასწლეული, პოეზია ყოველ ფეხის ნაბიჯზეა, ასევეა პროზაც და ასევე ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა იყოს რომანის, თანამედროვე რომანის თანადასწრებულობა. დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებით და უახლესი ფორმით შედგენილი, არა მილიონგვერდიანი წიგნი, არამედ ერთ სიტყვაში მოთავსებული ის მილიონი გვერდი, როგორც ზღვის წვეთი და მთელი ზღვა. ამიტომ ამბობენ რომ რომანი მოკვდა, არავინ არასდროს არ კვდება, მითუმეტეს სიტყვა, შეიძლება სახება იცვლება, როგორც ჩვენს შემთხვევაში მაგრამ სიკვდილი მას ახლოსაც ვერ ეკარება, მითუმეტეს პოეტის ნათქვამ სიტყვას. თანამედროვე რომანი უკვე დიდი ხანია დაშორდა, უკვე გაცდა მხოლოდ აკინძულ ქალაქებსა და ყდებს. ის შევიდა ინტერნეტში და უკვე იმასაც გასცდა და ერთ, ყველაზე ძვირფას და საიდუმლო ადგილზე დაიდო ბინა, მართალია ზოგისთვის დროებითი, ზოგისთვის სამუდამო, მაგრამ რეალური, ნამდვილი, ამაში ყველა დარწმუნდება, ამას ყველა ნახავს როცა კი გამოვა ჩემი «დემნა გედევანიშვილი».

ეპლიტფო: დეფი, რა არის შენთვის ეპოქა-თვალსაწიერი თუ მხოლოდ საფეხური?

დეფი: ერთიც და მეორეც და კიდევ სხვა რამ. მე არ ვეკუთვნი არანაირ თაობას, არანაირ ლიტერატურულ მიმდინარეობას, მე ვარ... ეგაა სულ. მე ვარ... ეს ძალიან მარტივია, ეს ნიშნავს რომ მე ჩემს დროებითობას ვაცნობიერებ, რომ დროებით ვარ აქ, ამ სამყაროში და ასეთი წამიერი სააქაო მოვლინებისას მე უნდა განვიცადო, გავაცნობიერო, შევქმნა და დავტოვო რამე ღირებულები, რამე უფრო დიდი ვიდრე დროებითობაა. ეს განცდა მეხმარება ვიყო ფხიზლად, ჩემი სიფხიზლე კი მუდამ იმას მანიშნებს თუ ეპოქას რა აკლია, ასე აკლდა მას "«დეკემბრის თილისმა»" თუ "ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვნოს", აი XXI საუკუნის რომანები, დაწერილი ყოველი ჩემი შემხვედრისათვის, სიტყვები რომლებიც სინამდვილეში არსებობენ და არა მხოლოდ წიგნის თაროზე. დღევანდელი ლიტერატურისთვის წიგნის თარო აქტუალური აღარაა, უკვე თვითონ ადამიანია აქტუალური. მან უნდა განიცადოს უცნაური ხილვა, რომ თუკი რამ კეთდება მისთვის, ერთისთვის კეთდება, ესაა პოეტის მაგია, ესაა ნამდვილი XXI საუკუნე. ამიტომ ჩემთვის ეპოქა ერთგვარი ველია, საფეხური ახალი ეპოქებისკენ სადაც მე უკვე აღარ ვიქნები, მაგრამ ჩემი სიტყვები იქნებიან, უკვე აქ მიმოფანტული და გახარებული, დიდ შორეთებს უკვე აქედან გადაწვდენილნი. მართალი ვთქვა ძალიან, ძალიან მიხარია რომ XXI საუკუნის ავტორი ვარ და ახლა მიწევს ცხოვრება, ამ ეტაპზე ძალზე ბევრი ამბის მონაწილე ვარ და ძალიან მსიამოვნებს ეს განცდა. მეც ერთ-ერთი ვარ, ჩვენი ეპოქის შექმნაში მეც ვიღებ მონაწილეობას და ალბათ ამიტომაც მაშაყირებენ მეგობრები როცა ამბობენ – ვარდევნის რევოლუცია. სუფთა ლიტერატურულად რომ შევხედოთ კი... ო, ეს უფრო და უფრო სასიამოვნო ხდება, როცა ვხედავ, აი ვიღაცას ჩემი წიგნი უჭირავს, აი იმას სხვა ავტორის, ძალიან ძვირფასია ასეთი წამი და ყოველთვის ვფიქრობ, ახლა ისინი ერთმანეთში რას ამბობენ-მეთქი. ეს წამია ეპოქა, როცა შენ, მეორე, მესამე და უამრავი ადამიანის გულში ისე ხარ ჩარჩენილი, რომ მას უშენოდ აღარაფერი წარმოუდგენია.

ებლიტფო: შენს წიგნებზე გკითხავ-"ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვნოს", "დილა სასწაულების წინ", "დეკემბრის თილისმა"... თუ მოგისმენია მათზე სერიოზული ლიტერატურული მსჯელობა? შენი წიგნების ესთეტიკა და პოეტიკა ძალიან ინდივიდუალურია...გვესაუბრე მათზე.

დეფი: ასე დაწვრილებით არ მიყვარს ჩემს წიგნებზე საუბარი, მაგრამ ახლა რა გაეწყობა, მხოლოდ ერთს ვიტყვი, ახლა ჩემი მეოთხე რომანი გამოდის და ვგრძნობ მოლოდინს, მე არ ვიცი რითია ის გამოწვეული, სამყაროში ენერგია დაგროვდა ალბათ და ჩემი გავლით სიტყვებად იქცა. მაგრამ წინა სამი რომანი ისეთი უახლესი ლიტერატურაა, რომ გამიკვირდა კიდევ, როცა მითხრეს, წავიკითხეთ, ვიყიდეთ და ახლა სხვებსაც ვუგზავნითო. მე ძალიან მსიამოვნებს როცა ასე ხდება, საერთოდ წერა მსიამოვნებს და როცა ეს სიამოვნება სხვებზე გადადის ამას ვერცერთი კრიტიკული წერილი შემეცვლის, თუმცა არც მათი ნაკლებობაა. ზოგი დამცინის, ზოგი პირდაპირ მლანძღავს, ზოგი ძალიან მაქებს, მაგრამ გარჩევა როგორც ასეთი მოხდა მხოლოდ ორჯერ, გოჩა ბერიამ დაწერა ერთ სალიტერატურო ჟურნალში და ნინო სადღობელაშვილმა, ასევე ლელა ოჩიაურმა მოამზადა ვრცელი ინტერვიუ გაზეთისთვის, სადაც საშუალება მომეცა ყველაფერი თუ არა დიდი ნაწილი მაინც ამეხსნა ვინაა «სერაფიტე-»დილა სასწაულების წინ», – რომანიდან, ვინაა ის მეორე მინდია ლასარეიშვილი ვინც დღიურს აგრძელებს-"დეკემბრის თილისმიდან", და "ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვნოს" რატომ გვაგდებს ტრანსში როცა კითხვისას წვეთების ექოები ჩაგვესმის და სველი ფოთლების სუნი გვცემს... გეთანხმებით ინდივიდუალურია ჩემი პროზის პოეტიკა, ესეც გამოგიტყდებით, სასიამოვნოა,

ერთგვარი მისტიფიკაციაა სიტყვების ასეთი უცნაური გარდასახვა, როცა ასეთ დაჩქარებულ და დავიწროებულ დროში პროზის კითხვისას სიტყვები აცურდებიან, აფრინდებიან ჩვენს წარმოსახვაში და წინადადებები ილექებიან, მკითხველი პროზის კითხვისას, მისთვის მოულოდნელად ისე აღმოჩნდება პოეზიაში რომ ჯერ ვერცკი აცნობიერებს, შემდეგ კი ვეღარ წყდება, როცა მთლიანად გაიჟღინთება მისით.

ებლიტვო: თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე რას იტყვოდი? რა მოგწონს? რა-არა?

დეფი: კარგია. ერთი სიტყვით ასე ვიტყვოდი-კარგია. ჩვენ საუკუნის დასაწყისში ადამიანთა წარმოსახვა და მათი შემეცნება გავანთავისუფლეთ ნიჰილიზმისაგან და ღვარძლიანი ვითომ პოეზიისგან, რაც გასულ ეპოქაში ხშირად იყო, უნიჭობისგანაც გავანთავისუფლეთ მეტ-ნაკლებად, რადგან დღეს ეპატაჟი ღვთისმადლით აღარავის სჭირდება, პოზაში დგომა, აღარავის სჭირდება, ადამიანებს ბედნიერების და სიკეთის ეიფორია უნდათ შეიგრძნონ და მე ვთვლი რომ საამისოდ ყველა პირობაა შექმნილი როგორც პროზაში ისე პოეზიაში, თუნდაც სამკაულის გამოჩენით ახალი კარი გაიხსნა, ერთობის, ორდენების, საჯარო, დიდ აუდიტორიებში ჩატარებული საღამოებისა და ახალი გულისფეთქვის კარი.. მე არ დამავიწყდება როცა პაკო სვიმონიშვილთან ერთად კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე, სიმფონიური ორკესტრის თანხლებით საღამოს ვმართავდით, როცა "«ფემენზარში»" «სამკაულმა» საღამო გავმართეთ და შემდეგ საქართველოს ქალაქები და სოფლები მოვიარეთ, როცა წიგნთან ერთად ორსიდიანი აუდიო-ალბომი გამოვეცით, რაც აბსოლუტური ნოვაციაა მსოფლიო პოეზიაში, რადგან ჩვენ პოეზიის სამხმოვანება აღმოვაჩინეთ და სხვადასხვა ბგერებით შევკარით და გავაჟღერეთ იგი, მერე იყო საღამოები, დიდგორზე ლექსების დაწვა, ბროწეულის ხის დარგვა და ბევრი სხვა რამ, რამაც ბიძგი მისცა ეპოქას და ამ ოთხ წელიწადში მოხდა დიდი რყევა და საბედისწერო მოულოდნელობა საქართველოს ცაზე, გაჩნდნენ სხვა ორდენები, მიმართულებები, ყველა ძვირფასია ჩემთვის, არიან ნიჭიერი პოეტები და პროზაიკოსები და არსებობს მკითხველი, მსმენელი, შემყვარებული, ამიტომაც ჩვენი საღამოები მაგიურ რიტუალებს ჰგავდა, რადგანაც ახალ ეპოქას ახალი გმირები სჭირდებოდა, ახალი პოეზია და პოეზიის ახლებური განცდა, ჩვენ ვართ ისინი, ქალები და კაცები, ყველანი ერთად... პოეტები და პროზაიკოსები, ვისაც არ ეშინია შეუცნობლობის, არ ეშინია ერთი უცნაური ნახტომის, რაც შემდეგ და შემდეგ, კიდევ და კიდევ, ახალ სიმაღლეებს გამოაჩენს, ხოლო ამ ეტაპისთვის დიდი სიკეთე გაკეთდა, ამიერიდან კი იწყება მთავარი, რაც ყველგან მეტ-ნაკლებადაა მოდებული, შურის წინაშე ჩვენი გამძლეობა და დაუნახავობის წინაშე ჩვენი გამძლეობა, თორემ მე მშვენივრად ვიცი ვინცა ვარ, როცა ვარ და რასაც განვიცდი, ან რასაც ვაკეთებ, ასევე ვიცი სხვები რასაც აკეთებენ და რას ეტრფიან, რითი საზრდოობენ, ამიტომაც არაფერი მაშინებს შურისა და დაუნახავობის გარდა, მე რაღაცნაირად ვიბრაციებით ვგრძნობ სამყაროს გულისფეთქვას, სამყაროს ჰანგს. ვგრძნობ, და მერე განვიცდი და მერე სხვებსაც განვაცდევინებ და ბოლოს როცა ყველაფერს გავაცნობიერებ და ან ვწერ ან ჩუმი ვარ, ჩემთვის აღმოვაჩენ, რომ არც ისეთი დიდი სიმართლევე ყოფილა სამყაროში როგორც მეგონა.

ებლიტვო: როგორც ვიცით, ახლა პოეტურ კრებულზეც მუშაობ...

დეფი: დიახ, «სამკაულის» მიღმა ეს იქნება ჩემი კიდევ ერთი პოეზიის წიგნი, სახელად «"იქ"». ალბათ რომანთან ერთად გამოვა, არ ვიცი ზუსტად როდის, მაგრამ

რატომღაც მგონია რომ ჩემი პოეზიიდან ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი ეს იქნება, რადგანაც მე დღემდე რვა საათს ვმუშაობ, როგორც პროზაზე ისე პოეზიაზე, ენაზე მუშაობა და ფიქრზე მუშაობა ჩემთვის სუნთქვასავითაა, მინდა გავიგო იქ რა ხდება, იქ რა განცდებია, იქ რა საიდუმლოა, რომ აქ, სააქაოს, სისხლთან ერთად დამდის ამ საიდუმლოთა პასუხები და მე კი ხან ვიჭერ მათ, ხან კი ხელიდან მისხლტება, მაგრამ ყოველთვის ვრჩები მართალი, იმ გასხლტომასაც თავისი ხიბლი აქვს რამაც დამაწერინა "ზურმუხტი და საფირონი", "და". "ცა". პოეზიის წიგნები სადაც ბავშვური სიწრფელით ათრთოლებული ლექსი მინდოდა გამომეხატა და თქვენ წარმოიდგინეთ ასეც მოხდა, ახლა კი დროა ჩემი ცათამბჯენი ავაგო, რომლის ყველაზე მაღალი სართულების ფანჯრებში ღია კოსმოსი ირეკლება. ესაა პოეზიის, გნებავთ უბრალოდ ლექსების წიგნი «"იქ"».

ებლიტფო: არსებობს იდეალური გარემო მწერლისთვის, რათა მან ნამდვილი ლიტერატურა შექმნას? რამდენად საჭიროა ასეთი გარემო? შენ რას ისურვებდი საამისოდ?

დეფი: ვერ გეტყვით. ნამდვილად არ ვიცი. ჩემს სახლში ხან თბილა, ხან ცივა, ხან ცხელა, მე კი ამას ვეგუები, კლიმატს ვეგუები, პირობებს, ალბათ ცოტა თუთუნი მაინც უნდა გქონდეს კაცს, ალბათ გამუდმებით არ უნდა გაწუხებდეს შიმშილი ან უფულობა, მაგრამ, ჩემი აზრით, კომფორტი როგორც სტუდენტობისას განათლება ისეა, რაღაცაში გეხმარება, რაღაცაში არა. თუ გაქვს გაქვს, თუ არა და არა, მე არქიტექტურული დავამთავრე, მიმაჩნია რომ მწერლისთვის, პოეტისთვისაც ასეთი განათლება მეტად ძვირფასია, რადგანაც სივრცეებით და ჰარმონიებით აზროვნებს მაშინ და სულაც არაა აუცილებელი ფილოლოგიური ან ისტორიული გქონდეს დამთავრებული, ან ხარ თავისუფალი ან არა, ისეა აქაც, უარს არ ვიტყვით ისეთ გარემოზე სადაც სხვა სიამოვნებებიც არსებობენ გარდა სითბოსა და სიგარეტისა ცხელ ჩაისთან, მითუმეტეს უისკისთან ერთად, მაგრამ არაუშავს გავუძლებთ ალბათ. რაც შეეხება ნამდვილ ლიტერატურას, ის პირველივე წინადადებიდან ჩანს, სათაურიდან ჩანს, ავტორიდან ჩანს. მის შესაქმნელად კი ცხადია რაღაც პირობებია საჭირო, შინაგანი და გარეგანი პირობები ერთდროულად, სულერთია წერ ეზოში, ბაღში, ტრანსპორტში, სახლში, ზღვაზე თუ მთაში, მთავარია წერდე ტვინში, სუნთქვაში, გულისფეთქვაში, სისხლში, ძვალში, სიზმარსა და ცხადში, წერდე თანაგრძნობაში და გამძლეობაში, საიდუმლოში და მისი პასუხებისკენ მიმავალ გზებში. მე მირჩევნია გამთენიისას ვმუშაობდე, რადგან მაშინ ზმნები გალობენ, სამყაროს ნაპრალებიდან მოისმის მათი ხმები და მერე წამიერი სიჩუმეა, ისეთი მშვიდი სიჩუმეა, როგორც არაა არსად. ასეთი სიჩუმე უდიდესი კომფორტია ჩემთვის. გაიმარჯვებს პოეზია? გაიმარჯვებს კაცობრიობა! ამ წუთისთვის ესაა ჩემი უკანასკნელი შეტყობინება.

ჟარგონი ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა...

ებლიტფო: ბესო, ვინ ან რამ განსაზღვრა, შენი პროფესიული არჩევანი? და საერთოდ, როგორ ირჩევენ მწერლის პროფესიას?

ბესო ხვედელიძე: ამ კითხვის პასუხი ალბათ ღრმა ბავშვობაში ნაკითხ პირველ წიგნებშია (უფრო მეტად სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ ზღაპრებში, კონან დოილთან, მაინ რიდთან, ჟიულ ვერნთან, მარკ ტვენთან, ჯონათან სვიფტთან და ა. შ.), რომლებმაც თავის დროზე ასე ვთქვათ კარგი გაგებით «გამომიწვიეს»... ბავშვური

აღფრთოვანება ხომ დიდი ძალაა... თავადვე შევეცადე მაშინ მეც დამეწერა რამე «ისეთი»... ერთხელ ვცადე, მეორედ, მესამედ... იმის მერე არც გავჩერებულვარ, უბრალოდ პარალელურად წაკითხული წიგნების რაოდენობამ იმატა გეომეტრიული პროგრესიით... ჰოდა, ასე უბრალოდ და მარტივად დაიწყო ყველაფერი... ისე, არა მგონია სხვასთან სხვაგვარად მომხდარიყო...

ებლიტვო: ვინ არიან შენი ნაწარმოების გმირები?

ბესო: მსგავსები მრავლად დაიარებიან დედამიწის ზურგზე რომ ვთქვა _ არ ვიქნები მართალი. საბოლოო ჯამში მაინც მე ვაძლევ მათ სახელს, გვარს, სიმადლეს, წონას, ჭკუას, ჩვევებს, მანერებს... ტექსტში გაცოცხლებულები უკვე (გამომდინარე ჩემგან მიცემული თვისებებისა და ხასიათისა) თავადვე ითხოვენ შესაბამის განვითარებას... მეც უკვე, ისევ მათგან გამომდინარე, ვუკვალავ გზას... ისინიც იცინიან, ტირიან, უყვართ, კვდებიან, ტკივათ, ძულთ...

ებლიტვო: რა მიგაჩნია მწერლისთვის იდეალურ გარემოდ?

ბესო: სხვისი არ ვიცი და პირადად მე გაცილებით კონცენტრირებული ვარ დამაბულ ატმოსფეროში წერისას. ვწერ ქუჩაში, ტრანსპორტში, მეტროში, მატარებელში, თვითმფრინავში. მიწერია კუბოსთან, რომელშიც ჩემი ახლობელი იწვა და ღამეს ვუთევდი. ყველა ეს ნაწერი თავისი არსით და სულიერებით რაღა თქმა უნდა განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ჩემთვის ისინი გაცილებით საინტერესონი არიან, ვიდრე სრულ სიწყნარეში, ანუ «იდეალური» განმარტოებისას დაწერილი ტექსტები.

ებლიტვო: ლიტერატურული პრემია «საბა», «პენ-მარათონი», «წერო» ქართულ ლიტერატურაში _ რას იტყობდი ლიტერატურულ კონკურსებზე.

ბესო: ლიტ-კონკურსები და პრემიები ერთგვარი სტიმულატორია მწერლებისთვის. ამით ისევ ზოგადად წიგნს და კარგ ლიტერატურას უკეთდება რეკლამა... მათ გარეშე კი, (როგორც ლიტერატურული პერიოდიკის გარეშე) ლიტერატურული ცხოვრება სანახევროდ მკვდარია. ასე რომ _ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კულტურული წინსვლის გზა სხვა დანარჩენთან ერთად ლიტერატურის წინსვლაზეც გადის, შესაბამისად მსგავსი პრემიებისა და კონკურსების არსებობა (და არა მხოლოდ ამ ორის და სამის) არათუ საჭირო, სასიცოცხლოდ აუცილებელიცაა...

ებლიტვო: ახალ ქართულ ლიტერატურაში ძალიან ბევრი საინტერესო სახე გამოჩნდა. როგორ შეაფასებთ თანამედროვე ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს?

ბესო: მე ვიტყობდი რომ ბოლო დროს ახალი სახელებით მაინცდამაინც არაა განებივრებული ქართული ლიტერატურა... ქართველი მწერლების ბოლო თაობად მაინც ჩემი თაობა მიმაჩნია, რომელმაც საკმაო ხმაურით შემოიღო საუკუნეთა მიჯნაზე ფეხი ქართულ ლიტერატურაში... დავით ქართველიშვილი, ზაზა ბურჭულაძე, გელა ჩქვანავა, თეონა დოლენჯაშვილი, ნიკა ჯორჯანელი, რატი ამადლობელი, შალვა ბაკურაძე, ლაშა ბუღაძე (ყველას ჩამოთვლა შორს წამიყვანს, არადა ჩემ თაობაში მართლაც ბევრი ძალიან საინტერესო ავტორია)... ჩვენს შემდეგ თაობაში ბევრი არც არავინ მახსენდება («ვარდისფერი ავტობუსი», «ლაბორატორია», ნიკუშა ანთაძე).. არ ვიცი რისი ბრალია, მაგრამ მაინც მგონია, რომ უმცროსი თაობა გაცილებით დაშორებულია წიგნს და შესაბამისად ზემოთნახსენებ გამოწვევებსაც ტექსტებიდან ნაკლებად იღებს...

ებლიტფო: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა «ჟარგონიც»...

ბესო: ჟარგონი ყველა ეპოქას თავისი აქვს. ის ენას ჩემი აზრით კი არ აბინძურებს, უბრალოდ მნიშვნელოვან რაღაცეებზე მიანიშნებს და ენისთვის ერთგვარი შემოლაწუნებასავითაა. ჟარგონისა და ენობრივი მუტანტების მოზღვავება როგორც სალაპარაკო ენაში, ასევე მხატვრულ ტექსტებში, როგორც წესი, ენის გარდაუვალი კათარზისის წინაპირობაა ხოლმე... მოდუნებული ქართული ენის გამოფხიზლებისა და განვითარებისთვის ვთვლი რომ ეს «მშვენიერი» ალიყურია...

ებლიტფო: კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ბესო: ამ სფეროში საერთოდ კატასტროფული ვითარებაა. ახალი სახეები თითქმის არ ჩანს. ძველები, ასე ვთქვათ, «ძალიან ჩამორჩნენ» და შედეგად რა... პროფესიონალი ლიტ-მკვლევარების აშკარა დეფიციტია...

ებლიტფო: გარდა ლიტერატურისა, რით ცხოვრობს, მწერალი ბესო ხვედელიძე?

ბესო: ალბათ კიდევ დიდი ხანი დაჭირდება, რომ მწერლობა საქართველოში იმ პროფესიად იქცეს, რომლითაც თავს შეინახავს ადამიანი. ამას უპირველესად დაწყნარებული, წიგნისთვის მოცლილი და არა ტელევიზორში შემძვრალი ქვეყანა სჭირდება... შესაბამისად, მწერლების უმეტესობა, ასე ვთქვათ პარალელურად არიან დაკავებულები – ზოგი მასმედიაშია, ზოგი ბიზნესში... პირადად მე ერთ-ერთ ტელევიზიაში რედაქტორად ვმუშაობ – ანონსებს ვწერ გადაცემებისა და ფილმებისთვის...

ებლიტფო: ქართველი მოზარდები – რას ურჩევდით, რას მოუწონებდით ან დაუწუნებდით მათ?

ბესო: დაწუნებით ბევრს არაფერს, რჩევით კი – წიგნთან რაც უფრო ახლოს იქნებიან, მით უფრო საინტერესო იქნება მათი ცხოვრება მომავალში... ისე, მინიმუმ ორჯერ მაინც კი უნდა გქონდეს ყველა კარგი წიგნი ადამიანს წაკითხული... და საერთოდ, ჩემი რჩევა იქნება, რომ რასაც არ უნდა მოკიდონ ხელი – იმ საქმეში არასდროს დაიზოგონ თავი; ყოველთვის ეცადონ, რომ დაწყებული «ხუთიანზე» დააგვირგვინონ...

საჯარიმოდან გავდივართ?!

ებლიტფო: არტისტული ყვავილებიდან – არტ-ყვავილებამდე... ეს ნიშნავს, რომ რეზო გეთიაშვილი გალაკტიონიდან იწყება?

რეზო გეთიაშვილი: შემოქმედება ცალსახად რაიმე ახლის შექმნაა. ახალი კი იქიდან იწყება, სადაც ძველი მთავრდება.

ებლიტფო: თუმცა, მეგობრებმა გალაკტიონისგან თავის დაღწევა გირჩიეს.

რეზო: საქმე იმაშია, რომ ჩვენში ახალი ხშირად არაფრიდან იწყება, ყოველ მომდევნო ავტორზე წყდება და ამ ავტორის სტილი თუ ინდივიდუალურობაც ეს არის. იმისთვის, რომ რაღაცა შექმნა, არ არის აუცილებელი, რომ მანამდე არსებულს

ზურგი შეაქციო და ყოველ ჯერზე საწყის ეტაპზე დაბრუნდე, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ისიც არსებობდა, რასაც ინოვაცია დაარქვი. იდეა და ექსპერიმენტი ნებისმიერ აღმოჩენას და გამოგონებას სჭირდება, მაგრამ ეს იდეა ბოლომდე უნდა განხორციელდეს. იგივე ითქმის პროზაზეც, სადაც ყველა ღირებული წიგნი თავის თავშივე დამთავრდა და ექსპერიმენტის იქით ფასეული აღარაფერი შექმნილა.

ებლიტფო: გამოდის, რომ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს ჩამოვრჩით და ველოსიპედებს ვიგონებთ?

რეზო: კულტურულ ერს ცოტა მეტი მოეთხოვება, ვიდრე თანამედროვე პროცესებისთვის ფეხის შეწყობაა. «ახალმა ქვეყნებმა» თავისი სათქმელი უკვე ლიტერატურაშიც თქვეს, კინოშიც, მუსიკაშიც. ჩვენ კი დღემდე იმას ვამტკიცებთ, რომ პაპუასები არ ვართ. ისეთი ვერაფერი გავაკეთეთ, რასაც მსოფლიო ტაშს დაუკრავდა. კულტურული ინფორმაცია, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგვიგროვდა, ვერც წიგნად დაიწურა და ვერც სხვა ფასეულობად. ფეხბურთისა არ იყოს (ესეც მტკივნეული თემაა), ჩვენი ინდივიდუალური ოსტობის ფეიერვერკს ყოველთვის საწყის ეტაპზე, საკუთარ მოედანზე ვაწყობთ. კულტურის იმპორტი ძალიან კარგია, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებშიც უნდა გავერკვეთ. უბრალოდ, საჯარიმოდან გასვლაა საჭირო. ამის პოტენცია კი შიგნით, ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ.

ებლიტფო: კულტურის ექსპორტამდე რაღაც საკითხებზე შეთანხმება მოგვიწევს. მაგალითად, დათო ჩიხლამე აცხადებს, რომ საქართველოში პოეზია მოკვდა.

რეზო: თვითონ მიდგომაა არასწორი. ახლა ნიჭიერი, გემოვნებიანი, ერის კულტურული ინფორმაციის მატარებელი, ფართო დიაპაზონის მქონე ავტორები უფრო გვჭირდება, ვიდრე კომუმბები და აინშტაინები.

ნებისმიერ ახალ, უფრო სწორედ, უცნობ კულტურაზე, თუნდაც მიკროკულტურაზე, მსოფლიოში განსაკუთრებული მოთხოვნილებაა. «ჯარისკაცის მამა» იმიტომ კი არ გვხვდება გულზე, რომ ამ ფილმით რაღაც აღმოჩენები გავაკეთეთ, არამედ იმიტომ, რომ მსოფლიო ომში ერთი კახელი გლეხის სახე ვაჩვენეთ. რუსეთმა ლიტერატურაში ძალიან ბევრი თქვა, მაგრამ გაირკვა, რომ თანამედროვე სამყაროში კიდევ უფრო მეტი სათქმელი აქვს. სერბეთი ავიღოთ. გამოდის, რომ მსოფლიო დონეზე ჩვენი კულტურის არაპოპულარულობა მარტო პატარა ერის პრობლემა არ არის. თუ კულტურულ, ისტორიულ ერად ყოფნის პრეტენზია გვაქვს, მაშინ ეს უნდა დავასაბუთოთ.

ებლიტფო: ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობა ამის საბუთად არ გამოდგება?

რეზო: არსებობს სტერეოტიპი, რომ თანამედროვე მსოფლიოში ისევ ვეფხისტყაოსნით, წინწყაროთი, მედეათი და ოქრომრავალი კოლხეთით უნდა გავიდეთ და არა იმიტომ, რაც ამ ყველაფრის შედეგად დღეს იქმნება. რაკი მცხეთა ააშენე, ღებვაზე ცოტა მეტი უნდა შეგეძლოს. იმის გამო, რომ მე-12 საუკუნეში დიდი ქვეყანა იყავი, დღეს თავი მის ნარჩენად არ უნდა წარმოიდგინო. ეს ისტორიაა და იმაზე მეტის საშუალებას გაძლევს, რასაც უამისოდ გააკეთებდი. ლექსი სწორედ იმიტომ უნდა დაწერო, რომ ვაჟა და გალაკტიონი გყავს.

ებლიტფო: არსებობს აზრი, რომ კონვენციური ლექსი მაინც გუშინდელი დღეა, ქართული პოეზიის განვითარება კი თავისუფალი ფორმების ძიებაშია.

რეზო: გალაკტიონის «ლურჯა ცხენები» მანამდე არსებული ფორმის კარგი გამეორებაა. ეს ფორმები მსოფლიო პოეზიაში ათასწირად დამუშავდა. რამდენიც ჩვენთან საერთოდ გაკეთდა, სხვაგან ცალკეულმა ავტორებმა მოახერხეს. ის, რომ კონვენციური ლექსი უკვე გადავლილი ეტაპია და სათქმელი მხოლოდ ვერლიბრის ფორმებით უნდა ვთქვათ, ქართული პოეზიის არასწორი შეფასებაა. რეალურად, ბევრი არაფერი გვითქვამს. იგივე რუსეთს, ერთი კი არა, ბევრი «გალაკტიონი» ჰყავს.

ებლიტფო: ყოველ შემთხვევაში, რითმებში და ჩარჩოებში გამოკეტვას გასული საუკუნის მიწურულს პოეზიის კრიზისი დაერქვა.

რეზო: ალბათ, უფრო იმ სიყალბეს, რაც ამ ჩარჩოებს ამოეფარა. მეორეს მხრივ, არიან პოეტები, რომლებმაც ჩარჩოები კონვენციურ ლექსშივე გაარღვიეს და ახალი წესები დააწესეს. შეიძლება თავისუფალი ლექსი მეტი სივრცეა და ზოგი აქ თავს უკეთესად გრძნობს, მაგრამ არც კონვენციურია ამოწურვადი. მით უფრო, იმ ფონზე, რაც ამ მიმართულებით აქამდე გაკეთებულა.

არსებობს კიდევ ერთი უკიდურესობა. ჩვენში ლექსი ყოფის ნაწილი უფროა, ვიდრე რაღაც ხელოვნების დარგი. ეს მხოლოდ ქართული ფენომენი არ არის, მაგრამ ამაშიც ვაჭარბებთ. შეიძლება წიგნს ათასში ერთი კითხულობდეს, მაგრამ ლექსებს ყველა წერს, ნებისმიერ ასაკში და ნებისმიერ თემაზე. აღარაფერს ვამბობ კაფიებზე, ან ქართულ სუფრაზე, სადაც თითო სადღეგრძელოს თითო ლექსი შევუწყვილეთ. ამ «ტკბობამ» კი ყველა შიმშილი მოგვიკლა და ნებისმიერი სიახლე ჩვენთვის ჩინურია.

ებლიტფო: ცოტა რამ პერსონაჟებზე, ჯერ ქალებზე – ბელა, მარგარიტა, ჰეთი – წიგნსა და რეალობას შორის ხაზი რომ გავავლოთ.

რეზო: ცხოვრებაში იმდენი რამ ხდება, მწერალს შეიძლება არაფრის დამატება აღარ დაგჭირდეს, საჭიროა მხოლოდ დაინახო, მოისმინო და გადაიტანო. თუმცა, გამოგონება ადამიანისთვის ისევე ძირითადია, როგორც დანახვა და მოსმენა. შემოქმედებითი აქტი თვითონ ცხოვრებაში ხორციელდება და თან ძალიან დიდი დოზებით. რაც ხდება, ვისთანაც ვართ, ნაწილობრივ ჩვენი, ნაწილობრივ მათი და კიდევ ვიღაცის გამოგონილია. ამიტომ ცხოვრებასა და ფანტაზიას, სინამდვილესა და გამონაგონს შორის ზღვარის გავლება ადვილი არ არის. ჩემთვის ყველაზე საინტერესო სწორედ ეს ხაზია და ცვდილობა, ამ ხაზზე გავიარო. ცუდი ის არის, რომ ბოლო დროს სინამდვილისკენ უფრო ხშირად ვვარდები. რას იზამ, ჩენდლერის დრო წავიდა და ეს კანონზომიერიცაა.

ებლიტფო: ჩენდლერი, სატერზვეიტი და მისტერ კინი აგათა კრისტის პერსონაჟები აღმოჩნდნენ. ეიხმანი ყველამ იცის, ვინც არის. თქვენთან რა შუაში იყვნენ?

რეზო: ჩენდლერი და სატერზვეიტი, ბობის, ხუბჩევის და სხვების მსგავსად, პერსონაჟები უფროა, ვიდრე ფსევდონიმები. ახალ სახელს კი არ ირქმევ, შენს ყოფაში ახალი პერსონაჟი შემოგყავს და სინთეზი – ცხოვრებასა და ფანტაზიას შორის თვითონ ხდება. ეს პერსონაჟები ჯერ არსებობას იწყებენ, მერე ცხოვრებას, მერე წერას და ამის მერე შეიძლება რაღაც ღირებულებაც შექმნან. ბოლოს შეიძლება პოეზიის საღამოებიც ჩაატარონ და წიგნებიც გამოსცენ.

აგათა კრისტს რაც შეეხება, 90-იანი წლების ლიტერატურულმა სივრცემ მოიტანა. ფსევდოპატრიოტიზმის, ფსევდოტრაგიზმის, ფსევდობედნიერებებისა და ამ ყველაფრის მიმართ ფსევდოპროტესტების სამყაროსთან კონფლიქტში მისმა პერსონაჟებმა თავი კომფორტულად იგრძნეს. «ბებერი პოეტების ორდენი» კარგი თამაში იყო. ცქიტიშვილი იმას ვერ იტყოდა, რაც სატერზვეიტმა თქვა. ჩენდლერი საერთოდ ვერაფერს ვერ იტყოდა, თავისი ავტონიმის ჩარჩოებიდან რომ არ გასულიყო. მერე ნანა აკობიძემ თქვა, «რის ეიხმანობა, ჰეთობა და ჩარლზიო» და ორდენის არსებობაც, ამ თამაშებთან ერთად, თამაშით დასრულდა. მაგრამ ეს ჩვენი შემოქმედების საუკეთესო პერიოდია. ამის მერე რას ვიტყვით, მომავლის საქმეა. თუმცა კი, წინაპირობა ისევ ამ პერსონაჟების სახით არსებობს.

მონადირე ლექსები

ებლიტფო: ლელა, ერთ ლექსში წერ: «პოეტი _ ორგზის თვალთმაქცი», მართლა ასე ფიქრობ?

ლელა სამნიაშვილი: პოეტისთვის ლექსი არ არის წინასწარგანზრახული სპეც-ეფექტი, რომლითაც შეიძლება მისი ცხოვრებისეული გამოცდილება ხელოვნურად გამძაფრდეს, გალამაზდეს ან დაუშნოვდეს. პოეტისთვის წერის პროცესი ისეთივე ბუნებრივია, როგორც, ვთქვათ, ნადირობა პირველყოფილი ადამიანებისათვის. თუმცა, როდესაც წერის პროცესი დასრულებულია, ისე ჩანს ხოლმე, თითქოს ლექსები თვითონ არიან მონადირეები - რეალური ადამიანების განცდებითა და აზროვნებით იკვებებიან და ავტორის თუნდაც, ყველაზე მძიმე გამოცდილებას საუკეთესოდ იყენებენ. ეს, გარკვეულწილად, რეგენერაციის პროცესს გავს. თითქოს არსებობს ორი რეალობა და როცა ერთ მათგანში კარგავ თავს, მეორეში მთელდები. პოეტის ორგზის თვალთმაქცობა კი იქნებ სწორედ მისი მცდელობიდან მოდიოდეს - თანადროულად დარჩეს ორივე რეალობაში.

ებლიტფო: ჰარდი, დიკინსონი, პლათი, ჰიუზი, ბიშოპი, ვულფი, სექტონი... _ შენი თარგმნილი ავტორების სია, რა ნიშნით არჩევ ავტორებს...

ლელა: ერთადერთი ნიშანი, რომლითაც სათარგმნ ავტორებს ვირჩევ, მათი ტექსტებია. «შენი» ავტორის ამოცნობის პროცესი ყოველთვის სტიქიურია. კითხულობ რაღაცას და ხვდები, რომ ენისა და ეპოქის მიუხედავად, სათქმელიც შენია, ინტონაციაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გაგიჩნდეს ილუზია, რომ ტექსტი შეიძლება შენი ხელით მეტ-ნაკლები წარმატებით გადმოქართულდეს. შეიძლება არაპროფესიონალურადაც ჟღერდეს, მაგრამ ვცდილობ, თავი ავარიდო ისეთი მხატვრული ტექსტების თარგმნას, რომლებზე მუშაობის პროცესშიც სული წამძლევს და ბევრ რამეს შევცვლი.

ებლიტფო: ლელა, ინტერნეტ სივრცემ რა შეცვალა შენთვის?

ლელა: პირველ რიგში, შეცვალა მკითხველთან ჩემი დამოკიდებულება. ინტერნეტში ლექსების განთავსებამდე ჩემს ნაწერებზე მხოლოდ ლიტერატორების აზრი თუ მომისმენია და ისიც, ხშირად უშუალოდ ვერც აღწევდა ჩემამდე. საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში, ინტერნეტ სივრცე კავშირის თითქმის ერთადერთი საშუალება იყო ჩემთვის არა მხოლოდ ქართველ მკითხველთან, არამედ ქართველ ავტორებთანაც. დინამიური და თითქმის სტიქიური პროცესია _ გაჩნდა იმპულსი, დაიწერა ლექსი, გამოქვეყნდა, მოჰყვა მომენტალური გამოხმაურება... ავტორების მხრიდან ალბათ გარკვეულ გამბედაობას მოითხოვს მკითხველის ყველა

რეაქციისა და კომენტარის წაკითხვა და იმის გათვალისწინება, რომ ეს კომენტარები მხოლოდ გამოწვევის შემთხვევაში თუა შესაძლოდ ობიექტური. «ლიტერატურა.გე» და «ებლიტვო» საქართველოში ლიტერატურული პროცესების გამოცოცხლების და გააქტიურების ძირითადი წყარო იყო ბოლო წლების მანძილზე, როდესაც ლიტერატურული პროცესის ნაკლებობამ მხატვრული ტექსტებისა და ჩაკეტილი ავტორების რიცხვი გაზარდა. თუკი რაიმესთან კავშირში ვარ კონსერვატორი, ეს ნამდვილად არ არის ლიტერატურისა და ინტერნეტის ურთიერთმიმართება. დარწმუნებული ვარ, რომ ბეჭდვით პროცესს და ინტერნეტს შეუძლიათ, იდეალურად შეავსონ ერთმანეთი. ინტერნეტმა ჩემთვისაც შეკვეცა დრო და სივრცე და ჩემი ნაწერები ისევე ხელმისაწვდომი გახადა მკითხველისთვის, როგორც ჩემთვის მათი აზრი.

პოეტის ყოველ ლექსს უნდა შეეძლოს მის «სავიზიტო ბარათად» გამოდგომა

ებლიტვო: ნიკა, საუბარი შენი პოეტური ბიოგრაფიიდან დავიწყეთ. როდის დაიწყე ლექსების წერა, ძირითადად რაზე წერ და... რამდენად შეიცვალა შენი პოეზია 21-ე საუკუნეში?

ნიკა ჯორჯანელი: ჩემი საბოლოო არჩევანი ლექსების წერის სასარგებლოდ დაახლოებით 17-18 წლის ასაკში გავაკეთე. რაც შეეხება იმას, თუ რაზე ვწერ, ვიტყვდი, რომ პოეზიისა და, საზოგადოდ, ხელოვნების ძირითადი თემატიკა, რაოდენ რაღაცნაირადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, უცვლელია. კაცობრიობა გადის ისტორიის ქარტეხილებს, ხელთათმანებივით იცვლის ეპოქებს, ხვდება ნანგრევებში, რომლებიდანაც კვლავ ახერხებს გამოდწევას, მაგრამ, რაც აფიქრებდა შუამდინარელ, ძველ ებრაელ თუ ანტიკურ პოეტს, იგივე აფიქრებს ჩვენი დროის პოეტსაც. განსხვავება მხოლოდ სხვადასხვა ეპოქით მოტანილ გამოსახვის საშუალებებშია, ერთი და იმავე მოვლენების გაშუქების ფორმებში. ანუ იცვლება მხოლოდ ფორმა. ისიც ფრიად არახშირად.

ებლიტვო: შენთვის გამორჩეული საკუთარი ლექსი, «სავიზიტო ბარათი» თუ გაქვს? იქნებ მიზეზებზეც გვითხრა – რატომ ეს და არა სხვა ლექსი?

ნიკა: ვფიქრობ, პოეტის ყოველ ლექსს უნდა შეეძლოს მის «სავიზიტო ბარათად» გამოდგომა. ამ «სავიზიტო ბარათებში» კი, კარგია, ერთიც თუ არ ერევა ისეთი, რომელზედაც რაიმე შეცდომა იქნება დაშვებული კოორდინატების მითითებაში.

ებლიტვო: განიცდი (ან განიცდიდი) თუ არა რომელიმე პოეტის გავლენას? რას ნიშნავს შენთვის კარგი ლექსი, არსებობს თუ არა ლექსის შეფასების კრიტერიუმები?

ნიკა: პოეზია, ასე ვთქვათ, ერთი ნაგებობაა, ერთი სასახლე, რომლის შენებაშიც მეტ-ნაკლები წარმატებით ყველა პოეტი ღებულობს მონაწილეობას, ზოგნი – ერთსა და იმავე დროში, ზოგნი – სხვადასხვაში. ყოველი მომდევნო პოეტი ნებსით თუ უნებლიეთ ითვალისწინებს ყველა წინამორბედი პოეტის დანატოვარს, მათ ნაშენებს, დგება მათ მიერ გამზადებულ ფენაზე და საერთო საქმეს აგრძელებს. და ის ვერ ასცდება გავლენას, ვინაიდან იმ წინამორბედთა გავლენის განუცდელობა, თუ ამ განუცდელობის წარმოდგენა საერთოდ შესაძლებელია, კულტურულ წყვეტას მოიტანდა, რაც სრულიად წარმოუდგენელია. სხვა საქმეა, რას აკეთებ იმასთან

ერთად, რომ გავლენას განიცდი, როგორი და რამხელაა შენი ინდივიდუალური წვლილი.

რაც ლექსის შეფასების კრიტერიუმებს შეეხება: როცა ლექსი არ ვარგა, არ წარმოადგენს დიდ სირთულეს იმის დადგენა, თუ კერძოდ რაში მდგომარეობს მისი უვარგისობა. თუმცა, როგორც წესი, ამის რკვევა საინტერესო არაა ხოლმე. კარგი ლექსის სიკარგე კი რაა და რაში მდგომარეობს – მეტად წარმტაცი, მაგრამ ფრიად იდუმალი და რთული საკითხია. ანუ, თუ კატეგორიებს მოვიშველიებთ და ამ ამბავს რაციონალობისა და ირაციონალობის დაპირისპირების ჭრილში განვიხილავთ, ლექსის სიკარგე, ისევე როგორც სიკარგე მუსიკალური თუ ფერწერული ნაწარმოებისა, უფრო ირაციონალური მოვლენაა, ვიდრე რაციონალური. აქედან გამომდინარე, მას უფრო გრძნობ, ვიდრე ხვდები.

ებლიტფო: კრიტიკოს ზაზა შათირიშვილის მიერ ჟურნალ «ცხელი შოკოლადის» ლიტერატურულ დამატებაში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც რეზო გეთიაშვილის, და არა მარტო რეზოს, პოეზიას ეხება, ლიტერატურულ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა... როგორია შენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?

ნიკა: სტატია კი წავიკითხე, მაგრამ, რა მოგახსენო ამასთან დაკავშირებით, არ ვიცი. დღეს ხმაურია ამ სტატიის გარშემო, ხვალ-ზეგ აღარ იქნება ხმაური.

ებლიტფო: ნიკა ჯორჯანელი როგორც პოეტი რამდენიმე წლის წინ აღმოვაჩინე. შენმა მეგობარმა შალვა ბაკურაძემ მირჩია შენი წაკითხვა. არ დაგიმაღავ, პირველი რაც ვკითხე, დიდი ჯორჯანელების რა არის და თვითონ თუ თარგმნის-მეთქი... ნიკა, თარგმანის პრობლემებზე გვესაუბრე. შენ თუ თარგმნი და ვის?

ნიკა: მამაჩემი გიორგი ჯორჯანელია, ვინც ბევრ სხვა რამესთან ერთად გოეთეს «ფაუსტი»-ც თარგმნა. თვითონ მე ამ ეტაპზე მთარგმნელობითი საქმიანობით დაკავებული არა ვარ. თუმცა მაქვს ჩაფიქრებული რალაცების თარგმნა... ვნახოთ.

რაც შეეხება ზოგადად თარგმნას, პოეზიის თარგმნა მაღალი ხელოვნებაა, რომელსაც თავისი შთაგონება სჭირდება. ჟუკოვსკი ამბობს, რომ პროზის მთარგმნელი მონაა, ხოლო პოეზიისა – მეტოქე. პოეზიის მთარგმნელის მოვალეობა ორი რამაა: თან, ჟუკოვსკის თქმით, მეტოქეობა, რაც საჭიროებს საკუთარი შესაბამისი არსენალის ქონას, თან ამ მეტოქეობაში ნამეტანი შორსაც არგაჭრა, ანუ წონასწორობა, რაც, ზოგადად, ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. დაბრკოლებები თუა, იგივე დაბრკოლებებია, რაც კარგი ორიგინალური ნაწარმოების დაწერას ხდის შეუძლებელს, – ნიჭის ნაკლებობა, უგემოვნობა, დაუდევრობა, უუნარობა ლიტერატურაში საშრომლად. თარგმნის საქმე ასევე საჭიროებს ალღოს სათარგმნი მასალის შერჩევაში, ვინაიდან არსებობს აბსოლუტურად არათარგმნადი ნაწარმოებებიც. გარდა ამისა აუცილებელია საფუძვლიანი ცოდნა იმ ქვეყნის კულტურისა, რომლის ენიდანაც უნდა თარგმნო, და, საერთოდ, განათლებულობა.

მოკლედ, პოეზიის მთარგმნელმა უნდა შეძლოს თარგმნასთან დაკავშირებული სკეპტიკური გამონათქვამების, რომ, მაგალითად, თარგმანში ლექსის წაკითხვა იგივეა, რაც ქალის კოცნა პირბადის გამჭოლ, რომ პოეზია ისაა, რაც თარგმნისას ილუპება, ან რომ თარგმანები ქალებივით არიან: ერთგულეა მათ ულამაზობას ნიშნავს, ხოლო სილამაზე – მოღალატეობას, კომპრომეტირება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტიპის გამონათქვამები ზოგჯერ მეტად ჭკვიან ადამიანებსაც ეკუთვნის.

სიმხნესათვის მას უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს ისეთი თარგმანებიც, რომელთა მიმართაც, დიდი ბოროტების თქმით, დედანია უსწორო.

ებლიტფო: ნიკა, რას ნიშნავს გემოვნებიანი მკითხველი? რა კავშირი აქვს მკითხველის გემოვნებას მის განათლებასთან და რას უსურვებდი მკითხველებს, რომლებიც კარგ პოეტობაზეც ოცნებობენ ხშირად?

ნიკა: გემოვნებიანი მკითხველი გულისხმობს ისეთ მკითხველს, რომელიც სიღრმეში კითხულობს და უკანა პლანს ისევე კარგად იჭერს, როგორც წინას; მკითხველს, რომელსაც თითქმის არ ეპარება ნაწარმოების არც ერთი შრე და კომპონენტი და შეუძლია დეტალით ტკობა. ამგვარი გემის შექმნაში, რასაკვირველია, მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს განათლებაც, რომელიც მშვენიერებისადმი სიყვარულის ჩანერგვას იმდენადვე უნდა ემსახურებოდეს, რამდენადაც ცოდნის მიცემას.

სად აღარ წაუკითხავს ლექსები შოთას...

ებლიტფო: შოთა, შენ პოეზიით დაიწყე და პროზით გააგრძელე - რატომ?

შოთა იათაშვილი: პრინციპში, ერთდროულად დავიწყე. სადღაც ალბათ ოცი წლის ასაკში, ეს ძალიან უცნაურად მოხდა. არც კი ვფიქრობდი, რომ ლექსების წერას დავიწყებდი. მართალი რომ გითხრათ, პოეზიას არც კი ვკითხულობდი, ვკითხულობდი პროზას, ფილოსოფიას, სხვადასხვანაირ ტექსტებს. რაღაც ასეთია პოეზია _ მეტაფიზიკური, საიდანღაც დაგეჯახება. მეც ასე დამემართა. თვითონაც ვერ მივხვდი, რატომ დავიწყე პოეზიის წერა. მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე პოეზიის კითხვა და პოეზიის შესწავლა. პარალელურად პროზის მცდელობებიც მქონდა. უკვე სამი კრებული გამოვეცი. არადა, პრინციპში, პროზას ცოტას ვწერ, ათასში ერთხელ, შეიძლება წელიწადში ერთი მოთხრობა გამომივიდეს. ბევრი დაწყებული და დაუმთავრებელი მაქვს, იმიტომ რომ, როცა პროზას ვწერ, ვიტანჯები, რაღაც სხვანაირი ძალისხმევა მჭირდება. პოეზია კი ეტყობა ჩემი სტიქიაა.

ებლიტფო: 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ანუ «ანომალიური პოეზიის» პერიოდიდან ვერლიბრს წერდი და მასში ბევრი სიღრმე ჩანდა. ბოლო კრებულში _ «სანამ დროა» +_ კი თითქოს უფრო ფორმალისტურ მიეხებებ გადაჰყვა ის ძველი შოთა. შენ როგორ აფასებ ამას?

შოთა: სხვათა შორის ეს აზრი ხშირად მესმის ხოლმე. 90-იანი წლების დასაწყისის შოთა უფრო უყვართ, ვიდრე შემდგომი პერიოდის. არადა, ჩემი შემთხვევა გამონაკლისი არ არის, ეს ლიტერატურის ბუნებაა: ძალიან ხშირად საწყისი პერიოდის მწერალი უფრო უყვართ და უფრო მეტად რჩება მკითხველის მეხსიერებაში, გულში... და შეიძლება ავტორის ცხოვრებაშიც კი, რადგანაც პირველი შემოქმედებითი სიგიჟე განსაკუთრებულ ემოციურ ტალღაზე გსვამს და ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. ეს პირველი ამოფრქვევა მკითხველშიც გარკვეულ სტერეოტიპს აჩენს. არადა, მეორე მხრივ, არსებობს ბუნებრივი დინამიკა, რის გამოც ძალიან კარგად შესრულებული ეტაპი თანდათანობით თვით ავტორისათვისაც აღარაა საინტერესო. რა თქმა უნდა, ძველიდან რაღაც ნაშთები რჩება. თუმცა ერთია გარკვეული ფორმისეული ცვლილებები და მეორეა სათქმელი. სხვათა შორის სათქმელთან მიმართებაშიც 90-იანი წლების დასაწყისში მე უფრო სხვანაირი ტიპის პოეტი ვიყავი. მაგალითად, ზურაბ რთველიაშვილი და მე მაშინ ასე თუ ისე ერთი ტიპის პოეტები ვიყავით, სოციალურ-პოლიტიკურად აქტიური ლექსები გვქონდა.

ზურამ საკუთარ დინამიკაში ეს გეზი შეინარჩუნა, მე კი მაინც რაღაც სხვანაირი პოეტი გავხდი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაც ქვეყნის თავს და ჩვენს ირგვლივ ხდება, არ მაინტერესებს და არ მაღელვებს, მაგრამ უფრო ინტროვეტული გახდა ჩემი პოეზია. მეორე მხრივ მიკვირს, როცა ამბობენ, რომ ჩემი პოეზია გაუგებარი და რთულია. მე მგონია, რომ ძალიან დემოკრატიულ ლექსებს ვწერ, ჩვეულებრივი, რიგითი მკითხველისათვის გასაგებს. პირველ კრებულში თითქმის სულ ვერლიბრია, ხოლო ბოლო კრებულში უკვე ძირითადად კონვენციული ლექსები. ყველა პოეტმა მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ფორმები უნდა გამოცადოს. მაგალითად, ბესიკ ხარანაული, რომელიც დღემდე ქართული ლინგოსა და თეთრი პოეტური ფორმების ერთ-ერთი მთავარი განმახლებელია, ამავე დროს უბრწყინვალეს კონვენციულ ლექსებსაც წერს. მისთვის ეს ორივე ფორმა ბუნებრივია. ასევეა ზურაბ რთველიაშვილიც. ზურამაც ვერლიბრით დაიწყო. იგი კონვენციულ ლექსებს ნაკლებად წერდა, მაგრამ მთელი მისი პოეტური პათოსი ნელ-ნელა რითმიან ფორმაში უკეთესად და შთამბეჭდავად გამოიხატა. ასეთი ბევრი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ. «სანამ დროა» იყო ჩემი განცდა, რომ ადრინდელი ეტაპი გაფორმებულია და უკვე სხვა რაღაცის დროა, თუ მე მინდა, რომ პოეზია ბოლომდე კარგად ვწერო. მე შევეცადე პოეზიის უზარმაზარ სივრცეში მეცურავა არა მხოლოდ ერთ ნაპირზე. ანუ ერთი ნაპირიდან გადაცურვა დავიწყე მეორე ნაპირისაკენ. როდესაც ეს საწყისია, შეიძლება შთამბეჭდავი არ იყოს, მაგრამ გადაცურვის ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია.

ეპილოგი: თარგმნი კიდევ. კრებული «ამერიკელი პოეტები» ნაწილია იმისა, რაც გითარგმნია. მინდა გკითხო იმ გავლენებზე, რასაც მწერლები განიცდიან თარგმნის დროს. როგორ უყურებ ამას შენს შემოქმედებასთან მიმართებაში?

შოთა: მე ეს ცოტა არ იყოს მასტერკლასები მგონია ხოლმე. კარგი მასტერკლასი კარგია. აი, ვთქვათ მიდიხარ პოეტთან და ის მასტერკლასს გიტარებს და ეს მასტერკლასი ტარდება ყველაზე კარგად, როდესაც შენ ამ ავტორს თარგმნი. მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ენის ბუნება და სტრუქტურა. ქართულ ენას, ისევე როგორც ყველა სხვა ენას, თავისი სტრუქტურა, თავისი სინტაქსი და უთვალავი წესი აქვს. და აქედან გამომდინარე, აზროვნების სტილი. როცა უცხოელი პოეტი ითარგმნება ქართულად და ეს კარგად კეთდება, უცებ აღმოაჩენ, რომ ქართულ ნათარგმნში გაჩნდა ისეთი რაღაცეები, რაზეც აქამდე არ გიფიქრია, ე. ი. უცხოურის ქართულად თარგმნამ შემოიტანა ახალი ბუნება ენისა. ეს ახალი ბუნება, მერე უკვე, შენ თვითონ გიფართოებს წერის უნარს. ჩემს შემთხვევაში ეს ასე იყო. აუცილებელი არ არის ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ მთარგმნელებად, მაგრამ მაინც მე ვურჩევ ყველას, შეეცადონ თარგმნას და ეს პრაქტიკა მოსინჯონ.

ეპილოგი: შოთა, თამამი ნაბიჯი გადადგი, როცა კარი მიუხურე მწერალთა კავშირს და იმდროინდელ ტრადიციულ მიმდინარეობებს. მაშინ ძალიან თამამად და მეთაბობურად მოიქეცი. თავად როგორ აფასებ ყველაფერ ამას ასაკობრივი გადასახედიდან?

შოთა: ჩემი აზრით არანაირი გმირობა ამაში არ ყოფილა. როდესაც ახალგაზრდა ლიტერატურაში მოდის, ხშირად ჰგონია, რომ მის მოსვლამდე არავინ ყოფილა, პირველი ის არის და რასაც ის იტყვის, ის იქნება, რაც იქნება. ეს ამბიცია გასაგებია. თვითონ პერიოდი იყო ისეთი, რომ ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. ერთია, თუ რამდენად გაქვს ინტუიცია და რამდენად ობიექტურად აღიქვამ გარემოს. მეორეა,

ბედისწერა ვისთან დაგაკავშირებს. ჩვენი თაობა ისეთ ხალხთან და ადამიანებთან მეგობრობდა, ისეთ გარემოში ვიყავით, რომ სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. მე დიდი გულსტკივილით მინდა გავიხსენო ის ადამიანები, რომლებიც ჩვენთან აღარ არიან. საოცარი ადამიანი და უნიჭიერესი პოეტი ბადრი გუგუშვილი. ჩვენ რაღაცნაირად დამნაშავენი ვართ მის წინაშე, იმიტომ რომ, ბადრი გუგუშვილი იყო ისეთი პიროვნება, რომ ახალმა თაობამ უნდა იცოდეს მის შესახებ, მაგრამ ისინი არ იცნობენ მის პოეზიას და ცხოვრების გზას. ასევე მინდა გავიხსენო კარლო კაჭარავა. იქიდან გამომდინარე, რომ ის იყო მხატვარი, მას უფრო მეტად იცნობენ, მაგრამ ამავე დროს ის იყო ბრწყინვალე პოეტიც. ის პერიოდი ჩვენი ერთად ყოფნის პერიოდი იყო. მერე დავიშალეთ. ზოგი ამქვეყნად აღარ არის, ზოგი ჩვენგან შორსაა. ჩვენს არშესვლას მწერალთა კავშირში თუ მსგავს ქცევებს ეს გარემო განაპირობებდა. ყველაზე ყალბი ის არის, რომ ერთს წერს ადამიანი და მეორე ცხოვრებით ცხოვრობს. ეს ყველაზე გაუგებარია ჩემთვის. რაკი ასე ვწერდით, ასეც უნდა გვეცხოვრა.

ეპლიტფო: როგორია შენი წერის პროცესი?

შოთა: პროზას რაც შეეხება, ათასჯერ ხდება გადაწერ-გადმოწერა. პოეზიაზე რომ გითხრათ, ძალიან ბევრს ვასწორებ-მეთქი, არ ვიქნები მართალი. უფრო კოსმეტიკური შელამაზება ხდება ხოლმე, იმიტომ რომ, თუ მოდის ლექსი, როგორც წესი, მთელი კარკასი რჩება. თუ საიდან მოდის ესა თუ ის ლექსი, ამას ვერ გაიგებ. სხვათა შორის, სანამ ბოლო წიგნს გამოცემდი, ძალიან დიდხანს ვფიქრობდი სათაურზე. ერთი პერიოდი მინდოდა კრებულისათვის «სიგარეტის ლექსები» დამერქმია. იმიტომ, რომ იმ პერიოდში ერთი უცნაურობა დამემართა. «სანამ დროა»-ში შესული ლექსების 80 პროცენტი დაწერილია იცით, როგორ? ყველამ იცის, რომ ოჯახში, სადაც ოთხი ბავშვია, მუდამ ხმაურია. ამიტომ, ხშირად აივანზე გავდიოდი მოსაწევად. როცა გავაბოლებდი, რაღაც «დამეცემოდა» ხოლმე თავში, შევბრუნდებოდი, ან იქვე დავალაგებდი რამდენიმე სტრიქონს ან მთავარ იდეას და ვიწყებდი წერას. ყოფილა, რომ ორი-სამი ლექსი დამიწერია ასე. ძირითადად ზამთარში, იმიტომ რომ, ზაფხულში უფრო ხშირად გადიხარ მოსაწევად და ეფექტი იკარგება. მერე, ეს რომ გავაცნობიერე, აივანზე სპეციალურადაც გავდიოდი, რადგან ვიცოდი, სიგარეტს რომ გავაბოლებდი, ლექსი უნდა გაჩენილიყო... და თქვენ წარმოიდგინეთ, ლექსიც ჩნდებოდა. იმის მოლოდინი, რომ ლექსი უნდა გაჩენილიყო, ყოველივე ამას ხელს არ უშლიდა, ჩვევაში გადავიდა. ეტყობა, ეს რაღაც სხვა პერიოდი იყო, იმიტომ რომ, მერე, ერთი კოლოფი მოვწიე, მაგრამ ერთი სტრიქონიც არ გაჩენილა. ასე რომ, ლექსის მოსვლის ფორმებიც, ალბათ შეიძლება შეიცვალოს.

ეპლიტფო: რამდენიმე სიტყვა შენი მოთხრობის _ «როგორ გავაძევეთ სახლიდან სიკვდილი» _ შესახებ მითხარი. არის თუ არა ეს მოთხრობა რეალური ფაქტებიდან აღებული?

შოთა: ჰო, «როგორ გავაძევეთ სახლიდან სიკვდილი» დოკუმენტური მოთხრობაა. რაც იქ წერია, ნამდვილად მოხდა. ეს იმდენად მძაფრი და დამთრგუნველი ისტორია იყო, რომ როგორც შემოქმედს, გამიჩნდა სურვილი ყოველივე ეს ამესახა. მაგრამ ეს არც თუ ისე ადვილია, ეს შეიძლება მაშინ მოახერხო, როცა აფექტის მდგომარეობაში ხარ. მაგალითად, მაქვს ავტობიოგრაფიული მოთხრობა «Memento vita», სადაც ჩემი ყველაზე კომმარული სიტუაციაა აღწერილი. 1992 წლის ზაფხულში რაღაც უბედურებები დამემართა ზედიზედ და მაშინ დავწერე. რაც შეეხება ოქსანას ისტორიას, სულ მინდოდა დამეწერა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. მერე ჩემმა მეუღლემ აღმოაჩინა თავის ძველ არქივში ერთი ფურცელი, სადაც რამდენიმე ფრაზა იყო

ოქსანას შესახებ და ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც ოქსანა ჩვენს სახლში ცხოვრობდა. ეს იყო ის ბიძგი, რამაც ეს მოთხრობა დამაწერინა. იგი სწორედ მაიას ამ ჩანაწერით იწყება. ფაქტიურად, მოთხრობა რვა წლის შემდეგ დაწერიე. ასე რომ, ხანდახან მაშინვე წერ, ხან კი ძალიან დიდხანს გიწევს ნაწარმოებზე ფიქრი.

ებლიტფო: როგორ სიტუაციაში გიყვარს ლექსების კითხვა?

შოთა: ყველანაირ სიტუაციაში... სად არ წამიკითხავს ლექსები - გასტრონომში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ბაპტისტურ ეკლესიაში... საერთოდ ექსტრემალურ სიტუაციაში, ნაკლებადჩვეულ გარემოში ლექსების კითხვა ძალიან კარგია და ავტორს მნიშვნელოვან გამოცდილებას სძენს.

ვინ არის ყველაზე ალალი მსმენელ-მკითხველ-მაყურებელი

ებლიტფო: თამრი, რას იტყვი ზოგადად, თანამედროვე ქართული სამწერლო ენის შესახებ? როგორი ენით უნდა წეროს დღეს ქართველმა მწერალმა? რა აზრის ხარ სლენგის მოჭარბებულობაზე თანამედროვე ქართულ პროზაში?

თამრი ფხაკაძე: ენას, ჩემი აზრით, ძირითადად ასაზრდოებს ხალხური სიტყვა, სოფელი, ანუ მეტ-ნაკლებად სტერილური გარემო, რომელიც დღეს მაქსიმალურად ინახავს ენის სიწმინდეს. გარემო, სადაც საბედნიეროდ, ენა კვლავ მდიდრდება, მაგრამ არა უცხოური, არამედ საკუთარ წიაღში «გამომდნარი» ახალი, ზუსტად მიგნებული, ხატოვანი სიტყვებით.

ყოველგვარი «ზაციის» ნიშნით აღბეჭდილი შეუქცევადი პროცესი: ურბანიზაცია, კომპიუტერიზაცია, გლობალიზაცია და ბევრი სხვა დიდ საფრთხეს უქმნის ენის თვითმყოფადობას.

რასაკვირველია, მწერალმა გარდა იმისა, თუ რა თქვას, იმაზეც უნდა იფიქროს, თუ როგორ თქვას. და თუ ორიენტაციას გვარიანად შემღვრეული ენის დაწმენდისკენ აიღებს, დიდ სამსახურს გაუწევს შთამომავლობას.

სლენგი ენის დღევანდელი ნაწილია. იგი არსებობს და «სირაქლემას პოზა» არაფერში გამოგვადგება. ის ისევე (მოდით, რაკი სლენგს ვეხები, გავიღიმებ და ასე ვიტყვი) «გაიჩითება», «გაეძრობა» თანამედროვე მწერლობაში, როგორც თანამედროვე მეტყველებაში. ეს გარდაუვალია.

თუ ჩემი გმირი ე.წ. «ძველი ბიჭია», მე ვერ ვასაუბრებ მას აკადემიკოსივით. ყველა პერსონაჟი თავისი, საკუთარი სიტყვიერი მასალით იხატება ან იძერწება, უბრალოდ, არ უნდა გადაამლაშო. ისევე, როგორც არ უნდა ჩაშაქრდე ყალბ და თვითმიზნურ ტკბილქართულობაში.

მთავარია, ფაქიზად მოეპყრა შენი მშობლიური ენის «სასიტყვეთს», ძირითად სასამირკვლე კრისტალს და ამ ფონზე ფრთხილად, ზომიერად გამოიყენო სლენგი, როგორც ახალი, მოდური სამშენებლო მასალა...

ებლიტფო: რას იტყვის თამრი ფხაკაძე ქართველ მამაკაც მწერლებზე? რით განსხვავდებიან ისინი ქართველი ქალი მწერლებისაგან?

თამრი: თამრი ფხაკაძე არ ყოფს მწერლებს ქალებად და მამაკაცებად. მწერლობა შეიძლება დაყო კარგ და ცუდ მწერლობად, მწერლები კი – ნიჭიერებად და უნიჭოებად. ხელოვნება ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, სადაც ძლიერი და სუსტია არა სქესი, არამედ ნიჭი და «რუხი ნივთიერება». რაც შეეხება რაოდენობრივი უპირატესობის თემას, რომელიც საყოველთაოდ ცნობილ და ბანალურ პასუხს მოითხოვს, – სიამოვნებით ავუხვევ გვერდს.

ეპლიტფო: როგორ ახერხებ წერო დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც?

თამრი: პატარებისთვის წერა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, დიდებისთვის წერა კი... (ეცინება) არა, არ გამოდის სიტყვებით თამაში. ვერ ვიტყვი, რომ დიდებისთვის წერა პატარა სიამოვნებაა. ესეც დიდია.

პატარებისთვის ვიცლი პატარა შუალედებში. როცა ძალიან ვიღლები დიდობით, დიდებისგან (ანუ, დიდი ადამიანებისგან. დიდება ჯერ ნამდვილად არ მწვევია) და სადიდოს წერით. ეს საუკეთესო და უსწრაფესი დასვენების ხერხია, მთელი «დიდური» თავსატეხების ჩამოფერთხვის და სასიცოცხლო ძალების განახლების საუკეთესო შანსი.

მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ ასეთი ეგოისტური მოტივების გამო ვწერ საბავშვო ლიტერატურას. ასე არაა. უბრალოდ, მიყვარს ბავშვები, მიყვარს მათი მოსმენის მანერა, მიყვარს ბავშვი მკითხველი და მაყურებელი. ორი წლის წინ თოჯინების აკადემიურმა თეატრმა ჩემი ზღაპარი «ხავსისქუდას ოინები» დადგა. პრემიერაზე სცენისკენ ხანდახან თუ გავიხედავდი. ძირითადად პატარა მაყურებლებისკენ ვაპარებდი თვალს და მათი უგულწრფელესი აღტაცება მახარებდა.

ბავშვი ყველაზე ალალი მსმენელ-მკითხველ-მაყურებელია. არ მოეწონება? _ ერთს დაამთქნარებს საყვარლად და განაჩენიც გამოტანილი იქნება შენი შემოქმედებისთვის. არავითარი დიპლომატიური მოქნილობა და ცრუ ქათინაურები... ეს მომწონს. საინტერესოა.

ეპლიტფო: სატირისა და იუმორისთვისაც იცლი, არა?

თამრი: თანაც, დიდი სიამოვნებით. მგონი, მთელი ცხოვრება ვწერ ფელეტონებს და იუმორესკებს. ხან ფსევდონიმით, ხანაც უფსევდონიმოდ. ეს ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, რისთვისაც მასალა არასდროს ილევა.

ეპლიტფო: თამრი, რატომ აღარ თარგმნი?

თამრი: არ ვიცი, ოდესღაც დიდი სიამოვნებით ვთარგმნე დოროთი პარკერის ნოველები. აირის მერდოკის «ქვიშის კომპი» და კიდევ რაღაც-რაღაცები. თარგმნამ სერიოზულად მიზიძგა წერის დაწყებისკენ. ალბათ ეს იყო ჩემი მთარგმნელობითი საქმიანობის მისია ჩემს ცხოვრებაში. წერა მომანდომა. ახლა უბრალოდ ამის დრო აღარ მრჩება, თორემ სურვილი ხშირად მიჩნდება.

ეპლიტფო: ახლა რაზე მუშაობ?

თამრი: ახლახანს დავასრულე რომანი «ჩვენ სამნი და ანგელოზი», რომელიც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა. ცოტა ხანს დავისვენებ. ახალ შემოქმედებით განწყობას დაველოდები. ძალადობა არ მომწონს, განსაკუთრებით მუზეების მიმართ.

ეპლიტფო: რას იტყვი ლიტერატურულ კონკურსებზე?

თამრი: არაა ცუდი გამოგონება. თუმცა მთავარ ჟიურიდ შემოქმედებისთვის მაინც დროს ვთვლი. თუ რამდენიმე ათწლეულს მაინც არ დაკარგავს ნაწარმოები აქტუალობას, ეს მისთვის ყველაზე დიდი პრიზი იქნება.

ეპლიტფო: რას უსურვებდი აღმანახ «თაობებს»?

თამარი: იგივეს, რასაც ყველა ახლობელს: დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, წარმატებას, სიყვარულს და სიხარულს.

«როცა სიტყვებს აწყვილებ, სწორედ მაშინ ხდება სასწაული»

ებლიტფო: ქალბატონო იზა, როგორ მუშაობთ, რამდენჯერ გადაშლით, წაშლით დაწერილს, ერთი ამოსუნთქვით წერთ თუ მეორე დღესაც მიუბრუნდებით ხოლმე დაწერილს?

იზა ორჯონიკიძე: იმედია, პარალელისთვის არ გამაქილიკებთ, მე უამრავი ხელნაწერი მინახავს, მათ შორის გალაკტიონის, აკაკი წერეთლის, ჰუმკინის და ა.შ. უნდა ნახოთ, რა ომებია გადახდილი ამ ფურცლებზე, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ შეიძლება გამოიძერწოს, გამოკრისტალდეს მშვენიერი, მომღერალი სტრიქონები, ვთქვათ, გალაკტიონისა, რომელიც გნებავთ, ხელნაწერიდან... ლექსის წერის პროცესი, დიდწილად, ქვის კოდვას ჰგავს, თუ რა თქმა უნდა, «ხალტურას» არ სთავაზობ შენს მკითხველს. კონკრეტული განცდისა თუ განწყობის გამოსახატავად აუცილებელი, შეუცვლელი სიტყვის მოძებნა-მოხელთებას ბევრი რამ სჭირდება – სათქმელის მკითხველამდე მისატანად ენის ბევრი საიდუმლო უნდა იცოდე, ამას გარდა თავად სიტყვას უნდა გრძნობდე სრულად, ნიუანსურად. არ ვიცი, რამდენად გასაგებად ვლაპარაკობ, რადგან თავად ჩემთვისაც ბევრი ნიუანსი დღემდე აუხსნელია.

გალაკტიონიც ვერ აგიხსნიდათ, როგორ იწერება, ვთქვათ, ასეთი სტრიქონები: «მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა...»

ლირიკული ლექსი რთულად იწერება. დასაწყისშივე ერთი ცრუ ინტონაცია, ანუ განუცდელი რამ თუ წამოგცდა, ყველაფერი იქვე მთავრდება! ტყუილი, ყურით მოთრეული ანუ განუცდელი არ შეიძლება ისე გადაიტანოთ ქალაქზე, რომ თავი არ გასცეთ! აი ასეთი საოცარი თვისება აქვს სიტყვას – სიცრუის დეტექტორია!

ლირიკა წრფელი და სიღრმისეული, ჭეშმარიტი განცდისაგან იშვება... და მკითხველს თუ გულის მთავარი სიმი არ შეურხიე, ტყუილად გარჯილხარ! ადამიანური განცდების, სულიერი და ხორციელი შეგრძნებების გამოხატვისას შენ, რა თქმა უნდა, მკითხველზე არ ფიქრობ, მაგრამ თუ შენი სათქმელი სხვათა განცდებს არ ეხმიანება, ასეთ ლექსებს გამოძახილი არ მოჰყვება... ძალიან ბევრი და ბუნდოვნად ვილაპარაკე, თუ თქვენთვის საინტერესო რამე ვთქვი, ძალიან მიხარია...

ერთი სიტყვით, «მიუკვლეველია სავალნი უფლისანი».

ებლიტფო: ცნობილია, რომ მრავალი მწერალი ჯერ საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავდა თავის ნაწერებს, ახლა კი პირდაპირ კომპიუტერზე გადააქვთ ლექსებიც და დიდი რომანებიც... თქვენ როგორ იქცევით?

იზა ორჯონიკიძე: მე ქალაქისა და კალმის ინტიმი უფრო მომწონს, უფრო ნაღვლია, უფრო მეტია უშუალო კონტაქტი, რაღაც აუხსნელი სიტბო... მექანიკური დამხმარე, ტექნიკა ჩემი არ არის... ინტიმში მესამე ზედმეტია!

ებლიტფო: მე გავოცდი, როცა წავიკითხე, რომ თურმე მარკესმა თავისი «მარტოობის ასი წელი» კომპიუტერზე აკრიფა.

იზა ორჯონიკიძე: გაუმარჯოს მარკესს! მისი უფლებაა, როგორ იმუშავეს. მე არც კი მიცდია სხვანაირად წერა. კომპიუტერზე დამოკიდებული ვერ ვიქნები, ვთქვათ, დენი გამოირთო, და რაც აკრიფე, ყველაფერი წაგიშალა, აკრეფის პროცესში შეიძლება

არც კი გაგახსენდეს, რომ, რასაც აკრეფ, ის უნდა დაამაგრო, რომელიდაც კლავიშს აუცილებლად უნდა დააჭირო ხელი... სიტყვა ცოცხალია, ამოურწყავია, უამრავი ფარული ნიუანსის შემცველი, როცა სიტყვებს აწყვილებ, სწორედ მაშინ ხდება სასწაული... კომპიუტერთან, ანუ ტექნიკასთან ურთიერთობა ფსიქოლოგიურად გაუმართლებლად მიმაჩნია, ჩემთვის წარმოუდგენელია სიტყვის ძებნაც და ამავდროულად კომპიუტერთან ურთიერთობაც... ქაღალდი უფრო სანდოა!

ერთსაც დავძენ – ადვილი სულაც არ არის იმ სიტყვებით, რომლებსაც ყველა ჩვენგანი ყოველ წუთს ვხმარობთ საუბრისას, მხატვრული ტექსტის შექმნა. პოეტის უძნელესი მიზანია მიანიჭოს «შეჩვეულ», ხშირად გაცვეთილ სიტყვებს ახალი ელვარება, ჩაუდგას ახალი სული და... გააოცოს მკითხველი! სწორედ ეს გახლავთ მოულოდნელი მეწყერი, «რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს».

ებლიტფო: ძალიან მაინტერესებს, როგორ შეიგრძნობთ, როგორ აცნობიერებთ, რომ პოეტი ხართ და სხვა რამის კეთება არ შეგიძლიათ? შემოქმედად ყოველწამიერად გრძნობთ თავს?

იზა ორჯონიკიძე: თქვენი შეკითხვა, არ მიწყინოთ, ცოტა გულუბრყვილოა და ცოტაც ღიმილის მომგვრელი. ოსკარ უაილდს აქვს ერთი ძალიან ნიშანდობლივი გამონათქვამი: პოეზიას ქმნიან ისინი, რომლებიც ცხოვრებაში ვერ ახერხებენ პოეტური წარმოსახვით შექმნილის განხორციელებასო. მართალია მოუსვენარი უაილდი! გალაკტიონი მხოლოდ თავის სამყაროში, თავის ქვეყანაში უნდა ვეძებოთ. ჭეშმარიტი გალაკტიონის დანახვა მხოლოდ იქ შეიძლება, დანარჩენი სულ სპექტაკლებია! ამაზე უკეთეს პასუხს ვერ გაგცემთ!

ებლიტფო: რახან სიტყვამ მოიტანა, გვიამბეთ თქვენი მუზეუმის მრავალწლიანი შრომის დაგვირგვინების შესახებ – გალაკტიონის 25 ტომეულისა და რჩეულის გამოცემის შესახებ.

იზა ორჯონიკიძე: 13 წიგნი უკვე გამოცემულია, 9 მაგიდაზე მიწყვია, ორიც სტამბაშია, აგვისტოს ბოლოს იმათაც მიიღებს მკითხველი. მართლაც დიდი შრომა გავწიეთ, გალაკტიონის არქივი უზარმაზარია. საარქივო გამოცემას თავის სპეციფიკაც აქვს. ადრე გამოცემულ თორმეტტომეულში ნებსით თუ უნებლიედ უამრავი უზუსტობა, ლაფსუსი და ზოგჯერ შეუწყნარებელი შეცდომაც გაიპარა. ჩვენ შევეცადეთ გაგვეწმინდა გალაკტიონის ტექსტები თვითნებური წაკითხვებისაგან, დავაზუსტეთ თარიღები და, რაც მთავარია, ვისარგებლეთ ჩვენს ხელთ არსებული დედნებით. აკადემიური გამოცემის მე-7 წიგნში გალაკტიონის თარგმნილი ლექსები მის ორიგინალურ ლექსებად იყო წარმოდგენილი – რაც ყოვლად შეუწყნარებელია! ჩვენ გამოვაცალკევით ვერლენის, ბოდლერის, გოეთეს, ბაირონისა და რუსი პოეტების გალაკტიონისეული თარგმანები და მათ ჩვენი გამოცემის მე-8 წიგნში სათანადო ადგილი მივუჩინეთ. სწორედ აქ მოსვლამდე გადავავლე ამ თარგმანებს თვალი, რამდენიმე მათგანი შედეგრალურად არის გადმოქართულებული, განსაკუთრებით აღსანიშნავია ვერლენის ლექსები და გოეთეს «მგზავრის სიმღერა» – გენიალური თარგმანებია! თუ ვინმე დაინტერესდება, ძალიან კარგი დისერტაციაც შეიძლება დაწეროს /ფრანგული და გერმანული ორიგინალების შედარებით!/ ვთქვათ, ასეთი სათაურით – «გალაკტიონი თარგმნის».

ებლიტფო: გაკვირდებით და ჩემთვის აღმოვაჩინე, რომ არასოდეს ხმარობთ გამოთქმებს: «ჩემი შემოქმედება», «ჩემი პოეზია», მუდამ ამბობთ: «ჩემი ნაწერები»... ასე შეგნებულად იქცევით თუ...

იზა ორჯონიკიძე: მართებულად შეგინიშნავთ, თუ დამიჯერებთ, არ ვკეკლუცობ, მაგრამ რატომღაც თავისთავად ხდება ასე. არასოდეს მიდევნია ჩემი ნაწერებისათვის, არც, მოდური სიტყვა რომ ვიხმართ, «პიარ კამპანია» გამიწევია ოდესმე. ასე თქმა და მოქცევა ჩემთვის უფრო მისაღებია და რაც მთავარია, ორგანულია! მე რომ შინაგანად მაწვალებდეს «ჩემი პოეზია» და «ჩემი შემოქმედება», აუცილებლად წამომცდებოდა. მოგეხსენებათ, შუბი ხალთაში არ დაიმალება...

ერთ სასაცილო შემთხვევაზე გიამბობთ: ქვიშხეთში, მწერალთა დასასვენებელ სახლში ვისვენებდი ჩემს ქალიშვილთან ერთად, მაშინ საკუთარი ვილები მხოლოდ ბობოლა მწერლებს ჰქონდათ, ამიტომაც სხვა ყველა, ზაფხულობით, ოჯახებიანად ქვიშხეთში იყრიდა თავს: დემნა შენგელაია, არჩილ სულაკაური, დავით გაჩეჩილაძე, ოტია პაჭკორია, ნოდარ გურაბანიძე, ელგუჯა მაღრაძე და კიდევ მრავალი და მრავალი, ცოლ-შვილით ივლის-აგვისტოს ქვიშხეთში ატარებდნენ... ჩემმა 12 წლის მაიამ იცელქა და არჩილ სულაკაურმა დატუქსა, ასეთი და ასეთი პოეტის ქალიშვილს არ ეკადრებაო. მაიას ჩემი მისამართით ნათქვამი ისე მოსწონებია, მთელი დღე ბავშვებთან იმეორებდა, ტრახახობდა თურმე. მითხრეს. ცხელი დღე ვაყარე. იმის შემდეგ, ლექსებს რომ ვწერ, იმასაც არსად ამბობს. ნათქვამს ისე ნურავინ გაიგებს, რომ მე არ ვიცი, რას და როგორ ვაკეთებ, ან რა ჰქვია ლექსის მწერალს. ძალიან კარგად ვიცი, «ვინა ვარ, რა ვარ, საიდან მოველ და საით წავალ», მაგრამ ჩემს თავს რეკლამას ვერასოდეს გაუწევ, არ არის ეს ჩემს ხასიათში. არსებობენ ჩემი წიგნები და როგორები არიან ისინი, ამაზე თქვენ, მკითხველებმა უნდა ილაპარაკოთ, რა თქმა უნდა, თუ ღირს სალაპარაკოდ! აი, რომ ღირს, ეს ვიცი და მჯერა კიდევ, თორემ რატომ შემოგთავაზებდით! ეს ჩემთვის უნდა ვიცოდე და ვდუმდე!

ებლიტფო: თქვენი პროზაც წაგვიკითხავს, მინიატურული ესეები, წერილები, მშვენიერი ინტერვიუები, მუზეუმში გამოცემულ წიგნებს დართული წინათქმანი... ახალი მოგონებების წერასაც შეუდექით _ რამდენიმე პასაჟი ამას წინათ წაგვიკითხეთ კიდევ... რაც ჩამოვთვალე, არაფრით ჩამოუვარდება თქვენს პოეტურ ტექსტებს... რა არის თქვენთვის პროზა, რამდენად ახლობელია ეს თქვენთვის?

იზა ორჯონიკიძე: ალბათ, რაც თქვენ ჩამოვთვალეთ, მაინც პოეტის პროზაა. რასაც მე პროზას ვეძახი და ალბათ, სხვებიც იმასვე ეძახიან პროზას, ის ჩემი საქმე არ არის. პროზაულად აზრის გამოთქმა, პროზა არ გახლავთ! პროზას თავისი ესთეტიკა, თავისი კანონები აქვს. ესეისტიკაც ცალკე ჟანრია ლიტერატურისა და, რა თქმა უნდა, ისიც პროზაა, მაგრამ ფოლკნერის პროზა და ანდრე მორუას პროზა, დამეთანხმებით, სულ სხვადასხვა რამეა. ორივე შემოქმედებაა, მაგრამ მათ შორის განსხვავება მაინც დიდია და მნიშვნელოვანაც. რა განასხვავებს ერთმანეთისაგან ამ ორი ბრწყინვალე შემოქმედის ტექსტებს, მოდით, ეს თემა კრიტიკოსებსა და ლიტერატურის მცოდნეებს გადავულოცოთ, განსხვავებაზე ისინი უკეთესად იტყვიან. ამაზე თუ სიტყვას გავაგრძელებთ, დისერტაცია გამომივა, ძალიან შორს წაგვიყვანს! დამიჯერეთ, რომ, რასაც მოგახსენებთ, მართალია!

ებლიტფო: თქვენს ნაწერებზე პირუთვნელად აზრის გამოთქმას თუ შემოგბედავენ ხოლმე?

იზა ორჯონიკიძე: პირუთვნელი არიან თამაზ ჩხენკელი, ბაჩანა ბრეგვაძე, ზურაბ კიკნაძე, ვახტანგ როდონია, დავით წერედიანი და თეიმურაზ დოიაშვილი (ჩემი ძველი მეგობრები) – უაპელაციოდ მეტყვიან, თუ რამე არ მოეწონებათ. არც ახლად შეძენილები დამინდობენ – მერაბიც და ზაზაც მუდამ პირუთვნელნი არიან. მე ასეთი ურთიერთობა ძალიან მომწონს და მახარებს. რაც მთავარია, მაფხიზლებს და ნამდვილად მეხმარება, რომ ხელიდან იაფი არაფერი წამივიდეს!

ებლიტფო: როგორი ურთიერთობა გაქვთ კრიტიკასთან, მგრძნობიარე თუ ხარტ კრიტიკის მიმართ?

იზა ორჯონიკიძე: კრიტიკაც, ჩემი აზრით, და არა მარტო ჩემი აზრით, შემოქმედებაა. შემოქმედი კრიტიკოსი ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე ბევრი არავინ ყოფილა, ვისი ნაწერების კითხვისას მე ესთეტიკური სიამოვნება განმეცადოს, ასეთი მხოლოდ გურამ ასათიანი, ოტია პაჭკორია და ჩემი თაობიდან თეიმურაზ დოიაშვილი შემიძლია დაგისახელოთ. აკაკი ბაქრაძე სხვა ფენომენია! მისი ლიტერატურისაკენ მიმართული მზერა მუდამ ჩვენი ისტორიის მტკივნეულ თემებსაც მოიცავდა, მისი ბრწყინვალე ესე «მკვახე შეძახილი» გურამ ასათიანის «სათავეებთან» გაცნობის შემდეგ რომ დაიწერა, ჩემი აზრის საუკეთესო დადასტურებაა. აკაკი დიდი პუბლიცისტიც გახლდათ და დიდი განმანათლებელიც, ლიტერატურა მას იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ეს ლიტერატურა მის მთავარ საფიქრალსა და სათქმელს უკავშირდებოდა.

კრიტიკა, ჩემი აზრით, არც ქება უნდა იყოს და არც ძაგება და გაცამტვერება, ერთი სიტყვით, არ უნდა იყოს ისეთი, როგორც არის ჩვენთან – საქართველოში!

კრიტიკა საგნობრივი, ხელშესახები და საფუძვლიანი კვლევაა – რა და როგორ დაწერა N ავტორმა, რისი თქმა სურდა და როგორ გაართვა თავი დასახულ მიზანს... მე ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ წაიკითხა ჩემი ტექსტი კრიტიკოსმა – მისი წაკითხვა მაინტერესებდა – რა იგრძნო, რამ გააოცა ან არ გააოცა, და ა.შ.

კარგა ხანს კრიტიკოსებს ჩემთვის არ ეცალათ, პირველი წერილიც ისევ პოეტმა თედო ბექიშვილმა დაწერა, მერე გურამ ასათიანმა და ტარიელ ჭანტურიამ, დევი სტურუამ, სულ ახლახანს თამაზ ჩხენკელმა, ზურაბ კიკნაძემ, ასევე პროზაიკოსმა ლეილა მესხმა და პოეტმა მურმან ჯგუზურიამაც შემაწიეს სიტყვა... ყველაზე მეტად თეიმურაზ დოიაშვილის წერილი მომწონს!

დავით წერედიანმა და დავით მაღრაძემაც გამოთქვეს ჩემთვის ფრიად საყურადღებო და, არ დავმაღავ, სასიამოვნო აზრი ქართულ ლიტერატურაში ჩემს უკვე ორმოცდაათწლიან არსებობაზეც... ამ აზრმა ბევრი გააღიზიანა კიდევ!

სალიტერატურო კრიტიკა დღესაც გაუმართავია, ალბათ იმიტომ, რომ ლიტერატურული პროცესის მიმდინარეობასაც აკლია ფხიზელი და დაინტერესებული თვალ-ყური! ახლა მეტწილად «პიარ კამპანიები» იმართება და მასიური მკითხველი თავგზააბნეულიც ამიტომ არის. მე ეს ნაკლებად მადარდებს, რადგან თუ რაიმე ჭეშმარიტი შეიქმნება, არც დაიკარგება და არც უკვალოდ ჩაივლის. ოდესმე ვიღაც დაინტერესდება, რა მოიტანა ჩვენმა «საინტერესო დრომ»...

ებლიტფო: ალბათ იცით, რომ ინტერნეტში გაჩნდა ლიტერატურული საიტები, მეც ჩამიხედავს იქ – ახალგაზრდა პოეტები ერთმანეთის ლექსებს არჩევენ, კამათობენ, როგორც ჩანს, იმ მსჯელობამ, რომელიც ლიტერატურულ პრესაში უნდა მიმდინარეობდეს, ელექტრონულ სივრცეში გადაინაცვლა. რას იტყოდით ამაზე?

იზა ორჯონიკიძე: რაც არ ვიცი, იმაზე, აბა, რა გითხრათ, არ წამიკითხავს ის საიტები, რადგან არც კომპიუტერი მაქვს და არც ინტერნეტი. კამათი კამათისათვის უსარგებლო საქმეა! არც ლექსს უნდა გარჩევა! ბევრი წერს ლექსს, მაგრამ მცირენი ქმნიან პოეზიას! სხვათა შორის დავსძენ, რომ ნიჭმა შეიძლება გაუმართავ სტრიქონებშიც გაიბრწყინოს, ლიტერატურული პროცესი უკრიტიკოდ იგივეა, რაც ოპოზიციის გარეშე დარჩენილი ხელისუფლება, ობიექტური კრიტიკის არსებობა აუცილებელია, მაგრამ სად არის? ინტერნეტში მოკამათეებსაც სჭირდებათ ობიექტური არბიტრი!

ებლიტფო: თქვენი თაობიდან ვისი ნაწერების კითხვა გიყვართ?

იზა ორჯონიკიძე: პროზაიკოსთაგან რეზო ინანიშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, ადრინდელ გურამ დოჩანაშვილსაც არა უშავს, ბაჩანა ბრეგვაძის, დავით წერედიანის, თემურ დოიაშვილის და კიდევ რამდენიმესი. ბესიკ ხარანაულის, პოეტებს მეტს აღარ დავასახელებ, ძალიან ბევრს გული არ მინდა დავწყვიტო.

ებლიტფო: ახალგაზრდულ მწერლობას თუ იცნობთ?

იზა ორჯონიკიძე: ვიცნობ, ამ ზაფხულს ოცი პროზაული კრებული მაინც წავიკითხე, რამდენიმე საინტერესოდ მეჩვენა, პოეზიაში ბევრი ახალგაზრდა ხმაა, მაგრამ მაინცდამაინც გამორჩეული ჯერჯერობით არ ჩანს. რამდენიმემ ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ მომდევნო წიგნები ძალიან სუსტია...

ახლახანს «ჩვენს მწერლობაში» ახალგაზრდა ქალის ნუნუ ჯანელიძის ლექსები წავიკითხე და ძალიან საინტერესოდ მეჩვენა, მასთან გასაუბრებაც კი მომინდა... ეს ქალი, რაც მთავარია, მძაფრად გრძნობს და არ ცრუობს, ღობე-ყორეს არ ედება, ოსტატობა, თუ იმუშავებს, აუცილებლად მოვა! ერთი უცნაური შეგრძნება გამიჩნდა ამას წინათ, წიგნის ფესტივალზე... ახალგაზრდა პროზაიკოსებსა და პოეტებს ჩემი ლექსების წიგნი დავურიგე საჩუქრად, ერთად ვისხედით, ყავას ვსვამდით, ვსაუბრობდით და.. ვგრძნობდი _ ისე მიყურებდნენ, როგორც გარდასულის ლანდს, როგორც მოჩვენებას, რომელიც რაღაც სამუდამოდ დავიწყებულზე ელაპარაკებოდათ... მე ძალიანაც ცოცხალი ვარ! ისინი კი ამას ვერ ხედავენ, საკუთარი თავით ისე არიან დაკავებულები! ჩემი თაობა სხვანაირად იყო განწყობილი უფროსი თაობის მიმართ.

ჩემს სიყმაწვილეში ახალგაზრდები უფროსი თაობის მწერლებთან ვმეგობრობდით, ერთმანეთი გვანტერესებდა კოლაუ ნადირაძე, ლევან გოთუა, დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე. მომდევნონი _ არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე, ოტია პაჭკორია, გურამ ასათიანი, ედიშერ ყიფიანი, აკაკი ბაქრაძე და კიდევ ბევრი სხვაც გულითადად ისწრაფოდნენ ახალგაზრდობისაკენ... ბევრ მათგანთან მე ვმეგობრობდი კიდევ, უამრავი რამ ვისწავლე, უამრავი სიტბო მახსოვს მათგან, სიტბო და თანადგომაც, მერე როგორი დაუყვედრებელი და ტოლერანტული თანადგომა! იქნებ დრომ მოიტანა, არ ვიცი, იქნებ ვცდები, მაგრამ დღევანდელებს უფროსი თაობის მწერლებთან ურთიერთობის სურვილს რაღაც ვერ ვატყობ... მგონი, არც აინტერესებთ... არა და, ყველა პროზაიკოსი ერთად რომ გადაადნო, ნახევარი რეზო ინანიშვილი არ გამოვა! ახალგაზრდული პროზა ეპიგონური, დიდწილად უსაგნოა, დეჰუმანიზირებული და უსიყვარულო!

ებლიტფო: ქალბატონო იზა, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რამდენიმე თვეში ტრადიციული ლიტსაღამოები ისევ გაიმართება, ვის მოწვევას გვირჩევდით, ვის მოვუსმინოთ?

იზა ორჯონიკიძე: გიორგი ახვლედიანის /იგივე აკა მორჩილაძის/ მოსმენა მეც ძალიან მაინტერესებს. მის მიმართ დიდი ნდობა და სიმპათია გამიჩნდა, მაგრამ კითხვებიც დამიგროვდა. ახალგაზრდა პოეტს რამდენიმეს ერთად მოვიწვევდი, განსაკუთრებით ქალებს და კითხვებს მათთვისაც არ დავიშურებდი.

ებლიტფო: თქვენი აზრით, ვის ბაძავენ თანამედროვე ქართველი პოეტები? იაპონურ და ჩინურსაც ხომ არა?

იზა ორჯონიკიძე: ლათინოამერიკული რომანი, როგორც იქნა, მოვიყირჩეთ, მაგრამ არც «მარტოობის ასი წელიწადის» ბადალი რამ დაუწერია ვინმეს და არც კოელიოს «ალქიმიკოსისა». ეს ჩემი პირადი აზრია და თავს არავის ვახვევ. რატომ წავიკითხო ასლი, როცა არსებობს დედანი?! რაც შეეხება თანამედროვე ქართულ პოეზიას, ბაძავენ ყველა უცხოელს – ელიოტს, რილკეს, ბროდსკის, ცელანს და იმ ქართველ პოეტებსაც ჰყავთ მიმდევრები, რომლებიც თავადაც სხვისი მიმდევრები არიან! რატომ ბაძავენ? ეტყობა, ბევრს ასე უფრო ეადვილება. არავის ახსოვს, რომ პოეტი ახალი სამყაროა, სხვათაგან განსხვავებული ქვეყნის გამგებელი და ამ ქვეყანას ყველაფერი თავისთავადი უნდა ჰქონდეს, პეიზაჟიდან დაწყებული ამინდითა და ატმოსფერული წნევით დამთავრებული, ამას გარდა, ყოველ მნიშვნელოვან მწერალს – პოეტიც მწერალია – საკუთარი აქვს ლექსიკა, რიტმი, ინტონაცია, თემები, რომლებიც, მართალია, ძველია, მაგრამ მას აქვს უფლება ამ ძველისძველიდან მისთვის ახლობელი და სისხლხორცეული აირჩიოს!

რაც შეეხება იაპონურ და ჩინურ პოეზიას, მათი მიბაძვა ძნელია და დღეს საამისოდ თავს არავინ იწუხებს, კარგსაც შვრებიან, ამ პოეზიისათვის დამახასიათებელი ლაკონიზმი და სინატიფე ადვილი მისაღწევი არ არის. არ შეიძლება მიბადო სულს, რომელიც შენთვის არ ჩაუდგამთ! მოკლე-მოკლე ლექსების წერა კი იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე ბაძავს იაპონურ ტანკას ან ხოკუსს.

მე ხშირად ვფიქრობ იმაზე, თუ რამ დააკნინა ასე ქართული საესტრადო მუსიკა. რეზო ლალიძით დაწყებული – მაცაცო სეფისკვერადისა და ჯემალ სეფიაშვილის ჩათვლით ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანმა ქართველმა კომპოზიტორმა შექმნა სულ მცირე ათამდე შედეგები – სიმღერა. იცით, რატომ? მხოლოდ ქართული, სხვათაგან სრულიად განსხვავებული ჰარმონიის წყალობით, ყოველი მათგანი ეძებდა და პოულობდა მელოდიას, ჩვენი სულიერი მოთხოვნილება ასეთი იყო და არის დღესაც და ეს არც კომპოზიტორთა ვაპრიზია და არც გატკეპნილი გზით სიარულის მოყვარულთა ახირება. ეს ქართული ჰარმონიის მოთხოვნილებაა, ეს არის შინაგანი, კოდური რამ, რომლის შეცვლა კრახით მთავრდება.

ბოლო ოცი წელიწადია ვითომ კომპოზიტორები ცდილობენ ინგლისური და ამერიკული ჰარმონიის ქართულზე დამყნობას და რაც ამ მცდელობიდან გამოვიდა და გამოდის, კარგად ხედავთ... და გესმით! სიმღერიდან მელოდიის გაქრობასთან ერთად გაქრა მყარი რიტმიც და პოეზიაც, რადგან ახლა მუსიკას ჭეშმარიტი პოეზია კი არ ჰკვებავს, არამედ რაღაც სუროგატი. ახალგაზრდა კომპოზიტორთაგან ერთადერთი ნატო გელაშვილი ეძებს ხოლმე მელოდიას და ამიტომაც ჰყავს მსმენელი, კარგი იქნებოდა, რომ მის მელოდიას უფრო დახვეწილი ტექსტიც გასდევდეს, დამიჯერეთ, სიმღერა უფრო ეფექტურად აჟღერდებოდა! ესეც მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრი გახლავთ! დაახლოებით ასეთივე დღეშია ქართული ლექსიც! და ვერ გაგვიგია, რომ როგორც თავისთავადი და განუმეორებელი ზანგური რიტმების გადმოტანა და დანერგვა არ მოგვითმანს სასურველ ეფექტს, ასევე არ შეიძლება მივბადოთ სხვა ტრადიციას, სხვა ჰარმონიას, სხვა რიტმებსა და

მოდულაციებს იმიტომ, რომ ეს არ არის ჩვენი. კოკაში რაც არა სდგას, ის არც წარმოსდინდების! ამიტომ, მოდით, იმას მივხედოთ, რისი ტრადიციაც გვაქვს, განვაავითაროთ, ვეძებოთ და ვიპოვოთ ახალი მელოდიაც და სიტყვაც, იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ამოწურულია ჰარმონიული ჰანგის სალარო ან ქართულ სიტყვას აღარ ძალუძს ჩვენი გაოცება?!

საოცარია, რა მაიმუნებივით ვიქცევით, რატომ ვბამავთ სხვას, როცა ის სხვა ჩვენი უძველესი ჰარმონიით აღფრთოვანებულია და ტელევიზიით გვეკითხება კიდეც – ქართველებო, არ გრცხვენიათ, რას მღერითო?! ქართულ პოეზიასაც რომ ასე კარგად იცნობდნენ უცხოელები, აუცილებლად დაგვიწუნებენ ყოვლად გაუმართლებელ და, რაც მთავარია, უშედეგო მიმბამველობას!

ნათქვამი ეხება ჩვენს გარეგნულ იერსაც და ცხოვრების წესის უცხოთა კვალობაზე მოწყობის დიდ სურვილსაც – აი, სწორედ ეს გახლავთ პროვინციალური წამხედურობა და «საკუთარის არ მცნობელთა» (ილია), მაპატიეთ, სიბრიყვეც! ქართულ კულტურას დიდი ზრუნვა, გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა სჭირდება – კულტურას ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით ვხმარობ და ეს სიტყვა ყოვლის მომცველია – შემოქმედებითი მოღვაწეობისაც, ყოფისაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფიქრისაც!

ერთი «ჩვეულებრივი» სოფო

ებლიტვო: სოფო, თუ არ ვცდები, შენი, როგორც პროზაიკოსის დებიუტი ინტერნეტ სივრცეში შედგა, «ლიტერატურა.გე-ზე» წარმატებული დებიუტის შემდეგ თითქოს «დაიკარგე»... პირდაპირ გკითხავ შემოქმედებითი პაუზა გაქვს, «შემოქმედებითი კრიზისი» თუ ყველაფერი უდროობის ბრალია?

სოფო დათუაშვილი: არა, ჩემი როგორც პროზაიკოსის დებიუტი ინტერნეტ სივრცეში არ შემდგარა. რაც შეეხება ლიტერატურა.გე-ს, არც მაინცდამაინც წარმატებული ეთქმის ჩემს გამოჩენას ამ საიტზე – კარგა გვარიანად შემახურეს.

აბა რა გითხრათ, შემოქმედებითი პაუზა, შემოქმედებითი კრიზისი და უდროობა – ეს სამი, მე მგონი, ერთმანეთს არ გამორიცხავს... ასე რომ, ჩათვალეთ, სამივე მაქვს ერთად!

ებლიტვო: სოფო, შენ ლექსებსაც წერ და მოთხრობებსაც, წერა როდის დაიწყე? პირველად ვის აკითხებდი შენს დაწერილ ნაწარმოებს და რას ელოდი პირველი მკითხველისაგან

სოფო: ლექსებს მართალია ვწერდი, მაგრამ აღარ ვწერ და არც ვაპირებ.

რაც შეეხება თხზვას, ჯერ კიდეც მანამდე დავიწყე, სანამ წერა-კითხვას ვისწავლიდი. გადმოცემით ვიცი, რომ ლაპარაკი ექვსი თვისას დამიწყია, წლისა უკვე ვრცელტანიან ლექსებს ვკითხულობდი. ალბათ თხზვაც დაახლოებით ამ დროს დავიწყე, დიდი ქაქანა ვინმე ვყოფილვარ... რაღაცას ან გავლექსავდი, ან ზღაპრად ვიტყოდი, ჩემი მშობლები კი დიდის ამბით ყველაფერს იწერდნენ და ინახავდნენ. მათგან და მათი მეგობრებისაგანაც სულ მუდამ მესმოდა, რომ არაჩვეულებრივად ნიჭიერი და ყველასაგან გამორჩეული ვიყავი... მერე, როცა ოდნავ გავიზარდე (ალბათ, უფრო გარდატეხის ასაკში) და ჩემს თავს ნაკლებსუბიექტურად (უფრო სწორად – კრიტიკულად) დავუწყე ყურება, იმედი გვარიანად გამიცრუვდა, იმიტომ, რომ ხელში არც მეტი და არც ნაკლები – ერთი ძალიან ჩვეულებრივი ადამიანი შემეჩა.

მოკლედ, როგორც უკვე ვთქვი, ჩემი პირველი მკითხველები და შემფასებლები ჩემი მშობლები და მათი მეგობრები იყვნენ... სულ მაქებდნენ და მამხნეებდნენ, მეტს და უკეთესს რას უნდა ელოდეს ე.წ. «მწე-რალი» მისი მკითხველებისაგან?!

ებლიტფო: ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსი ხარ. თანამედროვე პროზაში მიმდინარე პროცესებზე მომიყევი. რითი განსხვავდება თანამედროვე პროზა, ვთქვათ მეოცე საუკუნის 60-80-ანი წლების პროზისაგან? «მასწავლებლებზეც» გვითხარი.

სოფო: გულახდილად რომ გითხრა, ვერაფერს გეტყვი თანამედროვე პროზაში მიმდინარე პროცესებზე, არ ვიცი ამ ქვაბში რა იხარშება. კარგად არც ის ვიცი, რითი განსხვავდება მეოცე საუკუნის 60-80-ანი წლების პროზა თანამედროვე პროზისაგან. ამის ერთი მარტივი მიზეზი არსებობს – თითქმის არც ვკითხულობ თანამედროვე მწერლობას. ერთხანს, როცა თავისუფალი დრო ბლომად მქონდა, ლიტერატურა.გე-ს ვსტუმრობდი და რაღაცეებს იქ ვეცნობოდი. რომ გითხრა აღფრთოვანებული ვრჩებოდი-მეთქი, მართალი არ ვიქნები. როცა მწერალი მომწონს, ნამდვილად ვერ ავხსნი და დისერტაციას ვერ დავიცავ რატომ მომწონს. უბრალოდ მომწონს და მორჩა. როცა ნაწერს ვკითხულობ და წინადადებას სამჯერ მაინც ვუბრუნდები, რომ როგორმე აზრი გამოვიტანო, ან ზოგადად შინაარსს ვერ ვგებულობ, ან უარესი – კითხვისას მეძინება – ასეთი ნაწარმოებები არ მომწონს და რა ვქნა...

თუმცა, ეს შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს, რომ ნაწარმოებია ცუდი და პრობლემა ჩემში იყოს.

ახლა, როცა ათასში ერთხელ დროს გამოვნახავ რომ წიგნი წავიკითხო, ვცდილობ ეს რაიმე სასარგებლო იყოს და დრო ფუჭად დაკარგული არ გამომივიდეს. ასე რომ, მხატვრულ ლიტერატურას ცოტა არ იყოს გავურბი... როგორც გინდა ისე გამიგე.

რაც შეეხება ჩემს ე.წ. «მასწავლებლებს» – ძალიან მიყვარს მარკესი და სენტ ეგზიუპერი... მაგრამ წერა ჰემინგუეიმ და სელინჯერმა მომანდომეს და დამაწყებინეს!

ებლიტფო: როცა შენი «თქვენ თუ იცნობდით ჩემს ძმას?» წავიკითხე... გავიფიქრე.. ამ გოგომ მეტი არაფერი რომ დაწეროს უკვე მწერალია მეთქი. მოგვიყევი «ძმაზე» იდეიდან გამოქვეყნებამდე. თემის აქტუალურობაზეც მითხარი და და-ძმურ ურთიერთობებზეც.

სოფო: ძმა საერთოდ არ მყავს! ძმის ტიპაჟი ჩემს მოთხრობაში ნაწილობრივ ჩემი ქმრის და ნაწილობრივ ჩემი ბიძაშვილის პროტოტიპია.

შენი აზრით და-ძმური თემა აქტუალურია დღეს? ამაზე საერთოდ არ მიფიქრია... არც იმაზე მიფიქრია რას დავწერდი, როცა კომპიუტერს მივუჯექი (ფურცელზე კალმით წერა მომკალი და არ შემძლია). უბრალოდ, როგორც წესი, როცა წერას ვიწყებდი, ალბათ ან ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავი, ან ძალიან ცუდზე. დავჯექი რომ ჩემი ემოციისაგან დავცლილიყავი და ბოლოს ის გამოვიდა რაც გამოვიდა.

გულწრფელად გეუბნები, როცა კი ჩემს დასრულებულ მოთხრობას ვკითხულობ, ყოველთვის მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მე არ დამიწერია. სიტყვათა წყობა და ლექსიკაც კი მაცნობს... შინაარსზე აღარაფერს ვამბობ.

ებლიტფო: სოფო, როგორ რეაგირებ კრიტიკაზე? ვის კრიტიკას ელოდები ყველაზე მეტად. რაში გეხმარება პროფესიონალური კრიტიკა... მოდი ზოგადად კრიტიკაზეც გვესაუბრე.

სოფო: გააჩნია კრიტიკას რას ეძახი... და ალბათ კრიტიკასაც გააჩნია. საერთოდ, შექება მჯერა, როცა თან შენიშვნებიც მოჰყვება. ასეთი შენიშვნების მოსმენა სხვა თუ არაფერი – საინტერესო მაინცაა. ცარიელა ხბოს აღტაცების, მომკალი და არ მჯერა... და ასეთი რეაქცია ჩემს მოთხოვნებზე კიდევ მაცბუნებს, კიდევ მაფრთხობს.

რაც შეეხება ხმალამოდებულ და დაუზოგავ კრიტიკას... აი, თუნდაც ისეთს, როგორითაც ჩემს ლექსებს დახვდნენ პირველად ლიტერატურა.გე-ზე (ეს დათუაშვილი პირდაპირ ბანალურობის დედოფალიაო – თუ რაღაც ამდაგვარი...) მკლავს და რა ვქნა... ამ კომენტარის მერე ჩემი ლექსები საიტიდანაც წავშალე და სხვაგანაც, სადაც კი ხელი მიმიწვდა. ლექსს რომ აღარასდროს დავწერ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

ებლიტვო: «პირველ მკითხველზე» უკვე მომიყვები... ზოგადად მკითხველზე ვისაუბროთ, რას ნიშნავს შენთვის გემოვნებიანი მკითხველი... შეიძლება ვთქვათ განათლებული მკითხველი – უკვე გემოვნებიანი მკითხველია? დაგიწერია რაიმე უშუალოდ მკითხველისთვის?

სოფო: ჰო, ჩემი აზრით განათლებული მკითხველი გემოვნებიანი მკითხველიცაა, თუმცა, გამონაკლისიც იარსებებს. ის, რომ შექებაც და შენიშვნაც ჯობს გემოვნებიანი და განათლებული მკითხველისგან მიიღო, ამას წყალი არ გაუვა!

მკითხველისთვის არასდროს არაფერი დამიწერია. მთავარია ჩემი ნაწერი ჯერ მე თვითონ მომეწონოს. მაგრამ, მართლაც ეს მართლა არ კმარა... თუ სხვასაც არ მოეწონა, ჩემი ლექსების ბედს გაიზიარებს რაც არ უნდა იყოს.

ებლიტვო: სოფო, პროექტი «რამოდენიმე კითხვა» შენთან საუბრით დამთავრდება. რას იტყვი ამ პროექტზე... რამდენად მნიშვნელოვანი იქნება იგი ახალგაზრდა მწერლებისათვის?

სოფო: ვერაფერს გეტყვი ამ პროექტზე. მშურს იმ ხალხის ვისაც დრო აქვს, არამარტო ნაწარმოებები იკითხონ, მათ ავტორებთან ინტერვიუებსაც გაეცნონ, თუ კი აინტერესებთ, რასაკვირველია... და მერე ნაწარმოებზეც და ავტორზეც ისაუბრონ და ერთმანეთს აზრები გაუზიარონ...

ამ ადამიანებისთვის ალბათ მართლაც საინტერესო იქნება ეს პროექტი.

ებლიტვო: და ბოლოს, შენ ქუთაისელი ხარ, ქალაქ ქუთაისზე მოგვიყვები, ქუთაისურ იუმორსა და ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაზე.

სოფო: ქუთაისი ძალიან მიყვარს. მარტო იმიტომ კი არა, რომ იქ დავიბადე და 21 წელი იქ გავატარე. არა, მართლა ძალიან ლამაზი ქალაქია, თავისებური ხიბლი აქვს! ზოგჯერ სიგიჟემდე მომენატრება იქ ყოფნა და ბორიალი, მაგრამ სამწუხაროდ ვერ ვახერხებ ხშირად ჩავიდე... ხშირად კი არა, წელიწადში ერთხელ... ჰა-ჰა, ორჯერ და ისიც ორიოდ დღით.

ქუთაისურ იუმორზე მე რა უნდა გითხრათ, ჩართეთ ტელევიზორები, სადაც კი იუმორია, ყველა ქუთაისურია! და საერთოდ, საქართველოში ქუთაისური იუმორის გარდა იუმორი არსებობს? კარგით, ჰო, ვიხუმრე!

რაც შეეხება ლიტერატურულ ცხოვრებას ქუთაისში, ამ მხრივაც ბევრს ვერაფერს გეტყვით... ხალხი რომელსაც ლიტერატურა უყვარს, პოეზია უყვარს, წერს და აქვეყნებს, ყოველთვის იარსებებს... მაგრამ, ერთი ვიცი – მათ ხელშესაწყობად საერთოდ არაფერი კეთდება... ზოგადად, მართლა ძალიან მწყდება გული, რომ ჩემი

პატარა ქუთაისი, რომელსაც უზარმაზარი პოტენციალი აქვს, ყოველმხრივ «აუთსაიდერი» გახდა დღეს, ხალხისგან დაიცალა და აღარავის ახსოვს...

შინაარსი

წინათქმა.

გზა გრძელდება.

მწერალი ურჩი ბავშვივითაა.

კვირაში რამდენჯერ?

კოლაუს მეგობარი ნინო.

XXI საუკუნის «თამაში».

„ლუსილუსიდან წიკო-მიკომდე“.

გაიღიმე, პოეტი ფოტოს იღებს...

ზღვარზე მოარული ანასტასია.

გაბმული სიმღერა.

ფართოდ თვალგახელილი.

ვირტუალური სივრცე აცოცხლებს ლიტერატურას.

ასფალტზე ამოსული «გოგო-ქალაქი».

ჭროდათვალემა სოხუმელი.

საკუთარ პერსონაჟებში გახლართული მწერალი.

«მოხუცი».

ყველას უნდა ჰქონდეს თვითრეალიზაციის საშუალება

მე მაქსიმალისტი ვარ.

გზავნილი ადამიანებს...

დათო ჩიხლაძის ორი პოლუსი.

შესრულებულია XXI საუკუნეში.

ჟარგონი ენისთვის ერთგვარი შემოლაწუნებასავითაა.

საჯარიმოდან გავდივართ?!

მონადირე ლექსები.

პოეტის ყოველ ლექსს უნდა შეეძლოს მის

"სავიზიტო ბარათად" გამოდგომა.

სად აღარ წაუკითხავს ლექსები შოთას.

ვინ არის ყველაზე ალალი მსმენელ-მკითხველ-მაყურებელი...

როცა სიტყვებს აწყვილებ, სწორედ მაშინ ხდება სასწაული.

ერთი «ჩვეულებრივი» სოფო.

